ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცეკვა მწვრთნელური





ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
1 ნოემბერი პარასკევი 2013
№258 (14 174) ფასი 80 თეთრი

## კაჭარავა სპარტაკში, გეგუჩაძე ისევ ზესტაფონისკენ?

# დუბლ-დებიუტი

## 13 ქულა 11 მოხსნა



**ზაზა ფაჩულიას** „მილუოკი ბაქსმა" NBA-ის ახალი სეზონი „ნიუ იორკის" მედისონ სკვერ გარდენში მარცხით გახსნა (83:90). ეს გახლდათ 29 წლის ქართველი ცენტრის მეორე დებიუტი მილუოკურ გუნდში. პირველად იგი „ბაქსში" 2004-05 წლებში თამაშობდა. სათაური სხვა მნიშვნელობითაც უნდა წაიკითხოთ - ზაზამ სეზონის გახსნით შეხვედრაში ორმაგი დუბლი მიითვალა. მის ანგარიშზე 13 ქულა და 11 მოხსნა იყო. აქვე მის სრულ მონაგარს გაგაცნობთ და შეხვედრის პერიპეტიებზე მოგვიანებით ვილაპარაკოთ: 34 წუთი, 10-დან 6 ორქულიანი, 1-დან 1 საჯარიმო, 3 პასი, 2 ჩაჭრა, 2 შეცდომა, 4 ფოლი.

ზაზამ სეზონის დაწყებამდე ჩვენთან ინტერვიუში თქვა: „გუნდის სასტარტო ცენტრი **ლარი სენდერსია**, თუმცა მეც მომიწევს ხუთეულში დაწყება. ყველაფერი დამოკიდებული იქნება მეტოქეზე, მის ტანმაღალ კალათბურთელებზე." „ნიუ იორკში" გამოცდილი, აგრესიული **ტაისონ ჩენდლერი** თამაშობს, რომლის წინააღმდეგ ძალიან გაუჭირდა მილუოკელ სენდერსს, მატჩი 5 ფოლითა და 0 ქულით დაასრულა. მწვრთნელი **ლარი დრიუ** თავიდან ბოლომდე ენდო ფაჩულიას და ქართველ ცენტრს მხოლოდ მცირე დროით, სულის მოსათქმელად გზავნიდა სათადარიგოთა სამზე.

მატჩის შემდეგ ამერიკელმა ტელემიმომხილველებმა ზაზას თამაშის მომენტები ამოკრიბეს და ვრცლად ილაპარაკეს:

გაგრძელება მე-9 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი მწვრთნელი

# ხაჩიძე კაჭარავამ შეცვალა

## სპარტაკის ახალი თავკაცი: უნდა მივეჩვიოთ სიმართლის თქმას

**ცხინვალის „სპარტაკში" მწვრთნელი შეიცვალა - ვლადიმერ ხაჩიძის ნაცვლად გუნდს კახა კაჭარავა გაუძღვება. როგორც კლუბში გვითხრეს, ხაჩიძემ გუნდი საკუთარი ნებით დატოვა. მას არაერთ გუნდში უმუშავია და გამოცდილი სპეციალისტი ეთქმის. ამ სეზონში „სპარტაკი" მისი ხელმძღვანელობით დაბრუნდა უმაღლეს ლიგაში, წინა სეზონში კი იმდენი მოახერხა, რომ თასის მეოთხედფინალშიც გავიდა...**

**ამ დროისთვის „სპარტაკი" ეროვნული ჩემპიონატის ცხრილის ფსკერზეა, თასის გათამაშებასაც გამოეთიშა მერვედფინალში ქუთაისის „ტორპედოსთან" პაექრობაში. უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულმა „სპარტაკმა" აქცენტი ახალგაზრდა ფეხბურთელებზე გააკეთა, მხოლოდ ორი გამოცდილი მოთამაშე დაიბევა - ნიკა მგელაძე და ზვიად მეტრეველი. გამოჩნდა, რომ გუნდს მეტი გამოცდილი ფეხბურთელი სჭირდებოდა.**

**გუშინ „სპარტაკში" კრება გაიმართა და კლუბის პრეზიდენტმა დიმიტრი სანაკოევმა გუნდს ახალი მთავარი მწვრთნელი წარუდგინა - კახა კაჭარავა. თბილისის „დინამოს" ყოფილ ფეხბურთელსა და მთავარ მწვრთნელს ევროპაშიც უთამაშია - ასეთია კაჭარავას მოკლე დოსიე. „დინამოში" მუშაობისას მის ხელში რამდენიმე ისეთი ფეხბურთელიც დაწინაურდა, მერე ეროვნულ ნაკრებში რომ მოხვდა. ბოლოს კაჭარავა „ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელი იყო, ახლა კი „სპარტაკი", სადაც დებიუტი 3 ნოემბერს ექნება „ვიტ ჯორჯიასთან" საშინაო შეხვედრაში.**

**გუშინვე კაჭარავას რამდენიმე კითხვა დავუსვით...**

**- ამ ეტაპზე, კონკრეტულად რის შეცვლას აპირებთ „სპარტაკში"?**

- მოგეხსენებათ, თუ რა სიტუაციაშია გუნდი. მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ ქულების მოპოვებას, რათა გასავარდნ ზონას თავი დავაღწიოთ.

**- საამისოდ, ალბათ, გამოცდილი ფეხბურთელებიც დაგჭირდებათ...**

- ზოგადად, გუნდში გამოცდილი ფეხბურთელების ყოლა კარგია, თუმცა გააჩნია, რა დონის გამოცდილება ექნებათ მოთამაშეებს. ამ ეტაპზე შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მოხდება. ჯერ უნდა გავარკვიოთ, ყველაზე მეტად რომელ პოზიციებზე სჭირდება გუნდს გაძლიერება.

**- „სპარტაკი" ახალ ფეხბურთელებს თუ დაიმატებს, ეს საშუასეზონო პერიოდში მოხდება. აქვს კლუბს იმის საშუალება, რომ მნიშვნელოვნად გააძლიეროს შემადგენლობა?**

- ვნახოთ. შემადგენლობის გაძლიერება იმაზეც არის დამოკიდებული, თუ რა ფინანსური შესაძლებლობა ექნება კლუბს. დღეს თითქმის ყველა ქართულ კლუბს ფინანსურად უჭირს, საქართველოში ალბათ მხოლოდ 3-4 გუნდია ისეთი, სტაბილური ფინანსური ზურგი რომ აქვს.

**- მაინც რამხელა წლიური ბიუჯეტი მიგაჩნიათ მყარ ფინანსურ ზურგად?**

- თუ ვინმე ფიქრობს, რომ გუნდს 2-3 მილიონი დოლარი ეყოფა იმისთვის, რომ ევროტურნირის ჯგუფში მოხვდეს, ძალიან ცდება. ზოგი უცხოური კლუბი ამაზე მეტს ხარჯავს, მაგრამ ჯგუფში მაინც ვერ ხვდება. ძალიან ძნელია ამ ბიუჯეტით ასეთი მიზნის შესრულება. ჰოლანდიურმა კლუბებმა სწორი გზა აირჩიეს, იმდენი ბიუჯეტი აქვთ, ევროტურნირის ჯგუფში რომ მოხვდნენ, ამის შემდეგ მათი ფეხბურთელები უფრო რეკლამირებულები ხდებიან და ევროპის უფრო მდიდარ კლუბებში გადადიან. ვფიქრობ, ჩვენც ეს გზა უნდა ავირჩიოთ, დიდი ქვეყანა არ ვართ და იმიტომ. ნიჭიერ ფეხბურთელს 2-3 წელი უნდა შეუქმნა განვითარებისთვის საჭირო პირობები, მერე კი უნდა მისცე იმის შანსი, რომ უკეთეს ჩემპიონატში და კლუბში წავიდეს.

**- საქართველოს ეროვნული ნაკრების პრობლემა რაში მდგომარეობს? რატომ არ ჩანს წინსვლა?**

- უნდა მივეჩვიოთ სიმართლის თქმას. ეროვნული ჩემპიონატის დონე დაბალია და სამწუხაროდ, ყოველ წელს კიდევ უფრო დაღმა მიგვდის საქმე. მოდიან ნიჭიერი ახალგაზრდები, მაგრამ როცა საქმე უკან მიდის, რატომ გვიკვირს, რომ ისინი სათანადოდ ველარ ვითარდებიან? დაბალი დონე, დაბალი ტემპი - ამის შემდეგ უცბად ვერ გადაერთვები ევროპულ დონეზე. ზოგს რუსეთის პრემიერლიგა არცთუ კარგ ჩემპიონატად მიაჩნია, მაგრამ ეს ასე არ არის, იქ სტაბილურად მხოლოდ ორი ქართველი თამაშობს - ალექსანდრე ამისულაშვილი და გია გრიგალავა, ჯანო ანანიძე კი ჯერაც ახალგაზრდაა. საქართველოს ნაკრების ზოგი მოთამაშე კლუბში ვერ ხვდება 18 კაცში, ზოგსაც იშვიათად უწევს მოედანზე გასვლა. ადრე „მილანის", „აიაქსის", „რეინჯერსის", „შალკეს", „ნიუკასლის" ფეხბურთელები თამაშობდნენ საქართველოს ნაკრებში, დღეს კი... ბავშვთა ფეხბურთზეც უნდა ითქვას - ბევრია ამ სფეროში ისეთი მწვრთნელი, ბურთისთვის ფეხი რომ არ დაურტყამს, ზოგი მწვრთნელი ვარჯიშზე იგინება, ზოგიც ბავშვს პირველად იმას ეკითხება, ფული გადახდილი აქვს თუ არა... არადა, ბავშვების მწვრთნელი პირველ რიგში პედაგოგი უნდა იყოს. ყველაფერთან ერთად, ფეხბურთისა და ეროვნული ნაკრების სიყვარული უნდა ჩაუნერგოს მოზარდს.

**- საქართველოს ჩემპიონატში, გუნდური თამაშის მხრივ ყველაზე მეტად რომელ კლუბს გამოარჩევდით?**

- ქუთაისის „ტორპედოს".

**- უყურეთ „ტორპედოს" თამაშს „სპარტაკთან" თასის მერვედფინალის საპასუხო შეხვედრაში?**

- „ტორპედომ" მანამდე „დინამოსთან" იბრძოლა და „სპარტაკთან" ხარისხიანი თამაში რომ ვერ გამოუვიდა, ვფიქრობ, გადაღლის ბრალი იყო.

**- „ზესტაფონთან" განშორებამ რომ მოგიწიათ, ეს რისი ბრალი იყო?**

- სამი თვის განმავლობაში გატრკვევლობა იყო იმის თაობაზე, თუ რა დაფინანსება ექნებოდა გუნდს. როგორც ჩანს, ახლა ამ მხრივ ნორმალურადაა საქმე და ამ გუნდს წარმატებას ვუსურვებ.

**- საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებიდან რატომ წამოხვედით?**

- მითხრეს, შენს შვილს რატომ ათამაშებ ნაკრებშიო და ამიტომ. წლინახევრის უთამაშებელი მივიყვანე ნაკრებში ბაჩანა არაბული და ლაშა დვალი, მაგრამ ამით რა, ცუდი საქმე გავაკეთე? „დინამოში" გიორგი ლორიას, გურამ კაშიასა და მათე ვაწაძეს რომ ვათამაშებდი, ვერ მოხვდნენ მერე ეროვნულ ნაკრებში? მოედანზე რომ გაიყვან ფეხბურთელს, უკვე ველარავის მოატყუებ...

**- თქვენი ვაჟით საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძეც დაინტერესდა, თუმცა ბოლო შეკრებაზე ნიკა კაჭარავა არ ყოფილა...**

- საზარდულის ტრავმა აწუხებდა, სამი კვირა ამის გამო გაუცდა. რამდენიმე დღეა, რაც ვარჯიში განაახლა, ყაზანის „რუბინის" მეორე გუნდის ამასწინანდელ შეხვედრაში ბოლო 20 წუთი ითამაშა...



### დოსიე
### კახა კაჭარავა

დაიბადა 1966 წლის 19 სექტემბერს

**საფეხბურთო კარიერა**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1985 | სამეგრელო | | |
| 1986-87 | ლოკომოტივი სამტ. | 47 | (7) |
| 1988 | ტორპედო ქ. | 29 | (15) |
| 1989-92 | დინამო თბ. | 96 | (54) |
| 1992-94 | ოლიმპიაკოსი ნიქ. | 45 | (20) |
| 1994 | ტრაბზონსპორი | 7 | (2) |
| 1995 | დინამო თბ. | 1 | (0) |
| 1995-96 | ტენის ბორუსია | 19 | (7) |
| 1996-98 | ჰომბურგი | 61 | (19) |
| 1998-00 | ვალდჰოფი | 5 | (1) |
| 2000-01 | იბერია | 2 | (0) |
| 1992-94 | საქართველოს ნაკრ. | 2 | (1) |

**სამწვრთნელო კარიერა**

| | |
|---|---|
| 2006 | დინამო თბ. |
| 2009-11 | დინამო თბ. |
| 2012 | საქართველო U 19 |
| 2012-13 | ზესტაფონი |
| 2013... | სპარტაკი |

ზესტაფონი



გია გეგუჩაძე (მარცხნივ) და ილია კოკაია

# გეგუჩაძე ბრუნდება?

სერბი **რატკო დოსტანიჩი** „ზესტაფონის" მწვრთნელი აღარ არისო, ეს ინფორმაცია გუშინ გავრცელდა კულუარებში. სანდო წყაროსგან ისიც შევიტყვეთ, რომ იმერული კლუბის ხელმძღვანელობამ გუშინ **გია გეგუჩაძეს** შესთავაზა მთავარ მწვრთნელად დაბრუნება.

დოსტანიჩი „ზესტაფონში" ამ სეზონის წინ მივიდა, თუმცა გუნდის საქმე კარგად ვერ წავიდა - ჯერჯერობით მე-7 ადგილი ეროვნულ ჩემპიონატში და მარცხი ბოლნისის „სიონთან" თასის მერვედფინალში. აქ უნდა გავიხსენოთ, რომ სანამ „ზესტაფონის" თავკაცი დოსტანიჩი გახდებოდა, კლუბსა და გეგუჩაძეს შორის მაშინაც გაიმართა მოლაპარაკება, მაგრამ მხარეები შეთანხმებამდე ვერ მივიდნენ...

გუშინ კი სანდო წყარომ ისიც გვითხრა, რომ „ზესტაფონის" ხელმძღვანელობა და გეგუჩაძე უკვე სიტყვიერად შეთანხმდნენ მომავალ თანამშრომლობაზე და დიდი შანსია, ხელშეკრულებას დღესვე მოეწეროს ხელი. შევიტყვეთ ისიც, რომ თუ კონტრაქტი გაფორმდება, ის გრძელვადიანი არ იქნება. მისი ამოწურვის შემდეგ, მხარეები დასხდებიან და აწონ-დაწონიან, გააგრძელონ თუ არა თანამშრომლობა...

გეგუჩაძის ხელმძღვანელობით, „ზესტაფონი" 2011 წელს საქართველოს ჩემპიონი გახდა და სპეციალისტთა საყოველთაო აზრით, საქართველოში ყველაზე სანახაობრივ და საინტერესო ფეხბურთს თამაშობდა. გუნდი მომდევნო წელსაც, თითქმის იმავე ფეხბურთელებითა და იმავე ტაქტიკური მონახაზით, კიდევ ერთხელ გახდა საქართველოს პირველი კლუბი...

მწვრთნელი

# დინამო და მუმლაძე დაშორდნენ

თბილისის „დინამოში" საკადრო ცვლილებები გრძელდება. ადრე პოსტები დატოვეს **ბუბა ტყავაძემ** და **სანდრო შახოვმა**, გუშინ კი კლუბი სელექციონერ **რამაზ მუმლაძესაც** დაემშვიდობა.

ქართულ სამწვრთნელო კოჰორტაში მუმლაძე პატარა ფიგურა არ არის. ის ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ მუშაობდა თბილისის „დინამოში". ერთხელ ისეც მოხდა, რომ „დინამომ" მეორე გუნდი გააკეთა, რომელსაც „თბილისი" დაარქვა და იმ გუნდს სწორედ მუმლაძე თავკაცობდა. „თბილისში" მაშინ ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი თამაშობდა. მაგალითისთვის ერთის დასახელებაც იკმარებდა - **რატი ალექსიძე.**

მუმლაძემ ყველაზე მეტად სახელი თბილისის „ვიტ ჯორჯიაში" მუშაობით გაითქვა. იმ პერიოდში ეს გუნდი ყოველთვის მოწინავეთა შორის იყო. სწორედ მუმლაძის ხელმძღვანელობით, 2008 წელს „ვიტ ჯორჯია" საქართველოს ჩემპიონიც გახდა, თავად კი ორჯერ დასახელდა ქვეყნის საუკეთესო მწვრთნელად.

„ვიტ ჯორჯიადან" წასვლის შემდეგ მუმლაძე საფეხბურთო სკოლა „ავაზას" ხელმძღვანელობდა; იყო ქუთაისის „ტორპედოს" მთავარი მწვრთნელი, შემდეგ თბილისის „დინამოში" მიიწვიეს იმ მეორე გუნდის ხელმძღვანელად, პირველ ლიგაში რომ თამაშობდა. ამას გარდა, ცოტა ხნით ის „დინამოს" მთავარი მწვრთნელის მოვალეობასაც ასრულებდა, წინა სეზონის დასრულების შემდეგ კი „დინამოშივე" სელექციონერად მუშაობდა.

ქართულ კლუბებში მომხდარი (თუ მოსალოდნელი) სამწვრთნელო გადაადგილებების ფონზე, შესაძლებელი იყო, მუმლაძეც რომელიმე გამოთავისუფლებულ პოსტზე გვეხილა და ამიტომაც შევეხმიანეთ, თუმცა ამ ეტაპზე მან ინტერვიუსგან თავი შეიკავა.

გვერდი მოამზადა
**დავით თავართქილაძემ**



რამაზ მუმლაძე

სამწვრთნელო თემა

# ეს ჯერ დასაწყისია...

**ერთი** ტურიც და უმაღლეს ლიგაში პირველი ეტაპის პირველი წრე დამთავრდება, რომლის შემდეგაც „ლელო", ტრადიციულად, ამ პირველ „საშუალედო ეტაპს" შეაჯამებს. თუმცა, დღესვე შეგვიძლია იმის თქმა, რომ ისე როგორც წინა წლებში, მიმდინარე სეზონშიც გრძელდება მწვრთნელების გათავისუფლების ტენდენცია. თავად განსაჯეთ: 12-გუნდიან ჩემპიონატში უკვე მეხუთე სამწვრთნელო გადაადგილება მოხდა, არადა, ჯერ მხოლოდ 9 ტურია გასული...

## უცნაური დამთხვევა

... საინტერესო დამთხვევაა, მაგრამ ფაქტია: წინა სეზონშიც 9 ტურის შემდეგ ხუთი სამწვრთნელო გადაადგილება იყო მომხდარი! თუმცა, იმედია, 2011-12 წლების სეზონის ანტირეკორდი კარგა ხანია აღარ განახლდება: რვა ტურის შემდეგ მაშინაც ხომ ათი მწვრთნელი გამოიცვალა (თანაც, ზოგიერთ გუნდში - ორჯერ და... სამჯერაც)!

საერთოდაც, ამ თემაზე ბოლო წლებში არაერთხელ გვისაუბრია და რაც დრო გადის, უფრო და უფრო მცირდება იმ მწვრთნელთა რიცხვი, რამდენიმე წელიწადს კი არა, ერთ კონკრეტულ სეზონს ერთსა და იმავე გუნდში... რომ დაიწყებს და დაამთავრებს! აღარ გვინდა უცხოეთის მაგალითების მოყვანა და იმის გახსენება, თუ რამდენი წელიწადი მუშაობდნენ გადაბმულად ერთსა და იმავე გუნდში **გი რუ** („ოსერი") თუ **თომას შააფი** („ვერდერი"); აღარაფერს ვამბობთ თანამედროვეობის ორ მართლაც უდიდეს მწვრთნელზე - **ალექს ფერგიუსონსა** („მანჩესტერ იუნაიტედი") და **არსენ ვენგერზე** („არსენალი).

თუმცა, ინგლისური პრემიერლიგა საერთოდაც ყველასგან განსხვავდება და იქ დასაქმებულ მწვრთნელებსაც (პარალელურად, მენეჯერის ფუნქციებს რომ ითავსებენ) სერიოზული და ხანგრძლივი დროის მანდატი აქვთ. აი, სხვაგან კი, იშვიათად თუ შეხვდებით ისეთ სიტუაციას, ამა თუ იმ მწვრთნელს საკუთარი იდეების რეალიზაციისათვის სამი და მეტი წელიწადი რომ სჭირდება.

ჰოდა, როგორ ფიქრობთ, საქართველო უფრო ზუსტად, ქართული კლუბების ხელმძღვანელები რატომ უნდა იყვნენ გამონაკლისნი და რატომ უნდა ელოდონ თავისი გუნდის მწვრთნელისაგან სასურველ შედეგს... მესამე, მეოთხე თუ მეხუთე წელიწადს? ანუ, ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ, როცა მწვრთნელს სამ-ოთხი ვერმოგებული თამაშის მერე ათავისუფლებენ, ცოტა არ იყოს, უცნაურად მოჩანს გარედან. თანაც, ხშირად ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როცა ასეთ „ქირურგიულ ჩარევას"... უარესი შედეგი მოუტანია!

## რეკორდსმენი ფრუიძე

ვიდრე ამ სეზონში სამწვრთნელო გადაადგილებებს შეგახსენებდეთ, ერთ ინფორმაციასაც მოგაწვდით: უმაღლეს ლიგაში დღესდღეობით ორადორი სპეციალისტია, წინა სეზონი თავიდან ბოლომდე რომ ჩაამთავრა და დღესაც ინარჩუნებს თავის პოსტს! ასეთი სოლიდური ნდობის მანდატი მხოლოდ და მხოლოდ **დუშან უჰრინსა** („დინამო") და **სოსო ფრუიძეს** („ჩიხურა") აქვთ, რაც ბევრი მათი კოლეგისთვის მართლაც სანატრელია.

ფრუიძე დღესდღეობით სულაც რეკორდსმენია კოლეგებს შორის: ეს გამოცდილი სპეციალისტი „ჩიხურას" 2007 წლიდან თავკაცობს და საჩხერულ გუნდთან ერთად 5 სეზონი პირველ ლიგაში გაატარა; სოსო ფრუიძემ 2012 წელს „ჩიხურა" უმაღლეს ლიგაში გადაიყვანა, მერე თასის ფინალშიც გაიყვანა და, რაც მთავარია, წლეულს ზაფხულს საჩხერელთა გუნდმა, პირველად თავის ისტორიაში, ევროტურნირებზეც იასპარეზა!

ერთ გუნდში გატარებული ხანგრძლივობის რეკორდს უმიზნებდა კიდევ ერთი სპეციალისტი, **მალხაზ ჟვანია**: სწორედ ამ ახალგაზრდა მწვრთნელის დამსახურებაა, რომ მარტვილის „მერანი" უკვე მესამე სეზონია უმაღლეს ლიგაში ასპარეზობს; თუმცა, ჟვანიას 7-წლიანი მოღვაწეობა მარტვილურ გუნდში ამ ერთი თვის წინათ დასრულდა - ეს სპეციალისტი ამჟამად თბილისის „დინამო-2"-ის მთავარი მწვრთნელი გახლავთ.



**სოსო ფრუიძე**
**ჩიხურას 2007 წლიდან თავკაცობს**



**მალხაზ ჟვანია**
**მარტვილის მერანს 7 წლის განმავლობაში წვრთნიდა**

## ზოგი ლოგიკური, ზოგიც უცნაური...

მიმდინარე სეზონის პირველი სამწვრთნელო გადაადგილება „გურიაში" მოხდა: მერვე ტურის შემდეგ **დავით მახარაძე** უკრაინელმა სპეციალისტმა, **რომან პოკორამ** შეცვალა. მართალია, მახარაძე გუნდში დარჩა (ამჯერად - მეორე მწვრთნელად), მაგრამ მისი გათავისუფლება-დაქვეითების მიზეზი დღემდე აუხსნელია: ამ სპეციალისტმა „გურია", ფაქტობრივად, ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩაიბარა, თუმცა, იმდენი შეძლო, რომ მოუმზადებელი და ფაქტობრივად, ტურიდან-ტურამდე შეკოწიწებული გუნდით რვა ტურში... 12 ქულა დააგროვა! თანაც, მახარაძის ხელმძღვანელობით მოასპარეზე „გურიამ" ოთხივე საშინაო მატჩი (მათ შორის - „დინამოსთან" და „მეტალურგთან") მშობლიურ ლანჩხუთში კი არა, ქობულეთში მოიგო.

მორიგი სამწვრთნელო გადაადგილება, კი საკუთარი სურვილით მოხდა და ამაზე უკვე ზემოთ მოგახსენეთ: მალხაზ ჟვანიას „მერანიდან" წამოსვლასა და „დინამო-2"-ში გადასვლას ვგულისხმობთ. სხვათა შორის, ამ შემთხვევაში აზრები გაიყო: ზოგი მიიჩნევს, რომ ჟვანიამ კარიერული წინსვლის გათვალისწინებით, სწორი ნაბიჯი გადადგა, ზოგის აზრით კი მწვრთნელისთვის უმაღლესიდან პირველ ლიგაში გადასვლა, უკან გადადგმული ნაბიჯია...

მალხაზ ჟვანიას ნაცვლად „მერანის" მთავარ მწვრთნელად დებიუტანტი-სპეციალისტი **კახა ჩხეტიანი** დაინიშნა: ქუთაისის „ტორპედოს", „ზესტაფონის" და უნგრული „დებრეცენის" ყოფილ მარცხენაფლანგელს ურთულესი ამოცანის გადაჭრა მოუწევს. ამ შემთხვევაში, რალა თქმა უნდა, იმას ვგულისხმობთ, რომ „მერანმა" უნდა შეძლოს და უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნოს.

სხვათა შორის, ჩხეტიანთან ერთად ჰქონდა დებიუტი IX ტურში კიდევ ერთ მწვრთნელს: **გიორგი დევდარიანის** ნაცვლად გორის „დილას" გაძღოლა ამ გუნდისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ მეკარეს **რამაზ სოლოლაშვილს** მიენდო. თუმცა, სოლოლაშვილი 2011-12 წლების სეზონში მცირე ხნით (უფრო ზუსტად, დროებითი თავკაცის რანგში) თავკაცობდა „დილას" და მთლად დებიუტანტსაც ვერ დავარქმევთ. აი, ამ კვირაში კი ერთდროულად ორი სამწვრთნელო გადაადგილება მოხდა: როგორც უკვე იცით, **გიორგი კიკნაძე** „სიონიდან" წამოვიდა და პირველი ეტაპის ბოლომდე, ბოლნისელთა გუნდს **გიორგი ლოლაძე** დამოძღვრავს. ლოლაძე ამა წლის დასაწყისიდან „სიონის" სამწვრთნელო შტაბში მუშაობდა და მთავარი მწვრთნელის რანგში მართლაც მშვენიერი დებიუტი გამოუვიდა: ბევრისთვის მოულოდნელად, „სიონმა" თასის საპასუხო შეხვედრაში სტუმრად შეძლო „ზესტაფონის" დამარცხება და მეოთხედფინალში გავიდა.

თუმცა, პირველი წრის ბოლო ტურში, კვირა-ორშაბათს რომ უნდა ჩატარდეს, მხოლოდ ლოლაძე არ იქნება ერთადერთი ახალი მწვრთნელი: გუშინ ცნობილი გახდა, რომ **ვლადიმერ ხაჩიძის** ნაცვლად ცხინვალის „სპარტაკს" ამიერიდან **კახა კაჭარავა** გაწვრთნის! „სპარტაკი" დღესდღეობით ბოლო ადგილზეა, მაგრამ უახლოესი 2 მატჩი თბილისში აქვს და წარმატების შემთხვევაში სატურნირო მდგომარეობასაც გაიუმჯობესებს. რაც შეეხება კაჭარავას, თბილისის „დინამოს" და საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ყოფილი თავკაცი ამა წლის მაისიდან უმუშევარი იყო: წინა სეზონის ბოლოსწინა ტურში, „ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელის რანგში, ზუგდიდს" 2:0 მოუგო და იმერული კლუბიდან წამოვიდა.

**P.S** არ არის გამორიცხული, რომ ეს სია გაფართოვდეს. ყოველ შემთხვევაში, უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ გუნდში მოსალოდნელ, მართლაც დამაინტრიგებელ საკადრო ცვლილებას, ალბათ, მალე (შესაძლოა, დღესვე) გაასაჯაროვებენ.

**გია ტუხაშვილი**

საქართველოს პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაცია

# ახალი ასოციაცია ფედერაციას: დავიცვათ ფეხბურთელთა უფლებები!

11 სექტემბერს საზოგადოებამ „საქართველოს ფეხბურთელთა ასოციაციის" დაფუძნების თაობაზე შეიტყო. ეს ფიფას აგენტის **ბესარიონ აბაშიძის**, ადვოკატების - **იმედა დვალიძის, ზვიად კორძაძისა** და ყოფილი და ამჟამინდელი ფეხბურთელების - **ზურაბ ხიზანიშვილის, გოჩა ჯამარაულის, მიხეილ ყაველაშვილისა** და **ლევან ინწკირველის** ინიციატივით მოხდა.

გუშინ კი „პირველი რადიოს" პრესკლუბში მსგავსი პროფილის მეორე ორგანიზაციის, „საქართველოს პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის" პრეზენტაცია შედგა. მისი დამფუძნებლებიც ყოფილი ფეხბურთელები არიან - **ჯაბა მუჯირი, ედიკ საჯაია, სოსო გრიშიკაშვილი.**

როგორც ჯაბა მუჯირმა გვითხრა, იდეა ოთხი წლის წინათ, „ლელოში" დაბეჭდილი ერთ-ერთი წერილის შემდეგ დაებადა:

*„ბოლო ხანებში ფეხბურთელებსა და კლუბებს შორის დავები იმდენად გახშირდა, ამაზე თვალის დახუჭვა შეუძლებელი იყო. ამ იდეის განხორციელებაზე 4 წლის წინ დავფიქრდი, როცა „ლელოში" „ზესტაფონისა" და მისი ყოფილი მეკარის, გია ჭანტურიას შორის დავის დეტალებს გავეცანი. ერთი თვეა, რაც ასოციაცია შეიქმნა და ჩვენს რიგებში უკვე 150-მდე ფეხბურთელი გაწევრდა. ასოციაციის ძირითადი მიზანი ფეხბურთელთა ინტერესების დაცვაა. ჩვენი ოფიციალური პარტნიორი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კომპანია „ერისთავის იურიდიული ჯგუფი" გახდა, რომელიც ფეხბურთელებს იურიდიულ კონსულტაციებს უფასოდ გაუწევს. ასოციაცია ფეხბურთელებს მხოლოდ მათი კლუბების ინფორმირების შემდეგ დაელაპარაკა. ჩვენდამი ნდობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ „პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის" დამფუძნებლებიც ყოფილი ფეხბურთელები არიან. ასოციაცია დაფუძნდა არა კლუბებთან კონფრონტაციისთვის, არამედ, თანამედროვე ხედვების დასამკვიდრებლად - ფეხბურთელი მის დამქირავებელთან თანაბარ პირობებში უნდა იყოს და არა - კაბალურში. არადა, მოთამაშეები ხშირად სწორედ ასეთი კონტრაქტების მსხვერპლნი ხდებიან და დაუცველები არიან. კლუბები უარს ამბობენ მკურნალობის ხარჯებზე, ბედის ანაბარა ტოვებენ და ასე შემდეგ. ახლახან, ლიტვაში ერთი ფეხბურთელი დაშავდა და გამოუშვეს. მას ხელშეკრულებაში წარმოუდგენელი რამ ეწერა - თურმე კონტრაქტის მესამე პირისთვის გაცნობის უფლება არ ჰქონდა. და სწორედ იმიტომ, რომ ფეხბურთელის უფლებები დაცული არ იყო. ერთ კონტრაქტში კი ეწერა - თუ ფეხბურთელი ტრავმას 24 დღეში არ მოირჩენდა, ხელშეკრულება გაუქმდებოდა, კლუბის პასუხისმგებლობასა და მის მიერ მკურნალობის ხარჯის გასტუმრებაზე კი არაფერი ეწერა. ასოციაციაში უმაღლესი და პირველი ლიგის 150 ფეხბურთელის გაწევრნებაც სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენში დამკვიდრებული საკონტრაქტო სისტემა გადასახედია. კარგია, რომ ჩვენი ორგანიზაციის აუცილებლობას კლუბებიც აღიარებენ, ხოლო ფეხბურთელებმა დასძლიეს შიში, რომ კლუბები ჩვენთან გაწევრებაში ხელს შეუშლიდნენ. მხოლოდ უმაღლესი ლიგის სამ კლუბს ვერ შევხვდით, მაგრამ ვგეგმავთ".*



მარცხნიდან: ედიკ საჯაია, ჯაბა მუჯირი, კახა კუჭავა

**კახა კუჭავა**, „ერისთავის იურიდიული ჯგუფის" წარმომადგენელი, ასოციაციის გამგეობის წევრი: *„ჩვენი სურვილია, ფეხბურთელებს არსებული პრობლემების მოგვარებაში დავეხმაროთ. ეს უკვე გაფორმებულ ხელშეკრულებებს ვერ შეეხება. მომავალში სხვადასხვა ინიციატივით გამოვალთ".*

ჯაბა მუჯირს ადრე დაარსებულ „საქართველოს ფეხბურთელთა ასოციაციასთან" მსგავსებაზეც ვკითხეთ და იმაზეც, თუ რატომ ვერ გაერთიანდა შინარსითა და მიზნებით იდენტური ორი ორგანიზაცია:

*„მოკლედ ვიტყვი, რომ ჩვენ შორის განსხვავება გადაწყვეტილების მიღების პრინციპებშია. ჩვენ გუნდურობას ვამჯობინებთ".*

ამას გარდა: *„ჩვენი მიზანია, სტანდარტული კონტრაქტები შედგეს, სადაც მხოლოდ ციფრები ჩაიწერება. ამის შესახებ კლუბებსაც ვაცნობეთ. მაგრამ ერთია ჩვენი შეთავაზება და მეორეა, როცა ფეხბურთელი კლუბთან ერთი ერთზე დარჩება. ამიტომ, უახლოეს პერიოდში, ამ წინადადებით ფედერაციასაც მივმართავთ - ფეხბურთელთა უფლებები მინიმალურ დონეზე მაინც იყოს დაცული".*

ბოლოს მუჯირს ეგრეთ წოდებული „შავი კონტრაქტების" თაობაზეც ვკითხეთ: *„ეს მსოფლიო ფეხბურთის პრობლემაა. გამოსავალი მინიმალური ხელფასის დადგენაა. ასე გააკეთეს სერბეთში და პრობლემა მოისპო".*

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი



გურამ კაშია (ზურგით)

# სად ითამაშებს გურამ კაშია?

### გახოკიძე ანდერლეხტს კიდევ დაელაპარაკება

**საქართველოს ნაკრების წარუმატებლობა ჩვენებურ მენეჯერებს ლამის უსაქმოდ ტოვებს. სამწუხაროდ, დიდი ხანია, რაც ჩვენი ფეხბურთელები სერიოზული კლუბების სამიზნეზე აღარ არიან. ამიტომ, ნამდვილი „განძის“ მოსაძებნად მენეჯერებს ერთმანეთში დიდი კონკურენცია აქვთ...**

იშვიათი გამონაკლისი არნემის „ვიტესის“ კაპიტანი, საქართველოს ნაკრების მცველი **გურამ კაშიაა**, რომლის შესახებ მიმდინარე მოლაპარაკებების თაობაზე ფიფას აგენტმა **გოგა გახოკიძემ** გვიამბო:

„გურამ კაშიათი ინგლისური პრემიერლიგის კლუბი „სანდერლენდი“ და გერმანიის ბუნდესლიგის წარმომადგენელი „შტუტგარტი“ დაინტერესდნენ. გერმანელებს იჯარა სურდათ, რაც არ გამოვიდა. ყველაზე სერიოზული ინტერესი მაინც „ანდერლეხტის“ მხრიდან იყო. ამ გუნდს ხომ „ვიტესის“ ყოფილი მწვრთნელი ჯონ ვან დენ ბრომი ავარჯიშებს. მას გურამი ძალიან მოსწონს და მისი ბელგიაში გადაყვანა სურდა. მაგრამ ჯერ ახალი არაფერია. კაშია თავს „ვიტესშიც“ კარგად გრძნობს, გუნდის კაპიტანია, მაგრამ უკეთეს კლუბსა და უკეთეს პირობებზე უარს რატომ იტყვის? არის ლაპარაკი, რომ „ანდერლეხტში“, შესაძლოა, მაინც წავიდეს. მალე ევროპაში მივდივარ და დაინტერესებულ კლუბებს კიდევ ერთხელ დაველაპარაკები“.

გახოკიძემ დაადასტურა, რომ 2012 წლის დასაწყისში კაშიათი „ჩელსიც“ დაინტერესდა: „მაშინ ინგლისელებს რამდენიმე ცენტრალური მცველი დაუშავდათ და სასწრაფოდ მათ შემცვლელებს ეძებდნენ. სიაში კაშიაც მოხვდა. მაგრამ ლონდონელებმა არჩევანი სხვა ფეხბურთელზე შეაჩერეს. „ჩელსისთან“ კონკრეტულ მოლაპარაკებამდე საქმე არ მისულა“.

გახოკიძე მიიჩნევს, რომ საინტერესო პერსპექტივა აქვს მარტვილის „მერანის“ თავდამსხმელს, 17 წლის **აკაკი შულაიას**: „ეს ბიჭი ნამდვილი ტალანტია და ცოტა ხნის წინ მასთან კონტრაქტიც გავაფორმეთ. შულაია სამი წლის წინ შევნიშნე, ძალიან მომეწონა და ამ პერიოდში მან დიდი პროგრესი განიცადა. თუ ძველებურად გააგრძელა შრომა, დარწმუნებული ვარ, ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი ფეხბურთელი გახდება. საქართველოში არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ უცხოეთში წასასვლელი ფეხბურთელების გრძელი სია ჩამოვწეროთ. სამწუხაროდ, საინტერესო ფეხბურთელთა რაოდენობა საკმაოდ შეზღუდულია, მაგრამ თუ ვინმე გამოჩნდება, ხელშეწყობა, გვერდში დგომა და დაკვალიანება სჭირდება“.

გახოკიძის თქმით, ქართველებს არასპორტული მოტივებითაც ერიდებიან: „ახალი ამბავი არ არის, რომ ზოგიერთ ჩვენს ფეხბურთელს ხასიათს უწუნებენ... საქმისადმი არაპროფესიული დამოკიდებულების მაგალითი არა ერთი და ორი გვქონია და ამის გამო, ქართველებს, ზოგადად, სახელი გატეხილი გვაქვს. არადა, უმრავლესობას არც შრომა ეზარება და დისციპლინითაც გამოირჩევა“.

საქართველოს ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი სხვა პრობლემაზეც ლაპარაკობს: „არის კავშირები, შეიძლება, რომელიმე კლუბი ქართველით დააინტერესო და მოთამაშის გასინჯვას დათანხმდეს. მაგრამ უბედურება ისაა, რომ საქართველოში ჩამოსვლა არავის სურს. ერთია, როცა მოთამაშე უცხოურ გუნდში ისინჯება და მეორე, როცა მათ საკუთარ ქალაქსა და გუნდში ვილაც დააკვირდება. ფეხბურთელის რეალურ შესაძლებლობებს მხოლოდ ასე შეაფასებ. მაგრამ ისეთი ჩემპიონატი გვაქვს, რომ ძნელია, ვინმე დააინტერესო. უცხოელი სელექციონერები მხოლოდ ნაკრების თამაშებს თუ ესწრებიან და ისიც მაშინ, როცა ესპანეთს, საფრანგეთს, იტალიასა და ინგლისს ვხვდებით. ამას გარდა, ევროკავშირის ქვეყნებში არაევროკავშირელის დამატებაზე სერიოზული გადასახადებია. მაგალითად, ჰოლანდიაში 540 ათასი ევროა. მართალია, „დიორის“ პრეზიდენტის მრჩეველმა ლაშა ოდილაძემ ლოზანის სპორტულ არბიტრაჟში პროცესი მოიგო და ქართველი ევროკავშირის წევრ უნგრეთში ლეგიონერად არ ითვლება, მაგრამ ეს გადაწყვეტილება სხვა ქვეყანაში ვერ ამოქმედდა - არაევროკავშირელებს მაინც საკმაოდ ზღუდავენ. ქართველი ფეხბურთელების ტრანსფერებზე მუშაობა ამ ბარიერის გამოც გართულდა“.

გახოკიძე ახალს არ ამბობს იმით, რომ ქართულ ფეხბურთში მძიმე მდგომარეობაა: „ამ ვითარებიდან თავის დაღწევა ერთეულების ძალისხმევით შეუძლებელია. ამ საქმეში სახელმწიფო უნდა ჩაერიოს და ფეხბურთს მიხედოს. თითოეულ ჩვენგანს ძალიან დიდი მადა აქვს და გვსურს, რომ საქართველოს ნაკრები ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე გავიდეს. მაგრამ დღევანდელ ვითარებაში ეს შეუძლებელია. ვინც უნდა მივიდეს ეროვნულ ნაკრებში, შესაძლოა, რაღაც შეცვალოს, მაგრამ არა რადიკალურად - გულშემატკივრის ნატვრას ახლა ვერავინ აასრულებს. ჩვენს ფეხბურთს საკმაოდ კარგი ტრადიციები რომ ჰქონდა, ეს წარსულია, ახლა კი საფუძველს არაფერი გვიმყარებს. სამწუხაროა, რომ ბევრი მაღალი დონის მოთამაშე არ გვყავს და ნაკრებში კონკურენცია არ არის“.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

## ავთანდილ ბრაჭული

# შესაძლოა, ისევ რუსეთში წავიდე

2010 წლის ივლისში, ავთანდილ ბრაჭულმა, როგორც პირველი ლიგის ბინადარ „დუშეთის“ ფეხბურთელმა, კონტრაქტი გააფორმა „გაგრასთან“, მაგრამ გუნდში ერთი ოფიციალური მატჩიც არ ჩაუტარებია, აგვისტოში კი რუსეთის მაშინდელმა ჩემპიონმა, ყაზანის „რუბინმა“ გაუფორმა ხელშეკრულება.

ბრაჭული სისტემატურად თამაშობდა 19-წლამდელთა ნაკრებში, ხშირად იწვევდნენ ოთარ გაბელიას დროინდელ ახალგაზრდულშიც... მოკლედ, ჰქონდა შანსი, შესაძლებლობები წარმოეჩინა. მაგრამ „რუბინთან“ კონტრაქტის დასრულების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და პირველი ლიგის კლუბ ქობულეთის „შუქურაში“ ჩაირიცხა.

სხვათა შორის, 2012 წლის ზაფხულში ბრაჭულის დამატება ქუთაისის „ტორპედოს“ სურდა, მაგრამ „რუბინთან“ ვერ მოილაპარაკეს.

ორიოდე დღის წინ, ბრაჭულმა თავისი წვლილი შეიტანა საქართველოს თასზე „ვიტ ჯორჯიას“ დამარცხებაში, რის შემდეგაც „შუქურა“ მეოთხედფინალში გავიდა.

რატომ დაბრუნდა 21 წლის ფეხბურთელი საქართველოში და სად აპირებს კარიერის გაგრძელებას? ამის შესახებ ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ...

**- ჯერ „ვიტ ჯორჯია“-“შუქურას“ მატჩზე გკითხავთ. შედეგი მოულოდნელი აღმოჩნდა...**

- ჩვენთვისაც მოულოდნელი იყო, იმის გათვალისწინებით, რომ უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდებს შორის ფიზიკურ მომზადებაში საკმაოდ დიდი სხვაობაა. თანაც, „ვიტ ჯორჯია“ სწორედ ფიზიკური მომზადებით გამოირჩევა. მართალია, სეზონი კარგად დავიწყეთ და პირველ ლიგაში მესამე ადგილზე ვართ, მაგრამ მაინც სხვა ტემპს შევეჩვიეთ და უმაღლესი ლიგის გუნდთან თამაში ძნელი იყო. მეტოქემ ბევრი მომენტიც შეგვიქმნა. საბედნიეროდ, ბრძოლისუნარიანობა და მონდომება მაინც დაგვიფასდა.

**- „რუბინის“ მსგავსი კლუბები ყველასთვის ტრამპლინია, თქვენ კი საქართველოში დაბრუნდით...**

- სამწუხაროდ, ხელი ტრავმებმა შემიშალა და ზაფხულში, ყაზანელებთან კონტრაქტი რომ დამიმთავრდა, სერიოზული წინადადება არც მქონია. ამ დროს კი, რევაზ ჩელებაძემ „შუქურაში“ ფორმის აღდგენისა და კარიერის ხელახლა აწყობის შანსი მომცა.

**- რუსეთსა და ასაკობრივ ნაკრებებში ნათამაშებს რომელიმე რუსულ კლუბში მოხვედრის შანსი არ გქონდათ?**

- რამდენიმე კლუბი დაინტერესდა, მაგრამ სწორედ იმ პერიოდში ველოდი, რომ „რუბინთან“ ახალ სამწლიან კონტრაქტს გავაფორმებდი და იჯარით პირველი ლიგის კლუბ ნიჟნეკამსკის „ნეფტოხიმიკში“ გადავიდოდი. ამ გუნდში ვიყავი კიდეც, მაგრამ იქ სიტუაცია იყო არეული და დარჩენა არ ღირდა. მერე, კონტრაქტის დასრულებამდე 4 თვე ტრავმა მაწუხებდა და ასეთ მდგომარეობაში სად უნდა წავსულიყავი?

**- საქართველოში დაბრუნება და აქაურ პირველ ლიგაში თამაში ფსიქოლოგიურად ძნელი დასაძლევი იყო?**

- რა თქმა უნდა. თანაც, ხშირად ვვარჯიშობდი „რუბინის“ ძირითად შემადგენლობასთან ერთად და ორი ამხანაგურიც ვითამაშე. არ ვტრაბახობ, საკმაოდ კარგ ფორმაში ვიყავი. დუბლებშიც ხშირად გამოვდიოდი და სეზონში 19 მატჩი ჩავატარე, დანარჩენები ტრავმის გამო გამოვტოვე. ამ პერიოდში საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებშიც სისტემატურად მიწვევდნენ, 19-წლამდელებში კაპიტანიც ვიყავი, წინა ციკლში ოთარ გაბელია ახალგაზრდულშიც ხშირად მეძახდა. ალექსანდრე ჩივაძემაც გამომიძახა, მაგრამ სწორედ მაშინ დავშავდი... ახლა მხოლოდ ამაზე რომ ვიფიქრო, არაფერი გამოვა. ჯერ 21 წლის ვარ და იმედგაცრუება არ მარგებს.

**- „შუქურაში“, რომ იტყვიან, ფეხბურთში ჭიპმოჭრილი ხალხია - რევაზ ჩელებაძე, ვალერიან ჩხარტიშვილი, ასლან ბალაძე. მაგრამ იმას ვერსად გავექცევით, რომ საქართველოში კარგად მომზადების საშუალება არ არის, მით უფრო, პირველ ლიგაში...**

- ყველაზე კარგი ვარჯიში მაინც სათამაშო პრაქტიკაა, რისი პრობლემაც „შუქურაში“ არ მაქვს. მერე კი ვნახოთ. ბატონი რეზო მპირდება, რომ რუსეთში წამიყვანს. ჯერ კონკრეტული არაფერია, მაგრამ იანვარში შეკრება და კარგი სპარინგები გვექნება და იმედია, საინტერესო გუნდიც გამომიჩნდება.

**მერაბ მამულაშვილი**


ავთანდილ ბრაჭული

## II ლიგა

### დასავლეთი ზონა. IX ტური

| | |
|---|---|
| საპოვნელა 2-შუქურა 2 | 2:5 |
| კოლხეთი 2 (ფ)-მარგვეთი | 0:0 |
| სამეგრელო-დინამო 2 (ბთ) | 0:5 |
| კოლხეთი 2 (ხ)-მერცხალი 2 | 1:0 |
| ლაზიკა-ეგრისი | 2:0 |
| ქუთაისი-საირმე | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლაზიკა | 8 | 7 | 1 | 0 | 20-0 | 22 |
| 2. მარგვეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 20-12 | 17 |
| 3. დინამო 2 (ბთ) | 8 | 5 | 1 | 2 | 18-7 | 16 |
| 4. რაჭა | 8 | 5 | 1 | 2 | 15-12 | 16 |
| 5. ეგრისი | 8 | 5 | 0 | 3 | 17-9 | 15 |
| 6. ქუთაისი | 8 | 4 | 1 | 3 | 21-15 | 13 |
| 7. კოლხეთი 2 (ფ) | 9 | 4 | 1 | 4 | 15-17 | 13 |
| 8. შუქურა 2 | 8 | 3 | 2 | 3 | 13-13 | 11 |
| 9. კოლხეთი 2 (ხ) | 8 | 3 | 1 | 4 | 13-12 | 10 |
| 10. საირმე | 9 | 3 | 1 | 5 | 15-19 | 10 |
| 11. საპოვნელა2 | 9 | 3 | 1 | 5 | 20-25 | 10 |
| 12. მერცხალი 2 | 9 | 0 | 1 | 8 | 4-24 | 1 |
| 13. სამეგრელო | 9 | 0 | 1 | 8 | 2-28 | 1 |

### აღმოსავლეთი ზონა. VIII ტური

| | |
|---|---|
| მარკ სტარი-რუსთავი | 12:1 |
| საქ. უნივერსიტეტი-გოლიადორი | 3:2 |
| იბერია-ივერიონი | 1:2 |
| აზული-დურუჯი | 2:0 |
| სასკო 2-ფორვარდი | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორჯომი | 7 | 6 | 1 | 0 | 22-3 | 19 |
| 2. მარკ სტარი | 8 | 6 | 0 | 2 | 39-8 | 18 |
| 3. საქ. უნივერსიტ. | 8 | 6 | 0 | 2 | 29-11 | 18 |
| 4. ლიახვი | 7 | 5 | 2 | 0 | 17-5 | 17 |
| 5. ივერია | 7 | 5 | 1 | 1 | 20-10 | 16 |
| 6. გოლიადორი | 8 | 5 | 0 | 3 | 25-17 | 15 |
| 7. ივერიონი | 8 | 3 | 4 | 1 | 14-10 | 13 |
| 8. არაგვი | 7 | 2 | 3 | 2 | 13-13 | 9 |
| 9. ალაზანი | 7 | 2 | 2 | 3 | 10-16 | 8 |
| 10. აზული | 8 | 2 | 1 | 5 | 8-14 | 7 |
| 11. დურუჯი | 8 | 2 | 1 | 5 | 5-11 | 7 |
| 12. დინამო (ს) | 7 | 2 | 1 | 4 | 8-20 | 7 |
| 13. იბერია | 8 | 2 | 1 | 5 | 10-28 | 7 |
| 14. რუსთავი | 8 | 2 | 0 | 6 | 12-36 | 6 |
| 15. ფორვარდი | 8 | 1 | 1 | 6 | 5-19 | 4 |
| 16. სასკო2 | 8 | 1 | 0 | 7 | 6-22 | 3 |

U 17

# ყიფიანმა და მელქაძემ უარი თქვეს, დროებით...

მცირე ხნის წინ ვწერდით, რომ ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის ელიტრაუნდში გასულ რუსეთის ნაკრებში ორმა ქართველმა - **ნიკა ყიფიანმა** და **გიორგი მელქაძემ** ითამაშა.

შეგახსენებთ, რომ ყიფიანი, რომელმაც რუსეთის ნაკრების ფორმით ჩატარებულ 13 შეხვედრაში 1 გოლი გაიტანა, თბილისში დაიბადა, მოსკოვში **რინატ დასაევის** საფეხბურთო აკადემიაში ვარჯიშობდა, ამჟამად კი მოსკოვის „ლოკომოტივის“ 17-წლამდელთა გუნდის გამთამაშებელი, ბომბარდირი და ლიდერია. შესარჩევ ციკლში მან ორჯერ ითამაშა ძირითად შემადგენლობაში, მესამე შეხვედრა კი ორი ყვითელი ბარათის გამო გამოტოვა.

მელქაძემ კი რუსეთის ნაკრების ფორმა 19 მატჩში მოირგო და 2 გოლი გაიტანა, შესარჩევში კი ბოლო ორ დაპირისპირებაში მიიღო მონაწილეობა. გიორგი რუსეთის დედაქალაქში 1997 წლის 4 აპრილს დაიბადა, მოსკოვის „დინამოს“ საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშობდა, შემტევი ნახევარმცველია, „სპარტაკის“ 17-წლამდელთა გუნდის კაპიტანი და ბომბარდირიც გახლავთ.

ჩვენი გულისტკივილი იმით იყო გამოწვეული, რომ ელიტრაუნდში მოხვედრის მიუხედავად, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა შესარჩევ ციკლში კარგი შთაბეჭდილება ვერ დატოვა და კვალიფიციურ მოთამაშეთა დეფიციტიც გამოჩნდა. დაინტერესდა თუ არა ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობა რუსეთში მოთამაშე ქართველებით? ამ კითხვით გუნდის მენეჯერ **გიორგი კაციტაძეს** მივმართეთ.

„ცხადია, ასეთ საინტერესო ფეხბურთელებს ჩვენ თავად ვეძებთ და არც ერთ მათგანს უყურადღებოდ არ ვტოვებთ. ნიკა ყიფიანსა და გიორგი მელქაძეზე ინფორმაცია უკვე ორი წელია გვაქვს. ვიცით ასევე, რომ ყიფიანის უმცროსი ძმაც ფეხბურთელია, არანაკლებ ნიჭიერი ბიჭია და ისიც მოსკოვის „ლოკომოტივის“ ასაკობრივ გუნდში თამაშობს. რაც შეეხება დაინტერესებას: მე რაც ვიცი, ჩვენი გუნდის მთავარი მწვრთნელი ნოდარ აკობია შესარჩევის ციკლის დაწყებამდე ორივე მათგანს ელაპარაკა, რადგან ნაკრებში ორივეს მიწვევა სურდა. ყიფიანსა და მელქაძეს საქართველოს ნაკრებში თამაში სურთ. მაგრამ ახლა რომ დაგვთანხმდეთ, შესაძლოა, რუსეთში პრობლემები შეგვექმნასო და ჩამოსვლაზე თავი შეიკავეს. მათი კარგად გვესმის, კარგ პირობებში ვარჯიშობენ, ცნობილ კლუბებში თამაშობენ... მოკლედ, პერსპექტივა აქვთ და, ღმერთმა ქნას, დიდი ფეხბურთელები გახდნენ, მერე კი ჩვენს ეროვნულ ნაკრებს მაინც გამოადგებიან. მთავარია, ამის სურვილი ორივეს აქვს“, - გვითხრა კაციტაძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინტერვიუ. პეპ გვარდიოლა

# ჩემი ცხოვრების ახალი ფურცელი მიუნხენში იწერება

**რუსულმა ვებგვერდმა championat.com-მა მკითხველს სასიამოვნო სიურპრიზი შესთავაზა. აქამდე პეპ გვარდიოლას ურთიერთობა პრესასთან პრესკონფერენციებით თუ შემოიფარგლებოდა. მასთან ექსკლუზიური ინტერვიუ ძნელად გასახსენებელია, თანაც ასეთი მოცულობის. ვფიქრობთ, 42 წლის ესპანელთან შეხვედრა მარტო „ბაიერნის“ გულშემატკივრებისთვის არ უნდა იყოს საინტერესო. მაშ ასე, წარმოგიდგენთ პეპის ცხოვრების ახალ ფურცელს, რომელიც მიუნხენში იწერება.**



პეპ გვარდიოლა მიუნხენში დარჩენას დიდხანს იმედოვნებს

**- გულშემატკივარი და ზოგადად საფეხბურთო საზოგადოება „ბაიერნის“ თამაშის ხარისხით აღფრთოვანებულია. „გვარდიოლას ფეხბურთის“ რამდენი პროცენტით თამაშობს გუნდი ამ ეტაპზე?**

- „მანჩესტერ სიტისა“ და „ლევერკუზენთან“ იყო მონაკვეთები, რომლის ხილვას რეგულარულად ვისურვებდი. იმისთვის, რომ ეს დონე შევინარჩუნოთ, ძალიან დიდი შრომა გვმართებს. ვერ წარმოვიდგენდი, რომ გუნდი ოქტომბერში ასე ითამაშებდა.

**- გიოტცეს, მარტინესისა და ტიაგოს პოტენციალს ჯერჯერობით ბოლომდე ვერ იყენებთ. მათთან ერთად „ბაიერნი“ კიდევ უფრო ძლიერი იქნება?**

- როცა ისინი ოპტიმალურ ფორმაში შევლენ, დარწმუნებული ვარ, რომ უკეთესად ავთამაშდებით. იმისთვის, რომ ტიტულებისთვის ვიბრძოლოთ, თითოეულმა ფეხბურთელმა უნდა შეასრულოს ჩემი მითითებები. წინააღმდეგ შემთხვევაში პრობლემები შეგვექმნება.

**- ამბობენ, რომ 24 საათის განმავლობაში ფეხბურთზე ფიქრობთ. რა დრო გჭირდებათ იმისთვის, რომ ძირითადისთვის 11 კაცი შეარჩიოთ?**

- დარწმუნებული ვარ, სხვებიც ასე იქცევიან. საფეხბურთო მწვრთნელს არ უნდა ჰქონდეს ილუზია, რომ 8 საათი იმუშავებს და საღამოს 5-ზე სახლში წავა დასასვენებლად. გადაწყვეტილების მისაღებად ხან 2 საათი მყოფნის, ხან 20 საათი მჭირდება, რაც შეეხება სასტარტოს, ამას როგორც წესი, სწრაფად ვწყვეტ. ძირითადის განსაზღვრას ტვინის დაძაბვა ნაკლებად სჭირდება, ეს უფრო ინტუიციისა და შეგრძნებების თანხვედრაა.

**- 2012 ზაფხულზე ნიუ იორკში წახვედით დასასვენებლად. ინტუიციამ რატომ მოგიყვანათ გერმანიაში და არა ინგლისში, იტალიაში ან საფრანგეთში?**

- როცა მიუნხენიდან პირველად დამირეკეს, ორი წამის შემდეგ უკვე მივხვდი, რომ უნდა დავთანხმებულიყავი. ასეთ კლუბში და ასეთ გუნდთან მუშაობის შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა. მეორედ ისინი ალბათ აღარც შემეხმიანებოდნენ.

**- მიგაჩნიათ, რომ ამჟამად „ბაიერნი“ ყველაზე პერსპექტიული კლუბია მსოფლიო ფეხბურთში?**

- დიახ, თუმცა მწვრთნელისთვის ამაზე მსჯელობა რთულია. კლუბს მუზეუმში უთვალავი ტიტული აქვს გამოფენილი, მარტო შარშან სამი ტურნირი მოიგო, ამაზე მეტს ის ვერაფერს იზამდა. ამიტომაც ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ არა მხოლოდ შედეგზე, არამედ ლამაზ ფეხბურთზეც.

**- წარმატებულად სეზონს რა შემთხვევაში მიიჩნევთ?**

- თუკი ჩემპიონატს მოვიგებთ, რადგან ეს ყველას უნდა. ამასთან, გულშემატკივრები უნდა გრძნობდნენ, რომ მოედანზე ჩვენს გულებს ვტოვებთ. ჩემპიონთა ლიგაში ტიტულის დაცვა უფრო რთული იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ 1976 წლის შემდეგ „ბაიერნმა“ ეს ტურნირი მხოლოდ ორჯერ მოიგო.

**- 2014 წლის ლიგის ფინალში „ბარსელონასთან“ შეხვედრას თუ ისურვებდით?**

- ადრე თუ გვიან მოგვიწევს დაპირისპირება, თუმცა ამ გზაზე სხვებსაც შეიძლება გადავეყაროთ, თუნდაც „რეალს“ ან „დორტმუნდს“. „ბარსასთან“ შეხვედრა ჩემთვის განსაკუთრებული იქნება, თუმცა ამწუთას მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ 1/8-ფინალში უნდა გავიდეთ.

**- წარმოვიდგინოთ, რომ 2011 წლის „ბარსელონა“ ამჟამინდელ „ბაიერნს“ ხვდება. ბურთს ვინ ჩაიგდებდა ხელში?**

- კარგი შეკითხვაა. „ბარსელონა“ მარტო ლამაზ ფეხბურთს კი არ თამაშობდა, ხასიათითაც ძალიან ძლიერი იყო. სწორედ ამის გამო ვცემ განსაკუთრებულ პატივს ჩემს ამჟამინდელ გუნდსაც. ცხადი მხოლოდ ერთი რამ არის, სადაც ვმუშაობდი, იმ გუნდებს ყოველთვის უყვარდათ ბურთის კონტროლი.

**- რითი განსხვავდება ფეხბურთი ესპანურ პრიმერასა და ბუნდესლიგაში?**

- გერმანიაში ფეხბურთელები ფიზიკურად განსაკუთრებით ძლიერები არიან, რაც მათთან პირისპირ თამაშს ართულებს. ის, რომ ბუნდესლიგაში უფრო უკეთ თამაშობენ კონტრშეტევებზე და ხანდახან გადამწყვეტი ფაქტორი სტანდარტულები ხდება, სწორედ ათლეტიზმის დამსახურებაა. მთლიანობაში ამ ქვეყანაში გუნდების მაღალი დონე და სანახაობრივი მხარე ჩემთვის სიურპრიზი აღმოჩნდა. განსაკუთრებით მომეწონა სტადიონებზე არსებული ატმოსფერო. ხალხი აქ ოჯახებთან ერთად დადის. ასევე მეჩვენება, რომ ნაკლებად არიან ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი გულშემატკივართა ჯგუფები.

**- თუ არის გარემოება, რამაც მოედანს მიღმა განსაკუთრებით გაგაოცათ?**

- მაგალითად, უზარმაზარი სხვაობაა ჟურნალისტებში. ისინი აქ ბევრად უფრო მშვიდად იქცევიან, მათ შორის პრესკონფერენციებზეც. სიახლე იყო ასევე ღია ვარჯიშები, რაც, მითხრეს, რომ „ბაიერნის“ ტრადიციაა. სწორედ ამიტომ ვცდილობ მასთან შეგუებას. ძალიან მომეწონა ოქტობერფესტზე შექმნილი ატმოსფეროც.

**- განაპირა მცველი ფილიპ ლამი საყრდენი ნახევარმცველად გადაიყვანეთ. ხომ არ ნიშნავს, რომ ის ამ პოზიციაზე დარჩება?**

- ამ პოზიციაზე ერთბაშად სამი ფეხბურთელი გვყავდა ტრავმირებული, მარტინესი, შვაინშტაიგერი და ტიაგო. დაცვის სტაბილურობისთვის რაღაც უნდა გაგვეკეთებინა. ხარისხიანი შუა ხაზის გარეშე კი ამის გაკეთება შეუძლებელი იყო. ლამის გარეშე არ იქნებოდა შესანიშნავი თამაშები „სიტისთან“ და „ლევერკუზენთან“. ტრავმირებულების მწყობრში ჩადგომასთან ერთად ლამი თავის ადგილას დაბრუნდება.

**- ნიუ იორკში ცხოვრების შემდეგ მიუნხენი როგორია?**

- აბსოლუტურად განსხვავებული. სამწუხაროდ, აქ არ არის ზღვა და პლაჟი, თუმცა მაინც ძალიან ლამაზია. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ჩემი ოჯახი აქ თავს კომფორტულად გრძნობს. იმედია, ამ ქალაქში დიდხანს დავრჩები, რათა უკეთ შევისწავლო ის.

**- საყვარელი ადგილი რომელია?**

- ძირითად დროს ზებენერშტრასეზე ვატარებ. განსაკუთრებული არაფერი აღმომიჩენია, თუმცა შემიძლია ვთქვა, რომ აქაური რესტორნები ძალიან მაგარია. წარმოუდგენლად გემრიელ სოსისებს აკეთებს ული ჰიონესის ფირმა.

**- ქუჩაში განსაკუთრებულ ყურადღებას თუ გრძნობთ?**

- არა, რადგან ხალხი ძალიან თავშეკავებულია. ავტოგრაფს და საერთო ფოტოს თუ მთხოვენ, მაშინაც მოწიწებით. „ბაიერნის“ გულშემატკივრები კი არიან, მაგრამ პირად სივრცეს ნაკლებად ეხებიან და პატივს გცემენ, რაც მათში ძალიან მომწონს.

● ინგლისი. ლიგის თასი. 1/8-ფინალის გამოხმაურება

# ნაცნობი წყვილები

**ნიუკასლი–სიტი 0:0 დ.დ 0:2**

**გოლები:** 0:1 ნეგრედო (99), 0:2 ჯეკო (105)

**ნიუკასლი:** კრული, დებუში, იანგა-მბივა, უილიამსონი, აიდარა (46. დამეტი - 80. ბენ არფა), ანიტა, ტიოტე, სისოკო, გუფრანი, სისე, შ. ამეობი (66. კაბაი)

**სიტი:** პანტილიმონი, რიჩარდსი (82. საბალეტა), ბოაიტა, ლესკოტი, კოლაროვი, როდუელი (63. დ. სილვა), ხ. გარსია, ნავასი, მილნერი, იოვეტიჩი (9. ნეგრედო), ჯეკო

**ტოტენჰ.–ჰალი 1:1 დ.დ 1:1 პენ: 8:7**

**გოლები:** 1:0 სიგურდსონი (16), 1:1 ფრიდელი (53-ს.კ-ში), 1:2 მაკშეინი (99), 2:2 კეინი (108)

**პენ:** 1:0 სიგურდსონი, 1:0 მაკლინი (მეკარე); 2:0 დეფო, 2:1 ქუინი; 3:1 ვერტონგენი, 3:2 ბოიდი; 3:2 ლამელა (მეკარე), 3:3 გედო; 4:3 კეინი, 4:4 პროშვიტცი; 5:4 პაულინიო, 5:5 მეილერი; 6:5 კაბული, 6:6 როსენიორი; 7:6 დემბელე, 7:7 მაკშეინი; 8:7 უოლკერი, 8:7 ელმოჰამადი (მეკარე)

**ტოტენჰემი:** ფრიდელი, უოლკერი, კაბული, ვერტონგენი, ნაუტონი (67. კირიკეში), დემბელე, პაულინიო, ერიკსენი (67. შადლი - 77. კეინი), სიგურდსონი, ლამელა, დეფო

**1/8-ფინალის დარჩენილი წყვილი**

6 ნოემბერი: **სანდერლენდი-საუთჰემპტონი**

**1/4-ფინალში შეხვდებიან**

9 დეკემბერი: **ლესტერი-მანჩესტერ სიტი, სტოკ სიტი-მანჩესტერ იუნაიტედი, სანდერლენდი/საუთჰემპტონი-ჩელსი, ტოტენჰემი-ვესტ ჰემი**

სწორედ იმით არის განუმეორებელი, რომ არავინ იცის წინასწარ როგორ დასრულდება ის. შესანიშნავ მატჩს დაძაბული დასასრული ჰქონდა. სიმართლე გითხრათ, 3-4 თვეა პენალტების სერიისთვის არ გვივარჯიშია,“ - განაცხადა მატჩის შემდეგ **ანდრე ვილაშ ბოაშმა.**

## პელეგრინი მომავალს გეგმავს

„სიტი“ და „ნიუკასლი“ მიმდინარე სეზონში მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს და ფავორიტმა ამჯერადაც მიაღწია მიზანს. პრემიერლიგის პირველ ტურთან ოთხშაბათის შეხვედრის შედარება არ შეიძლება. მიუხედავად „სიტის“ სოლიდური უპირატესობისა, ეს არ იყო ის, რაც აგვისტოში „ეტიჰადზე“ ხდებოდა. „ქალაქელებმა“ მეტოქე მაშინ მიწასთან გაასწორეს. ამჯერად „კაჭკაჭებს“ შანსი მაინც ჰქონდათ თავის გამოსაჩენად. შეხვედრის დებიუტში **სისე** ცოტა უფრო ზუსტი რომ ყოფილიყო, **პანტილიმონს** ბურთს თავზე გადაუგდებდა. არადა, როგორი საქმეა ამის გაკეთება, როცა რუმინელი 202 სმ-ია. გამარჯვებულის ვინაობა **ჯეკომ** გადაწყვიტა. ბოსნიელმა ჯერ **ნეგრედოს** გაატანინა, მერე თავად შეაგდო. „სიტის“ ანგარიშის გაზრდა კიდევ შეეძლო, თუმცა საბოლოოდ აღარაფერი შეცვლილა. თამაშის დასრულების შემდეგ, ბუნებრივია, **პელეგრინის ჰარტის** თავს დატრიალებულ ამბებზე მოუხდა კომენტარი. აი, რა თქვა 60 წლის სპეციალისტმა: *„პანტილიმონს მეც და ჩემი ფეხბურთელებიც ბოლომდე ვენდობოდით. თავისი საქმე მან კარგად იცის და ჩვენთან ამიტომაც თამაშობს. კოსტელს სათამაშო პრაქტიკა ნაკლებად აქვს, რადგან ჰარტი პირველ მეკარედ რჩება, თუმცა ბედნიერი ვარ, რომ დღეს შანსი მას მიეცა. მომდევნო ეტაპზე „ლესტერს“ უნდა ვეთამაშოთ. ქვედალიგელთაგან ტურნირს ის ერთადერთი შემორჩა, თუმცა მაინც არ მგონია, რომ იოლი მეტოქე იქნება. „მელიებმა“ „ფულჰემი“ დამსახურებულად გამოაგდეს. იქამდე დრო ჯერ კიდევ არის. ხვალიდან უკვე „ნორვიჩთან“ პრემიერლიგის მატჩზე უნდა ვიფიქროთ“.*



ალვარო ნეგრედო მაპუ იანგა-მბივას წინააღმდეგ

## გმირი პენსიონერი

„ტოტენჰემი“ „ჰალ სიტის“ ოთხ დღეში მეორედ დაუპირისპირდა „უაით ჰართ ლეინზე“ და შეხვედრის ბედი ისევ პენალტის წყალობით გადაწყვიტა. არადა, „დეზებს“ ნამდვილად შეეძლოთ საქმე აქამდე არ მიეყვანათ. 42 წლის **ბრედ ფრიდელი** 53-ე წუთზე უხეშად შეცდა, როცა ბურთი ხელიდან გაუვარდა და კარში შეგორდა. წერტილის დასმა შეეძლო **ჰარი კეინსაც**, თუმცა შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელმა ბურთი ხარიხას გაარტყა. საბოლოოდ ამერიკელმა გოლკიპერმა დანაშაული პენალტების სერიაში გამოისყიდა. ის ორჯერ დარჩა დუელში გამარჯვებული. „ფანტასტიკური ატმოსფერო იყო. მადლობა გულშემატკივარს ამისთვის. ფეხბურთი

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XI ტური. პარასკევის მატჩის წინ


მარკო როისი და კომპანია მორიგ სამ ქულას გეგმავენ

# გალიდერდება დორტმუნდი?

## შტუტგარტი ხელწამოსაკრავი გუნდი აღარაა

ბუნდესლიგის პარასკევის მატჩი ამჯერად ძალიან საინტერესოა, რადგან მასში თვით ვიცე-ჩემპიონი მონაწილეობს. გერმანიის ჩემპიონატის მე-11 ტურს დღეს დორტმუნდის „ბორუსიას" და „შტუტგარტის" დაპირისპირება გახსნის. ეს იმას ნიშნავს, რომ **იურგენ კლოპის** გუნდი პირველი იქნება ლიდერთა ტრიოდან, რომელიც მორიგი ტურის შეხვედრას გამართავს და შესაბამისად, გამარჯვების შემთხვევაში „დორტმუნდს" მინიმუმ ერთი დღით გალიდერების შანსი ეძლევა. შეგახსენებთ, რომ წინა ტურში „ბორუსიამ" რურის დიდი დერბი გადაიტანა და გელზენკირხენში 3:1 მოიგო.

*„თუკი შესაძლებლობების იმ ას პროცენტს გამოვიყენებთ, რასაც ჩვენგან მწვრთნელი ითხოვს, ჩვენი დამარცხება ნებისმიერ სუპერგრანდს გაუჭირდება. „შტუტგარტთან" სამი ქულის აღება ძნელია, მაგრამ ჩვენ მხოლოდ მოგება დაგვაკმაყოფილებს,"* - აცხადებს მატჩის წინ დორტმუნდელთა ლიდერი **მარკო როისი**.

დღევანდელი მატჩი ბუნდესლიგაში რიგით მე-300 და შესაბამისად საიუბილეო იქნება „ბორუსიას" კარის დარაჯ **რომან ვაიდენფელერისთვის**, რომელიც ბუნდესლიგაში პენალტების მოგერიების ახალი სუპერსპეციალისტია - რომანმა ბოლო 8 თერთმეტმეტრიანიდან 4-ის მოგერიება მოახერხა.

როისი მართალს ამბობს, „შტუტგარტის" დამარცხება უკვე მართლაც ძნელია - განსაკუთრებით მას მერე, რაც შვაბენლანდურ კლუბს **თომას შნაიდერი** წვრთნის. მის ხელში „შტუტგარტი" ჯერაც დაუმარცხებელია.

*„გუნდში შესანიშნავი ატმოსფეროა, ერთი ოჯახივით ვართ,"* - აცხადებს შვაბთა ახალგაზრდა შემტევი ნახევარმცველი **მაქსიმი**. თუმცა „შტუტგარტმა" ბოლოს ზედიზედ სამი ფრე დააფიქსირა. *„ეს სერია არ მომწონს. ფრეებით წინ ვერ წავალთ. ახლა უკვე მოგების დროა. დორტმუნდში გამარჯვება დიახაც შეგვიძლია,"* - ეს შვაბთა მეკარე **სვენ ულრაიხის** სიტყვებია.

1 ნოემბერი. დორტმუნდი.
ვესტფალენშტადიონი
23:30

**დორტმუნდი**

ბოლო 6 მატჩი

| +4=1-1 | +2=4-0 |
|---|---|

ურთიერთშეხვედრები -
სულ 90 თამაშში: +29=23-38, (137:153)

**შტუტგარტი**

**დისკვალიფიკაცია:** რიუდიგერი (შტუტგარტი)
**ტრავმა:** პიშჩეკი, გიუნდოგანი - დიდავი, კაკაუ

საავარაუდო შემადგენლობა




დიდი შანსია, რომ იურგენ კლოპმა „შტუტგარტთანაც" იგივე შემადგენლობა ათამაშოს, რომლითაც რურის დერბი მოიგო. იქნება თუ არა განაცხადში გამოჯანმრთელებული **სებასტიან კელი**, ამ კითხვას პასუხი დღეს გაეცემა. შტუტგარტელებს საკაი და შვააბი გამოუჯანმრთელდათ. ეს უკანასკნელი ძირითადი შემადგენლობიდან სავარაუდოდ **ქარიმ ჰაგის** ამოაგდებს. გამორიცხული არაა, რომ შნაიდერმა **ჰარნიკის** ნაცვლად სასტარტოში ექსდორტმუნდელი **ლაიტნერი** გაამწესოს.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ლასოგა დორტმუნდის სამიზნეში

## ახალგაზრდა თავდამსხმელით შალკე და ჰანოვერიც დაინტერესდნენ

6 გოლი 6 თამაშში - რა გასაკვირია, რომ ასეთი შედეგიანობის შემდეგ „ჰამბურგის" თავდამსხმელი **პიერ-მიშელ ლასოგა** „ჰამბურგზე" ძლიერი კლუბებისთვის საინტერესო ფეხბურთელი გახდა. 21 წლის ცენტრფორვარდი, რომელიც ჩრდილოგერმანულ კლუბში ბერლინის „ჰერტადანაა" განათხოვრებული, მართლაც შესანიშნავ ფორმაშია და შესაბამისად, სხვადასხვა კლუბის რადარებზე მოხვდა.

„ბილდის" ინფორმაციით, ლასოგას გადაბირებაზე ყველაზე სერიოზულად დორტმუნდის „ბორუსიას" ხელმძღვანელები დაფიქრდნენ. **იურგენ კლოპის** გუნდის გარდა, ინტერესს „შალკე" და „ჰანოვერიც" იჩენენ. ჩვენი გერმანელი კოლეგები იმასაც წერენ, რომ ლასოგათი რამდენიმე ინგლისური კლუბიც დაინტერესდა.

„ჰამბურგის" სპორტული დირექტორი **ოლივერ კროიცერი** იმედოვნებს, რომ პიერ-მიშელი მის კლუბში დიდხანს დარჩება. კროიცერს იანვარში „ჰერტასთან" მოლაპარაკებების დაწყება სურს და ლასოგას სრულფასოვნად გამოსყიდვა უნდა. თავდამსხმელს ბერლინელებთან კონტრაქტი 2015 წლამდე აკავშირებს.

აქვე გეტყვით, რომ „შალკეს", „გლადბახს" და სამ ინგლისურ კლუბს **პერ სკიელბრედის** გადაბირება სურთ - ეს უკანასკნელი ლასოგაშია გაცვლილი და „ჰამბურგიდან" „ჰერტაში" გახლავთ განათხოვრებული.



პიერ-მიშელ ლასოგა

### ბორუსია შაჰინის გამოსყიდვას გეგმავს

იურგენ კლოპთან ახალი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ (ამის შესახებ გუშინდელ ნომერში ვწერდით), „დორტმუნდის" ბოსების ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი **ნური შაჰინის** „რეალიდან" გამოსყიდვაცაა. როგორც იცით, 25 წლის თურქი ნახევარმცველი „ბორუსიაში" იანვრიდან იჯარის წესით თამაშობს, ისე კი „რეალს" ეკუთვნის. საიჯარო ხელშეკრულებაში ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც, „ბორუსიას" შაჰინის შესყიდვა 7 მილიონ ევროდ შეუძლია და „კიკერის" ცნობით, დორტმუნდელები ამ პუნქტით ისარგებლებენ.

გაგახსენებთ, რომ შაჰინი „რეალში" სწორედ დორტმუნდიდან, 2010/2011 წლების სეზონის შემდეგ გადავიდა და მაშინ მადრიდელებს მისი ტრანსფერი 10 მილიონი დაუჯდათ. თუმცა შაჰინმა „რეალში" თავი ვერ დაიმკვიდრა, რის გამოც „სამეფო გუნდმა" ის ჯერ „ლივერპულში", მერე კი „ბორუსიაში" გაანათხოვრა.

### მიტროღლუც დორტმუნდში?

ამასობაში „კიკერი" იმასაც გვამცნობს, რომ დორტმუნდის „ბორუსიაში" შესაძლოა, „ოლიმპიაკოსის" წინახაზელი **კოსტას მიტროღლუც** ვიხილოთ. მიტროღლუ შესანიშნავ ფორმაშია და საბერძნეთის ჩემპიონატის ბომბარდირთა დავას 12 გოლით ლიდერობს. ბერძნული პრესა წერს, რომ მისი გადაბირებით ინგლისური გრანდები, „არსენალი" და „ლივერპულიც" დაინტერესდნენ. „კიკერი" კი წერს, რომ 25 წლის მიტროღლუსთვის გაჩაღებულ ბრძოლაში ფავორიტი „დორტმუნდია" - როგორც ირკვევა, „ბორუსია" მზადაა, „ოლიმპიაკოსს" 8 მილიონი ევრო გადაუხადოს.

ბაიერნი

# 30 წლის შემდეგ...

## როცა მიულერი, ლამი და შვაინი დაბერდებიან

გუშინ **ბასტიან შვაინშტაიგერის** ინტერვიუ შემოგთავაზეთ, რომელშიც „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების 29 წლის ნახევარმცველი ამბობდა, ძალიან მაგარი იქნება, 30 წლის შემდეგ „ბაიერნის" ხელმძღვანელები მე, **თომას მიულერი** და **ფილიპ ლამი** რომ ვიყოთ - თომასი ბევრს ილაპარაკებდა, ფილიპი და მე კი მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მივიღებდითო. ეს ინტერვიუ „ბაიერნის" ამჟამინდელმა პრეზიდენტმა **ული ჰიონესმაც** გაზეთში წაიკითხა. ინტერვიუს გამოქვეყნებიდან მეორე დღეს „ბილდის" ჟურნალისტი 61 წლის ჰიონესს დაუკავშირდა და შვაინშტაიგერის განცხადებაზე კომენტარი სთხოვა.

აი, რას ამბობს რეკორდმაისტერის წარმატებული ფუნქციონერი: *„მომწონს, რომ ამ ბიჭებს „ბაიერნი" ასე ძლიერ უყვართ და კლუბთან 100 პროცენტით არიან იდენტიფიცირებულები. მეც იმის მომხრე ვარ, რომ „ბაიერნის" ხელმძღვანელები ყოველთვის ყოფილი ფეხბურთელები იყვნენ. თუმცა ამის შანსი მხოლოდ ბასტიანს, ფილიპსა და თომასს კი არა, სხვებსაც აქვთ - მაგალითად, მანუელ ნოიერს და დანარჩენებს."*

ჰიონესმა მოქმედ ფეხბურთელებს რამდენიმე რჩევაც მისცა: *„მათ ახლავე უნდა ისწავლონ, როგორ უნდა მუშაობდეს „ბაიერნის" ფუნქციონერი. ყველა ფეხბურთელს აქვს შანსი, ისწავლოს, როგორ უნდა იმართებოდეს „ბაიერნი". ამისათვის უნდა დაგვაკვირდნენ, როგორ ვსაუბრობთ ან როგორ ვიქცევით „ბაიერნის" ხელმძღვანელები საზოგადოებაში, ან რას ვეუბნებით პოტენციურ და არსებულ სპონსორებს. ჩვენ მუდმივად ვხვდებით ისეთ პიროვნებებს, როგორებიც ყოფილი მინისტრები არიან, როგორიცაა „აუდის" ან „ფოლკსვაგენის" შეფი. მარტინ ვინტერკორნთან (ავტოკონცერნ „ფოლკსვაგენის" შეფი) ნახევარსაათიანი საუბარი მომავალი მენეჯერისთვის გაცილებით სასარგებლოა, ვიდრე ნებისმიერ უნივერსიტეტში გატარებული ერთი სემესტრი."*

„ბილდმა" შვაინშტაიგერის, ლამისა და მიულერის სურვილს სპეციალური ფოტომონტაჟი მიუძღვნა, რომლისთვისაც თვალის შევლებას უკვე მოასწრებდით...


ბილდის ფოტომონტაჟი: თომას მიულერი, ფილიპ ლამი და ბასტიან შვაინშტაიგერი 2043 წელს

ამბები

### ჰიტცფელდს ფინკი შეცვლის?



საფეხბურთო შვეიცარია **ოტმარ ჰიტცფელდის** შემცვლელს ეძებს. როგორც იცით, „გენერალი" მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ შვეიცარიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობას დატოვებს და პენსიაზე გავა. გუშინდლამდე მის პოსტზე ფავორიტი **მარსელ კოლერი** გახლდათ, მაგრამ ამ უკანასკნელმა ავსტრიის საფეხბურთო კავშირთან კონტრაქტი გააგრძელა და ავსტრიის ეროვნული გუნდის თავკაცის თანამდებობაზე რჩება. გერმანული „ბილდის" ცნობით, ფავორიტი ახლა ცოტა ხნის წინ „ჰამბურგიდან" გაგდებული 46 წლის სპეციალისტი **ტორსტენ ფინკია**, რომელიც „ჰამბურგამდე" „ბაზელში" მუშაობდა. ფინკი დაინტერესებულია, რაც მან „ბლიკისთვის" მიცემულ ინტერვიუში დაადასტურა.

### ოდონკორი მწვრთნელი გახდა

გერმანიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **დავიდ ოდონკორი**, რომელიც ფეხბურთის გულშემატკივრებს 2006 წლის მუნდიალიდან ეხსომებათ, რეგიონალლიგის კლუბ „ფერლის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტად დაინიშნა. მიუხედავად იმისა, რომ ოდონკორი ჯერ მხოლოდ 29 წლისაა, მას აქტიური სპორტული კარიერა უკვე დასრულებული აქვს. ოდონკორს სხვადასხვა დროს დორტმუნდის „ბორუსიაში", „სევილიაში", აახენის „ალემანიასა" და უკრაინულ „ზაკარპატიეში" უთამაშია, გერმანიის ნაკრებში კი 16 მატჩი აქვს ჩატარებული. 2006 წელს ბუნდესმწვრთნელმა **იურგენ კლინსმანმა** ოდონკორი ყველასათვის მოულოდნელად მსოფლიოს ჩემპიონატზე წაიყვანა და შეცვლაზე ათამაშებდა. ოდონკორმა პოლონეთთან 1:0-ზე მოგებულ შეხვედრაში საგოლე პასი გააკეთა.

### შეფერი ვოლფსბურგში 2017 წლამდე

**მარსელ შეფერი** „ვოლფსბურგში" რჩება. 29 წლის მარცხენა გარემარბმა, რომელსაც მარცხენა მცველის და საყრდენი ნახევარმცველის პოზიციებზეც შეუძლია თამაში, „მგლებთან" ახალი ხელშეკრულება გააფორმა, რომელსაც ვადა 2017 წლის ზაფხულამდე აქვს.

*„მარსელს ეს კლუბი ძალიან უყვარს, შეფერი „ვოლფსბურგის" გულშემატკივრების ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელია. მიხარია, რომ შეგვიძლია, მისი იმედი 2017 წლამდე გვქონდეს,"* - ეს „ვოლფების" სპორტული დირექტორის, **კლაუს ალოფსის** სიტყვებია.



გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ესპანეთი. ლა ლიგა. XI ტური და XII ტურის წინ

# სამი დუბლი და ერთი ჰეთთრიქი ერთ მატჩში

**ოთხშაბათს ლა ლიგაში საოცარი მატჩები გაიმართა - 4 შეხვედრაში გულშემატკივარმა 21 (!) გოლი იხილა. აქედან თითქმის ნახევარი „სანტიაგო ბერნაბეუზე" გავიდა, სადაც „რეალმა" „სევილიას" უმასპინძლა...**

## რეაბილიტაცია

„ელ კლასიკოში" წაგების შემდეგ, „სამეფო კლუბის" ფეხბურთელებს საკუთარი გულშემატკივრის წინაშე რეაბილიტაცია სურდათ და მატჩიც ისე დაიწყო, რომ „რეალის" ქომაგი უკეთესს ვერ ინატრებდა - 32-ე წუთისთვის ანგარიში უკვე 3:0 იყო. პირველი ორი გოლი **გარეთ ბეილმა** გაიტანა, შემდეგ კი **კრიშტიანო რონალდოს** ჯერი დადგა, რომელმაც პენალტი გამოიყენა. აი, ამის შემდეგ -მოვლენები ისე განვითარდა, რომ თამამად შეგვიძლია ვთქვათ: „ბერნაბეუზე" სეზონის საუკეთესო მატჩი გაიმართა. პირველი ტაიმის ბოლომდე დარჩენილ წუთებში **უნაი ემერის** შეგირდებმა სხვაობა მინიმალურამდე შეამცირეს და შეხვედრას ინტრიგა დაუბრუნეს. მეორე ნახევრის დაწყებისთანავე სტუმრებმა კინაღამ გაათანაბრეს - **ხაირო სამპერიო დიეგო ლოპესთან** პირისპირ გავიდა, მაგრამ მეკარეს ვერ აჯობა, ამ მომენტიდან 40 წამში კი **ქარიმ ბენზემამ** ანგარიში 4:2 გახადა, რასაც რამდენიმე წუთში რონალდოს მეორე გოლიც მოჰყვა. „სევილია" არ დანებდა და **ივან რაკიტიჩის** დუბლით სხვაობა ისევ ორბურთიანი გახდა - 5:3.

თამაშის სურათიდან გამომდინარე, დარჩენილ წუთებში შეიძლებოდა ყველაფერი მომხდარიყო, მაგრამ **ზეპ ბლატერის** სიტყვებით გაბრაზებული კრიშტიანო ორ გოლზე გაჩერებას არ აპირებდა და პორტუგალიელმა იქამდე ვერ მოისვენა, სანამ ჰეთთრიქი არ გაიფორმა. სტუმრებს გოლის გატანის კიდევ ერთი შანსი რამდენიმე წუთში მიეცათ: „სამეფო კლუბის" კარში პენალტი დაინიშნა, მაგრამ რაკიტიჩმა 11-მეტრიანი ვერ გაიტანა, მალე კი მეორე ყვითელი ბარათი **სტეფან მბიამ** მიიღო, რაც ანდალუსიელთა კაპიტულაციის ნიშანი იყო. კამერუნელის გაძევების შემდეგ, გულშემატკივარმა მხოლოდ ერთი გოლი იხილა - **ქარიმ ბენზემამ** საბოლოო შედეგი დააფიქსირა - 7:3.

მართალია, ბოლო წლებში „რეალმა" მეტოქეს ორჯერ 6:2 მოუგო, მაგრამ ამ შეხვედრაში მსგავს შედეგს მაინც ვერავინ წარმოიდგენდა, რადგან „სევილია" საკმაოდ კარგ ფორმაში იყო და ნელ-ნელა უმატებდა. პრინციპში, მიუხედავად იმისა, რომ შვიდი გოლი გაუშვეს, სტუმრებს ცუდად არ უთამაშიათ - „ბერნაბეუზე" სამი გოლის გატანა ხუმრობა ნამდვილად არაა.

სხვათა შორის, ამ გუნდების შეხვედრებში 10 გოლი ბოლოს 1967/68 წლების სეზონში გავიდა, როდესაც „რეალმა" 9:1 მოიგო.

## რაკიტიჩი, ბეილი, ბენზემა და კომანდანტე რონალდო

ივან რაკიტიჩი შესანიშნავ ფორმაშია. ხორვატმა ჰეთთრიქის შესრულების შანსი ხელიდან კი გაუშვა, მაგრამ შეხვედრის ყველაზე ლამაზი გოლი მაინც მის ანგარიშზე იყო. რაკიტიჩმა ლა ლიგის 10 შეხვედრაში 7 გოლი გაიტანა, არადა გუნდის ტაქტიკაში (4-2-3-1), ხორვატი ფეხბურთელი ცენტრალური ნახევარმცველის როლს ასრულებს.

ასევე, ორ-ორი გოლი გაიტანეს გარეთ ბეილმა და ქარიმ ბენზემამ. ორივე ფეხბურთელს ეს გოლები ჰაერივით სჭირდებოდა. არც ისე დამაჯერებელი თამაშის შემდეგ, აქა-იქ უკვე უელსელის კრიტიკაც გაისმა, ბენზემას კი რაც თავი ახსოვს, მას შემდეგ აკრიტიკებენ. გარდა გოლებისა, ორივე ფეხბურთელმა 2-2 საგოლე პასიც შეასრულა. მოკლედ, „რეალის" შემტევებმა ბრწყინვალე მატჩი ჩაატარეს.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ კრიშტიანო რონალდო - პორტუგალიელმა ერთ-ერთი (თავისი პირველი) გოლი სამხედრო სალმით აღნიშნა, რითაც პასუხი გასცა ზეპ ბლატერს, რომელმაც ცოტა ხნის წინ განაცხადა, რონალდო მოედანზე მხედართმთავარივით იქცევაო. ჰეთთრიქის შესრულებით, კრიშტიანოს 11 ბურთი დაუგროვდა და პორტუგალიელი ბომბარდირთა დავაში **დიეგო კოშტას** წამოეწია.



კრიშტიანო რონალდომ ზეპ ბლატერს ასე უპასუხა

გარდა ამისა, რონალდომ „რეალის" ყველა დროის ბომბარდირთა სიაში **ფერენც პუშკაშს** გადაასწრო და 158 გოლით მეხუთე ადგილზე გადავიდა, ლა ლიგის მასშტაბით კი პორტუგალიელი მე-16 პოზიციაზეა.

**კარლო ანჩელოტი** (რეალი): *„ძალიან კარგად ვითამაშეთ. იყო მონაკვეთები, როდესაც კონცენტრაციას ვკარგავდით, მაგრამ საერთო ჯამში კარგი თამაში გამოვიდა. შეტევაში შესანიშნავად გავისარჯეთ, აი, თავის დაცვის დროს კი მოვიკოჭლებდით. შემტევმა სამეულმა საოცარი მატჩი ჩაატარა - ბეილმა და ბენზემამ კი ძალიან საჭირო გოლები გაიტანეს."*

**უნაი ემერი** (სევილია): *„ახლა მთავარია ეს მატჩი კარგად გავაანალიზოთ და მომდევნო შეხვედრაზე ვიფიქროთ. „რეალს" შესანიშნავი ფეხბურთელები ჰყავს და მათ პრაქტიკულად ყველა ის მომენტი გამოიყენეს, რომელიც შექმნეს, ჩვენ კი რამდენიმე რეალური საგოლე შანსით ვერ ვისარგებლეთ, რის გამოც გაშვებული ბურთებით დავისაჯეთ."*

## ჯუკიჩი: მუშაობას ვაგრძელებ

**მიროსლავ ჯუკიჩმა** განაცხადა, რომ „ვალენსიას" მთავარი მწვრთნელის პოსტის მიტოვებას არ აპირებს და მუშაობას აგრძელებს.

*„ძალიან დამწუხრებული ვარ. დღევანდელი თამაში არ უნდა წაგვეგო, მაგრამ მომენტებით ვერ ვისარგებლეთ, მეტოქემ კი დაგვსაჯა. გუნდი ფსიქოლოგიურად მოისუსტებს და მცირე შეცდომაც ფეხბურთელებზე ძალიან ცუდად მოქმედებს. მიუხედავად იმისა, რომ ცუდ მდგომარეობაში ვართ, მუშაობას მაინც ვაგრძელებ და დარწმუნებული ვარ, რომ ამ სიტუაციიდან მალე გამოვალთ,"* - განაცხადა სერბმა „ალმერიასთან" წაგებული მატჩის შემდეგ.

„ვალენსიამ" ჩემპიონატში ზედიზედ მესამე მარცხი განიცადა, თანაც წააგო იმ გუნდთან, რომელსაც ამ სეზონში მოგება არ ჰქონდა! ამ გუნდების ბოლო 5 ურთიერთშეხვედრა „ვალენსიას" ჰქონდა მოგებული და მოსალოდნელი იყო, რომ მეტოქეს ზედიზედ მეექვსედ დაამარცხებდა. მასპინძლები **ჟონასის** მიერ რეალიზებული პენალტით კი დაწინაურდნენ, მაგრამ მეორე ტაიმის სტარტზე „ალმერიას" დამრიგებელმა ფრანსისკომ ტაქტიკა შეცვალა, მცველ **პელერანოს** ნაცვლად თამაშში **ალექს ვიდალი** ჩართო და ანდალუსიელთა განლაგება 5-2-2-1-დან, 4-2-3-1-ად გადაკეთდა. გარდა იმისა, რომ სტუმრები უკეთ ათამაშდნენ, გამარჯვების მომტანი გოლი სწორედ ცვლილებაზე შემოსულმა ვიდალმა გაიტანა, მანამდე კი ანგარიში **მარკო ტორსილიერიმ** გაათანაბრა, რომელმაც კარიერაში თავისი მესამე გოლი გაიტანა.

მომდევნო ტურში „ღამურები" „ხეტაფეს" ეთამაშებიან და თუ მადრიდშიც დამარცხდნენ, წესით, ჯუკიჩის მორყეული სკამი უნდა წაიქცეს.

დანარჩენ ორ შეხვედრაში 4-4 გოლი გავიდა. „ოსასუნამ" „რაიო ვალეკანოსთან" პირველივე წუთზე გაიტანა და მატჩი მშვიდად მოიგო - 3:1. აი, „ვალიადოლიდის" და „სოსიედადის" დაპირისპირებაში ნამდვილი დრამა გათამაშდა, არადა ამას არაფერი მოასწავებდა. **ანტუან გრიზმანის** ორი გოლის წყალობით, ბასკები 76-ე წუთისთვის მშვიდად იგებდნენ, მონასტერი კი სწორედ ამის შემდეგ აირია - ჯერ **დანიელ ლარსონმა** მოახერხა სხვაობის შემცირება, დაახლოებით ერთი წუთის შემდეგ კი შვედმა საგოლე გადაცემა გააკეთა და **ხავი გერამ** ანგარიში გაათანაბრა. მასპინძლებს ამაზე გაჩერება არც უფიქრიათ და არბიტრის მიერ დამატებულ პირველ წუთზე პენალტის დარტყმის უფლებაც მიიღეს. ბურთთან გუნდის ერთ-ერთი ლიდერი და გამორჩეული ფეხბურთელი **პატრიკ ებერტი** მივიდა. გერმანელმა 11-მეტრიანი ცუდად შეასრულა და „ვალიადოლიდმა" მატჩის მოგების ბრწყინვალე შანსი დაკარგა.

## კატალონიური დერბი

დღეს მე-12 ტური ერთი მატჩით დაიწყება, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს - „ნოუ კამპზე" კატალონიური დერბი უნდა გაიმართოს. ამ გუნდების ბოლო სამი შეხვედრა „ბარსელონამ" მშრალი ანგარიშით მოიგო, თვითონ კი ათი გოლი გაიტანა. **ხავიერ აგირეს** შეგირდებმა სეზონი საკმაოდ კარგად დაიწყეს და ერთი პერიოდი ლიდერების სიახლოვესაც ტრიალებდნენ, თუმცა ბოლო დროს „ესპანიოლმა" მოუკლო, უკანასკნელ 6 შეხვედრაში მხოლოდ 4 ქულა აიღო და სატურნირო ცხრილში დაქვეითდა. „ნოუ კამპზე" ქალაქის მეორე გუნდმა ბოლოს 2009 წელს, **ივან დე ლა პენიას** დუბლის წყალობით იმარჯვა (2:1) და მას შემდეგ ამ სტადიონზე გოლიც კი არ გაუტანია - 4 წაგება, ბურთების სხვაობა: 0:11.

ამ შეხვედრაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ **ადრიანო** და **ჟორდი ალბა**, შესაბამისად, **ხერარდო მარტინო** მარცხენა მცველის პოზიციას **მარტინ მონტოიას** გაამწესებს. მოსალოდნელია, რომ არგენტინელი სპეციალისტი ისევ მიმართავს როტაციას და ვიგოში ნათამაშები შემადგენლობიდან რამდენიმე ფეხბურთელს შეცვლის. ისევ ძირითადში უნდა იყოს **ნეიმარი**, რომელმაც „სელტასთან" 90 წუთი სკამზე გაატარა. „ბალაიდოსზე" არც **ჩავის** და **მასკერანოს** უთამაშიათ და წესით, დერბი მათაც სასტარტო შემადგენლობაში უნდა დაიწყონ.

### ვილიარეალი-ხეტაფე 0:2

**გოლები:** 0:1 მარიკა (5), 0:2 პაბლო სარაბია (90)

**ვილიარეალი** (4-4-2): ასენხო - მარიო, მუსაჩიო, პაბლო ინიგესი, ხაუმე კოსტა - ხ. აკინო (46. დორადო - 53. ტრიგეროსი), პინა, ბრუნო, კანი - ჯოვანი დოს სანტოსი, პერბე (66. ი. უჩე)

**ხეტაფე** (4-2-3-1): მოია - ხუან ვალერა, რაფა, ალექსისი, რ. ლაგო (66. სერხიო ესკუდერო) - ბორხა, მიჩელი - პედრო ლეონი, გავილანი, დიეგო კასტრო (83. პაბლო სარაბია) - მარიკა (69. ლაფიტა)

**გაფრთხილება:** ხაუმე კოსტა - რ. ლაგო, ალექსისი, რაფა, ბორხა

**გაძევება:** პაბლო ინიგესი (39. ვილიარეალი)

**კუთხური:** 9-8; **ჯარიმა:** 12-14; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 12-9 (3-4); **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 15 921

### გრანადა-ატლეტიკო 1:2

**გოლები:** 0:1 დიეგო კოშტა (38-პენ), 0:2 ვილია (78-პენ), 1:2 იგალო (90)

**გრანადა** (4-2-3-1): რობერტო - ნიომი, მაინსი, მურილიო, ფულკიე - იტურა, ფრან რიკო - მ. პერეირა (78. ელარაბი), რესიო (67. რიკი), ბრაჰიმი (61. ბუონანოტე) - იგალო

**ატლეტიკო** (4-4-2): კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ფილიპე ლუიში - ადრიანი (69. რაულ გარსია), გაბი, მარიო სუარესი, კოკე (90. ე. ინსუა) - დიეგო კოშტა, ვილია (85. ტიაგო)

**გაფრთხილება:** ნიომი, მურილიო - ხუანფრანი, ფილიპე ლუიში, კურტუა

**გაძევება:** ფილიპე ლუიში (90. ატლეტიკო)

**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 15-16; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 10-7 (1-6); **ბურთის ფლობა:** 66%-34%

**მაყურებელი:** 16 125

### ბილბაო-ელჩე 2:2

**გოლები:** 0:1 ლომბანი (9), 0:2 აარონ ნიგესი (48), 1:2 სუსაეტა (55), 2:2 ადურისი (69)

**ბილბაო** (4-2-3-1): იაგო - ირაოლა, გურპეგი, ლაპორტი, ბალენსიაგა - მიკელ რიკო (46. დე მარკოსი), იტურასპე - სუსაეტა, ანდერ ერერა (58. ბენიატი), მუნიაინი (67. ადურისი) - ტოკერო

**ელჩე** (4-2-3-1): მანუ ერერა - დ. სუარესი, ბოტია, ლომბანი, სისმა - რუბენ პერესი, კ. სანჩესი - კარლეს ხილი, აარონ ნიგესი (67. მანტეკონი), ფიდელი (86. ხავი მარკესი) - კორომინასი (78. მანუ)

**გაფრთხილება:** ადურისი, ლაპორტი — ბოტია, აარონ ნიგესი, სისმა

**კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 11-10; **თამაშგარე:** 6-2; **კარში დარტყმა:** 17-11 (5-6); **ბურთის ფლობა:** 68%-32%

**მაყურებელი:** 35 000

### ბეტისი-ლევანტე 0:0

**ბეტისი** (4-4-2): ანდერსენი - ჩიკა, ამაია, პერკისი, ნაჩო - ხუანფრანი, ვერდუ (76. ნონო), ხავი ტორესი, ხუან კარლოსი (65. მაბვატი) - ხორხე მოლინა, ჩუელი (60. ვადილიო)

**ლევანტე** (4-2-3-1): კ. ნავასი - პედრო ლოპესი, ე. როდასი, დ. ნავარო, ხუანფრანი - პ. დიოპი, სიმაო ჟუნიორი (46. სერჟიო პინტუ) - ელ ჟარი, ივანშიტცი (51. პედრო რიოსი), ჩუმეტრა (73. ბარალი) - ბ. დიავარა

**გამოუყენებელი პენალტი:** ხორხე მოლინა (75. ბეტისი)

**გაფრთხილება:** ჩიკა, მაბვატი - ივანშიტცი, პ. დიოპი, ჩუმეტრა, კ. ნავასი, პედრო რიოსი, ბარალი

**გაძევება:** ჩიკა (30. ბეტისი)

**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 12-14; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 16-17 (5-4); **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 26 661

---

1 ნოემბერი. ბარსელონა. კამპ ნოუ

00:00

**ბარსელონა** – **ესპანიოლი**

| ურთიერთშეხვედრები | |
|---|---|
| სულ 158 თამაში: +89 =35 -34 (294:173) | |
| ბოლო 6 მატჩი | |
| +5 =1 -0 (15-3) | +1 =1 -4 (3-9) |

**ესპანიოლი**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ადრიანო, ალბა, აფელაი, ჯონათან დოს სანტოსი - .

### სავარაუდო შემადგენლობა




| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 11 | 10 | 1 | 0 | 33-7 | 31 |
| 2. ატლეტიკო | 11 | 10 | 0 | 1 | 28-8 | 30 |
| 3. რეალი | 11 | 8 | 1 | 2 | 27-14 | 25 |
| 4. ვილიარეალი | 11 | 6 | 2 | 3 | 19-12 | 20 |
| 5. ბილბაო | 11 | 6 | 2 | 3 | 18-15 | 20 |
| 6. ხეტაფე | 11 | 6 | 1 | 4 | 16-12 | 19 |
| 7. ლევანტე | 11 | 4 | 5 | 2 | 12-14 | 17 |
| 8. ესპანიოლი | 11 | 4 | 3 | 4 | 12-14 | 15 |
| 9. სოსიედადი | 11 | 3 | 5 | 3 | 13-12 | 14 |
| 10. ელჩე | 11 | 3 | 4 | 4 | 12-15 | 13 |
| 11. სევილია | 11 | 3 | 4 | 4 | 20-24 | 13 |
| 12. ვალენსია | 11 | 4 | 1 | 6 | 14-19 | 13 |
| 13. ვალიადოლიდი | 11 | 2 | 5 | 4 | 14-17 | 11 |
| 14. გრანადა | 11 | 3 | 2 | 6 | 7-12 | 11 |
| 15. მალაგა | 11 | 2 | 4 | 5 | 11-14 | 10 |
| 16. ოსასუნა | 11 | 3 | 1 | 7 | 10-16 | 10 |
| 17. სელტა | 11 | 2 | 3 | 6 | 13-16 | 9 |
| 18. ბეტისი | 11 | 2 | 3 | 6 | 9-17 | 9 |
| 19. ვალეკანო | 11 | 3 | 0 | 8 | 8-27 | 9 |
| 20. ალმერია | 11 | 1 | 3 | 7 | 13-24 | 6 |

**ბომბარდირები:** 12 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 11 — კრიშტიანო რონალდო (რეალი); 8 - მესი (ბარსელონა); 7 - რაკიტიჩი (სევილია)

**ტატო ბაციკაძე**

### საფრანგეთი

**ლიგა 1. XII ტურის წინ**

**1 ნოემბერი**

პსჟ-ლორიანი 23:30

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 11 | 7 | 4 | 0 | 20-7 | 25 |
| 2. მონაკო | 11 | 7 | 4 | 0 | 20-8 | 25 |
| 3. ლილი | 11 | 7 | 2 | 2 | 13-4 | 23 |
| 4. ნანტი | 11 | 6 | 1 | 4 | 15-9 | 19 |
| 5. გენგამი | 11 | 5 | 2 | 4 | 16-12 | 17 |
| 6. მარსელი | 11 | 5 | 2 | 4 | 15-11 | 17 |
| 7. სტ. ეტიენი | 11 | 5 | 2 | 4 | 17-15 | 17 |
| 8. ნიცა | 11 | 5 | 2 | 4 | 12-11 | 17 |
| 9. რენი | 11 | 4 | 4 | 3 | 15-11 | 16 |
| 10. რეიმსი | 11 | 3 | 6 | 2 | 11-10 | 15 |
| 11. ბასტია | 11 | 4 | 3 | 4 | 12-15 | 15 |
| 12. ტულუზი | 11 | 4 | 3 | 4 | 9-16 | 15 |
| 13. ბორდო | 11 | 3 | 5 | 3 | 14-13 | 14 |
| 14. ლიონი | 11 | 3 | 3 | 5 | 15-15 | 12 |
| 15. მონპელიე | 11 | 2 | 6 | 3 | 14-15 | 12 |
| 16. ევიანი | 11 | 3 | 3 | 5 | 12-19 | 12 |
| 17. ლორიანი | 11 | 3 | 1 | 7 | 11-19 | 10 |
| 18. აიაჩო | 11 | 1 | 4 | 6 | 7-15 | 7 |
| 19. სოშო | 11 | 1 | 3 | 7 | 10-22 | 6 |
| 20. ვალანსიენი | 11 | 1 | 2 | 8 | 7-18 | 5 |

---

კრიმინალი

# ყოფილ ფეხბურთელს თავი მოსჭრეს, თვალები დათხარეს და ენა ამოაჭრეს

ყოფილი ბრაზილიელი ფეხბურთელი **ჟოაო როდრიგო სილვა სანტოსი** კრიმინალური გარჩევის მსხვერპლი გახდა. 35 წლის სანტოსი მოკლეს, შემდეგ თავი მოსჭრეს, თვალები დათხარეს, ენა ამოაჭრეს და საკუთარი სახლის წინ ჩანთით დადეს.

ფეხბურთელის თავი მისმა მეუღლემ აღმოაჩინა, რომელიც სხვათა შორის პოლიციელია. სანტოსმა ორი წლის წინათ დაასრულა საფეხბურთო კარიერა, ის რიო დე ჟანეიროს რამდენიმე კლუბში, შვედეთში და ჰონდურასში გამოდიოდა. შემდეგ კი ე.წ. საფარმაცევტო ბიზნესს მიჰყო ხელი. სწორედ ამის გამო ვარაუდობენ, რომ საქმე ნარკობარონთა გარჩევასთან უნდა გვქონდეს, თუმცა შესაძლოა, მკვლელობა მისი მეუღლის ჟეიზას საქმიანობას უკავშირდებოდეს, **ჟეიზა** პოლიციაში სწორედ ნარკოტიკებთან დაკავშირებულ საქმეებზე მუშაობს..

თვითმხილველებმა დაინახეს, თუ როგორ მოიტაცეს ჟოაო სანტოსი შეიარაღებულმა პირებმა. ისინი მას მაღაზიის წინ ელოდნენ, რომელიც ფეხბურთელის საკუთრება იყო. მისმა მეუღლემ მოჭრილი თავი მეორე დილის 5 საათზე აღმოაჩინა.

შეგახსენებთ, რომ ამ ქვეყანაში სულ მალე მსოფლიოს ჩემპიონატი უნდა ჩატარდეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. დანიელ სტარიჯი

# ლივერპულის ახალი ვარსკვლავი

## ლუის სუარესთან ერთად თამაში უფრო ადვილია




დღეს სტარიჯი პრემიერლიგის ბომბარდირთა დავაში ლიდერობს

„ლივერპულის" 24 წლის თავდამსხმელი დანიელ სტარიჯი საოცარ ფორმაშია. ამჟამად, იგი 8 გოლით ლიდერობს პრემიერლიგის ბომბარდირთა დავაში და გაჩერებასაც არ აპირებს. შეგახსენებთ, რომ ბირმინგემში დაბადებულმა სტარიჯმა ფეხი „ასტონ ვილაში" აიდგა, რასაც „ქოვენთრი" და „მანჩესტერ სიტი" მოჰყვა. სწორედ „სიტის" რიგებში შედგა მისი პროფესიული დებიუტი. იქ გატარებული 3 წლის შემდეგ, სტარიჯი „ჩელსიმ" წაიყვანა, მაგრამ მან ვერც „სტემფორდ ბრიჯზე" მოიკიდა ფეხი. ლონდონელებმა ის ჯერ „ბოლტონში" გაანათხოვრეს, სადაც დანიელმა 12 მატჩში 8 გოლი გაიტანა, ხოლო 2013 წლის იანვარში „ლივერპულში" გაყიდეს. მერსისაიდელთა რიგებში სტარიჯმა, როგორც ჩანს, ბოლო-ბოლო იპოვა თავისი ადგილი. ვნახოთ რას ამბობს თავად დანიელ სტარიჯი თავის ახალ გუნდზე, ბრენდან როჯერსზე, ლუის სუარესზე, ინგლისის ნაკრებზე...

**„სტივენ ჯერარდი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია და მას დიდ პატივს ვცემ"**



**- „ლივერპულში" გადმოსვლის შემდეგ თითქოს ხელახლა დაიბადეთ და გოლები თავისუფლად გაგაქვთ. კონკრეტულად რამ განაპირობა ასეთი გარდაქმნა?**

- დიახ, „ლივერპულში" გადმოსვლა მართლაც ძალიან გამიხარდა. შესანიშნავი ქალაქია და კარგი ატმოსფეროა. გუნდშიც უცბად ჩავეწერე. საბედნიეროდ, მწვრთნელმა იმის შანსი მომცა, რომ მეჩვენებინა, რაც შემიძლია და ახლა ფეხბურთისგან სიამოვნებას ვიღებ.

**- „ჩელსიდან" „ლივერპულში" გადმოსვლით თქვენ ერთი-ორი სეზონით მაინც დაემშვიდობეთ ევროპულ ფეხბურთს. გული არ გწყდებათ?**

- არა, საერთოდ არა. მე უკვე მოვიგე ჩემპიონთა ლიგა „ჩელსიში"! ახლა კი მზად ვარ, „ლივერპულთან" ერთად ახალი თავგადასავალი დავიწყო. მშვენიერი სტარტი გამოგვივიდა. ჯერ კიდევ ბევრი თამაში და სეზონის უდიდესი ნაწილია წინ, მაგრამ კარგად გამოვიყურებით და იმედი გვაქვს, რომ ასევე გავაგრძელებთ.

**- „ჩელსიში" თქვენ სულ ფლანგზე თამაშობდით, ხოლო ბრენდან როჯერსმა უფრო ცენტრში გათამაშებთ. რას იტყვით ამაზე? ეს ხომ არ არის ამდენი გოლის მიზეზი?**

- მე თამაში მაბედნიერებს და მზად ვარ ნებისმიერ პოზიციაზე გავისარჯო, რომელზეც მწვრთნელი დამაყენებს. მენტალიტეტს უბრალოდ ვერ შევიცვლი, შეტევაში ვთამაშობ და ყოველთვის შევუტევ. კონკრეტულად ფლანგზე ვიდგები თუ ცენტრში, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია შენი საქმე გააკეთო და გუნდს სარგებელი მოუტანო.

**- ლუის სუარესს დისკვალიფიკაცია დაუმთავრდა და დაბრუნდა. ახლა თქვენ წყვილში ხართ და შეტევაში მარტო აღარ გიწევთ ყოფნა. როგორია ასეთი ნიჭიერი მეწყვილის გვერდით თამაში?**

- ის მართლაც ძალიან ნიჭიერია. ჩვენ ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს, როგორც მინდორზე, ასევე მის გარეთ. მშვენივრად ვუგებთ ერთმანეთს. უფრო ადვილია როცა ლუისისნაირი მოთამაშე გყავს გუნდში, რომელიც თანაგუნდელებს ბოლომდე დახარჯვის მოტივაციას აძლევს. ყველაფერი კარგად გამოგვდის, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ მთლიანობაში ვართ ძლიერი გუნდი და თანაგუნდელები გვიქმნიან მომენტებს.

**- თქვენი აზრით, რამ გამოიწვია „ლივერპულის" ასე კარგად ათამაშება? გულშემატკივართა და სპეციალისტთა უმეტესობისთვის ეს მოულოდნელი იყო.**

- დიახ, დასაწყისი ნამდვილად ბრწყინვალეა! ბრენდან როჯერსმა გამარჯვებულის მენტალიტეტი ჩაგვინერგა და ყველა მატჩის მოგება გვინდა, ამ სეზონში მინდორზე ასეთი განწყობით გავდივართ. ხასიათი გამოვავლინეთ, შემართულები ვართ და ვიმედოვნებ, ბოლომდე ასე იქნება.

**- პრემიერლიგაში საინტერესო და დაძაბული ვითარებაა. როგორ ფიქრობთ, მოიპოვებს „ლივერპული" ჩემპიონთა ლიგის საგზურს?**

- ჯერ ძალიან ადრეა რაიმეს პროგნოზირება. სეზონის უდიდესი ნაწილი წინ არის. თუმცა ბოლომდე კონცენტრირებულნი ვართ საკუთარ თამაშზე, გვინდა მაქსიმალურად დავიხარჯოთ და მჯერა, ყველაფერი შესაძლებელია.

**- გიფიქრიათ არაინგლისურ კლუბში თამაშზე? უფრო მეტი ინგლისელი ფეხბურთელი ხომ არ უნდა მიდიოდეს უცხოეთში სათამაშო კლასის ასამაღლებლად?**

- ვფიქრობ, პრემიერლიგა ძალიან ძლიერი ჩემპიონატია, სადაც უმაღლესი სტანდარტებია და მასში უამრავი მაღალი დონის ფეხბურთელი თამაშობს. ასე რომ, არ მგონია ინგლისელებისთვის სადმე წასვლის აუცილებლობა იდგეს. პირადად მე, სიამოვნებით ვითამაშებდი MLS-ში, კარიერის ბოლოს ნამდვილად მინდა ამერიკაში გადასვლა, რადგან იქაურობა მიზიდავს. კულტურა და ცხოვრების სტილი.

**- რომელიმე ფეხბურთელისთვის თუ მიგიბაძავთ?**

- ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე ფეხბურთელისათვის მომიბაძავს, მაგრამ სტივენ ჯერარდი ნამდვილად სამაგალითო პიროვნებაა. იგი დიდებული ადამიანია, როგორც მინდორზე, ასევე ცხოვრებაში. ჯერარდი აბსოლუტურად ყველასთან პოულობს საერთო ენას. როდესაც „ლივერპულში" გადმოვედი, ის ჩემზე ზრუნავდა, მუდამ ყურადღებით იყო, და მეხმარებოდა დამკვიდრებაში. სიმართლე ითქვას, ძალიან კარგია, როდესაც ასეთი ადამიანი გყავს სიახლოვეს. ჯერარდი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია და მას დიდ პატივს ვცემ.

**- იმ გუნდებში მოგიწიათ თამაშმა, რომელთა კაპიტნების სტივენ ჯერარდი და ჯონ ტერი არიან, ორი დიდი კაპიტანი ინგლისურ ფეხბურთში. რომელია უკეთესი?**

- ჩემი აზრით, ორივე თავისებურად დიდი კაპიტანია და ორივემ უდიდესი როლი ითამაშა საკუთარი გუნდის წარმატებაში. არ იქნებოდა სამართლიანი ერთ-ერთის გამორჩევა. ორივენი ლეგენდები და ნამდვილი კაპიტნები არიან.

**- რომელი მეტოქის წინააღმდეგ გაგიჭირდათ ყველაზე მეტად თამაში?**

- ტიაგო სილვა ერთ-ერთი საუკეთესო მცველია. ბრაზილიელი ბრწყინვალედ ერთვება შეტევებში და ძალიან ძლიერია დაცვაში. იგი უაღრესად სწრაფი და ამავდროულად, ფიზიკურად ძლიერია. ასე რომ, ტიაგო სილვასთან გამკლავება, თავდამსხმელებისთვის ძალიან რთულია.

**- მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლას გილოცავთ! რას იტყვით მუნდიალზე?**

- ძალიან მახარებს, რომ გავედით ფინალურ ეტაპზე, ახლა დავმშვიდდით. ბრაზილია ბრწყინვალე იქნება, დარწმუნებული ვარ. იქ შესანიშნავი ატმოსფერო და ნამდვილი საფეხბურთო ზეიმი გველოდება. რაც შეეხება ინგლისს, ნაკრებს წარმატების მიღწევა უნდა და ამისთვის სერიოზულად მუშაობს. პირადად მე, ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ საუკეთესოდ გამოვავლინო თავი, რადგან ბრაზილიისკენ გასამგზავრებელ თვითმფრინავში ვიჯდე. თუ ღმერთი ინებებს, იქ აღმოვჩნდები კიდეც.

**გიორგი პაპაბაძე**

ამბები

# მარადონა: აგუერო მშიშარაა

30 ოქტომბერს **დიეგო არმანდო მარადონა** 53 წლის გახდა. ამ თარიღთან დაკავშირებით, მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდას ერთ-ერთი რადიო დაუკავშირდა, რომლის ეთერშიც დიეგომ სხვადასხვა თემაზე ილაპარაკა.

აგუეროს შესახებ: *„მან უთხრა ჯანინას რომ არავისი ეშინია. როდესაც ადვოკატებთან შეხვედრა ექნებათ, მე აუცილებლად წავალ და ვნახავ, მეტყვის თუ არა იმავეს, რაც ჯანინას უთხრა. ის მშიშარაა, რადგან მან იცოდა, რომ იმ დროს დუბაიში ვიყავი".*

შეგახსენებთ, რომ აგუერო და მარადონას შვილი ჯანინა დაქორწინებულნი იყვნენ, მაგრამ იანვარში ერთმანეთს დაშორდნენ, ამჟამად კი მათი განქორწინების ოფიციალური გაფორმების პროცესი მიმდინარეობს.

*„1986 წელს ჩვენ გვყავდა გუნდი, მაგრამ არ გვყავდა მწვრთნელი. მიუხედავად ამისა, ჩვენ ჩემპიონები გავხდით," - ამ განცხადებით კი დიეგომ კბილი კარლოს ბილადროს გაჰკრა, რომელთანაც ბოლო წლებში ურთიერთობა ძალიან დაეძაბა.*

*ბოლოს კი დიეგომ თავისი საყვარელი კლუბის, „ბოკა ხუნიორსის" ვარდისფერ მაისურზეც ისაუბრა: „ეს ვარდისფერი მაისური გულს მირევს. დაანებეთ ვარდისფერ პანტერას თავი, კარგია, რომ გუნდი ამ ფორმას არ იყენებს, რადგან ის „ბოკას" არ შეეფერება".*

# დიეგო კოშტამ ესპანეთი აირჩია

მადრიდის „ატლეტიკოს" ფორვარდმა **დიეგო კოშტამ** ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციას წერილი მისწერა, რომელშიც 25 წლის თავდამსხმელი აღნიშნავს, რომ მას ესპანეთის ნაკრებში სურს თამაში.

*„ამ გადაწყვეტილების მიღება იოლი არ ყოფილა, რადგან მე მიყვარს ის ქვეყანა, სადაც დავიბადე. მიუხედავად ამისა, ჩემი საფეხბურთო კარიერა განუხრელად იზრდებოდა მას შემდეგ, რაც მე ესპანეთში ჩამოვედი. ამ ქვეყანამ შვილივით მიმიღო და ცოტა ხნის წინ, მოქალაქეობაც მომანიჭა.*

*ესპანეთი არის ქვეყანა, რომელმაც ძალიან ბევრი რამ მომცა, როგორც პროფესიული, ასევე პიროვნული კუთხით და მისი ღირსების დაცვა, არის საუკეთესო საშუალება, რომ ამ ქვეყანას მადლობა გადავუხადო. სწორედ ამიტომ, დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, გადავწყვიტე, რომ ესპანეთის ნაკრებში თამაში უკეთესი იქნებოდა ჩემთვის, ჩემი ოჯახისთვის და ჩემი კარიერისთვის.*

*ამის გამო, გთხოვთ, არ გამომიძახოთ იმ ამხანაგურ შეხვედრებზე, რომელიც ბრაზილიას ნოემბერში ელის.*

*იმედი მაქვს, ჩემს გადაწყვეტილებას პატივისცემით და გაგებით მოეკიდებით".*

**ტატო ბაციკაძე**

# ექსრეინჯერი ავადაა

გლაზგოს „რეინჯერსისა" და ჰოლანდიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **ფერნანდო რიკსენი** უკურნებელი სენითაა ავად. 37 წლის ვეტერანს მიოტროფიული სკლეროზი დაუდგინდა, რაც უფრო მეტად „ლუ გერიგის" სახელით არის ცნობილი. ეს არის ცენტრალური ნერვული სისტემის ნელი ტემპით პროგრესირებადი დაავადება, რაც, საბოლოო ჯამში, კუნთების ატროფიასა და დამბლას იწვევს. მედიკოსების თქმით, ასეთმა ავადმყოფმა შეიძლება მაქსიმუმ ხუთი წელი იცოცხლოს, ისიც იმ პირობით, რომ მუდმივად მეთვალყურეობის ქვეშ იქნება. რიკსენმა და მისმა მეგობარმა ჟურნალისტმა **ვენსან დე ვრისმა** განცხადება ამის შესახებ პირდაპირ ეთერში სატელევიზიო შოუს მიმდინარეობისას გააკეთეს.

**ლევან ბიბილაშვილი**




ფერნანდო რიკსენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

■ გერმანელებს საამაყო ნამდვილად აქვთ - მათი თანამემამულე ფრანც ბეკენბაუერი იშვიათი ადამიანია, რომელსაც ფეხბურთელობისასაც მოუგია მსოფლიოს ჩემპიონატი და მთავარი მწვრთნელის პოსტიდანაც. ამას შემთხვევით ვერავინ მიაღწევს, იგი ნიჭიერი და ინტელექტუალურა და შემთხვევითი როდია, გერმანიაში მეფედ, „კაიზერ ფრანცად“ რომ მონათლეს.
ჰოდა, როცა ასეთი პიროვნება ამბობს - უცხოპლანეტელებმა დედამიწის ნაკრებთან შეხვედრა შემომთავაზესო, ან მართლა ესაუბრა კოსმოს სტუმრებს, ან რაღაცა აქვს ჩაფიქრებული. მომავალ მატჩთან დაკავშირებით დეტალებს მალე მოგახსენებთო, - დაამატა „კაიზერმა“ ვიდეომიმართვაში. გერმანელი ლეგენდის სიტყვები მდარე ფანტაზიასაც კი გვარიანად აღვივებს. თავად წარმოიდგინეთ, რამდენი კითხვა გაჩნდება, თუ ბეკენბაუერი იტყვის - ყველაფერი შეთანხმებულია და საპლანეტთაშორისო ჩემპიონატში ვერთვებითო. ვინ დაიცავს დედამიწის ღირსებას? მოხვდებიან იქ ქართველები? რა ფორმის ბურთით ითამაშებენ? მზის სისტემის კონფერენციის მოგების შემდეგ ვის დავუპირისპირდებით?.. გგონიათ „კაიზერ ფრანცის“ ანკესზე მურწასავით წამოვეგე? არა, ბატონებო, ნამდვილად არ მჯერა, რომ გერმანელი სერიოზულად ლაპარაკობდა. იმაშიც დარწმუნებული ვარ, ბოლოს იტყვის - ვიხუმრეო. თუმცა ბეკენბაუერის სიტყვებმა ერთი საქმე მაინც გააკეთა: სატაიმლაინე კომიქსი დაბადა. კარგია თუ - ცუდი, დასკვნა თავად გამოიტანეთ.



## დღეს დიდი მატჩია:
# დედამიწა-ვენერა



## ბეკენბაუერის ანკესზე




ნამიც და დაიწყება დიდი მატჩი, დედამიწისა და ვენერას ნაკრებებს შორის. შეხვედრის ორგანიზებისთვის მადლობა უნდა ვუთხრათ ფრანც ბეკენბაუერსა და ნიკო პატარქალიშვილს!





თქვენთვის მუშაობს კომენტატორი

შევიხედოთ გასახდელში, ვნახოთ როგორ დაარიგა მატჩის წინ თემურ ქეცბაიამ შეგირდები...








და გუნდები უკვე მოედანზე არიან. მარჯვნივ დედამიწა, მარცხნივ ვენერა. ჩვენი ნაკრები: მარადონა, კასილიასი, რონალდო, მესი, ბაჯო, კლინსმანი... მეტოქის შემადგენლობას ყველა იცნობთ...










პირველივე შეტევაში კუთხურის უფლება მოვიპოვეთ. ბურთთან დეივიდ ბექჰემია. ჩააწოდა...

ბურთი გადასცდა ყველას და ყველაფერს

საჯარიმოს კიდესთან ბურთს დახვდა 216 სმ სიმაღლის გიორგი შერმადინი, დარტყმა...

გილოცავთ. მომდევნო შეხვედრა თანაკონფერენციელ იუპიტერთან სტუმრად გველის.

● ქართველი NBA-ში

პირველი გვერდიდან

...ფაჩულიამ „მილუოკის“ აგრესია და სიმძლავრე შემატა. გუნდის ერთ-ერთ ლიდერად მოგვევლინა.

...იგი ბურთს „ნიუ იორკის“ კალათბურთელებს არც საკუთარ ფარქვეშ ანებებდა, არც მოედნის მეორე ნახევარზე.

...ზაზა გუნდს დამაგვირგვინებელ ფაზაშიც საკმარისად დაეხმარა: 13 ქულა ჩააგდო, რომელთა მოპოვება იოლი ნამდვილად არ იყო.

ქართველი ცენტრი ბოლო წამებზე მოედანზე იყო და შეეძლო მატჩის გმირიც გამხდარიყო, თუმცა თანაგუნდელის პასი ხელში ვერ შეიმაგრა (გვერდითი გამეორებიდან გამოჩნდა, რომ პასი ცოტა წინ გაკეთდა) და „მილუოკიმ“ ღირებული ორი ქულა დაკარგა. რომ ჩაეგდო საფინალო სირენამდე წუთ-ნახევრით ადრე ჩამორჩენას მინიმუმამდე შეამცირებდა (იმ მომენტში „ნიუ იორკი“ 84:81-ს იგებდა). ამის შემდეგ „ბაქსმა“ თამაშის გადარჩენა ველარ შეძლო.

## დუბლდებიუტი
### 13 ქულა და 11 მოხსნა მედისონში

არადა, პირველი ტაიმის შემდეგ, რომ არა ზაზა ფაჩულიას ფაქტორი, ტელევიზორის გამორთვაც შეიძლებოდა, რადგან „ნიუ იორკი“ მოედანზე რასაც მოისურვებდა, იმას აკეთებდა და 25 ქულის სხვაობითაც დაწინაურდა (56:31). მეორე ტაიმიდან სიტუაცია ქვიშის საათივით ამოტრიალდა და ანგარიშში სხვაობაც ნელ-ნელა მცირდებოდა. ამის მიზეზი უმთავრესად „მილუოკის“ დაცვა იყო (ზონას პერსონალურს ანაცვლებდა, უფრო აგრესიულადაც გამოიყურებოდა). პიკი კი მეოთხე პერიოდის მეცხრე წუთი გამოდგა, როცა „მილუოკი“ **ჰენსონის** საჯარიმოს წყალობით 81:80 დაწინაურდა. ამის შემდეგ რაც მოხდა, ზემოთ წაიკითხეთ.

„მილუოკი“ მომდევნო შეხვედრას 1-ელ ნოემბერს ბოსტონში „სელტიქსთან“ ჩაატარებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. X ტური

# ლიდერთა სამეული გამოიკვეთა

## კაკას გოლმა მილანს ვერ უშველა

**სერია A-ს მიმდინარე გათამაშების მე-10 ტურის უკანასკნელი შეხვედრა გუშინ გვიან ღამით გაიმართა და მასზე ხვალინდელ ნომერში ვისაუბრებთ, დღეს კი ოთხშაბათის ჯახებს გადავავლოთ თვალი. მით უმეტეს, ტური მეტად საინტერესო გამოვიდა.**



კაკამ ბრწყინვალე გოლი გაიტანა

### ის, რაც იუვემ ვერ შეძლო...

ის, რაც „იუვენტუსმა“ ვერ შეძლო, „ნაპოლიმ“ გააკეთა. **რაფაელ ბენიტესის** გუნდი ფლორენციაში ჩავიდა და „ფიორენტინა“ მისსავე მოედანზე დაამარცხა, 2:1. სამივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა - ნეაპოლელთა მხრიდან **ხოსე კალეხონი** და **დრის მერტენსი** გამოირჩნენ, ფლორენციელთა რიგებიდან კი თერთმეტმეტრიანი დარტყმით **ჯუზეპე როსიმ** იხეირა. მთლიანობაში, უპირატესობას უფრო მასპინძლები ფლობდნენ და კაცმა რომ თქვას, მინიმუმ ქულას იმსახურებდნენ. მით უმეტეს, ზედ მსაჯის საფინალო სასტვენის წინ, ნეაპოლელთა კარში აშკარა თერთმეტმეტრიანი არ დაინიშნა. მოკლედ, „ნაპოლიმ“ მორიგი გამარჯვება მოიპოვა, რამაც კიდევ უფრო დააშორა ლიდერთა სამეული მდევრებს.

დიახ, „ნაპოლი“, „იუვენტუსი“ და „რომა“ წინ გაიჭრნენ და ჩემპიონთა ლიგის საგზურებისთვის ბრძოლაში აშკარა ფავორიტებადაც ითვლებიან. თუ „იუვენტუსის“ და „ნაპოლის“ შემთხვევაში, ეს არავის უკვირს - „რომას“ ასეთი ფეერიული სტარტი მართლაც მოულოდნელობაა.

**ვინჩენცო მონტელა** („ფიორენტინას“ მწვრთნელი): *„ვფიქრობ, საუკეთესო მატჩი ჩავატარეთ მიმდინარე სეზონში და ეს მიუხედავად იმისა, რომ მარცხი ვიწვნიეთ. ბურთს ძირითადად ჩვენ ვაკონტროლებდით და სათამაშო უპირატესობაც ხელთ გვეპყრა, ეს კი ისეთ ძლიერ გუნდთან შევძელით, როგორიც „ნაპოლია“. მთლიანობაში, ძალიან კმაყოფილი ვარ და მომავალს ოპტიმიზმით შევყურებ. როდის დაბრუნდება მარიო გომესი? - ალბათ, სანაკრებო მატჩების შემდეგ. თავს კარგად გრძნობს, მაგრამ ჯობია ფორმა აღიდგინოს და ისე დაუბრუნდეს მოედანს. მარიოსთან ერთად, „ფიორენტინა“ გაცილებით ძლიერი იქნება“.*

**ანდრეა დელა ვალე** („ფიორენტინას“ პრეზიდენტი): *„კარგად ვითამაშეთ და მიუხედავად მარცხისა, გულშემატკივარიც კმაყოფილი დარჩა. ლიდერთა სამეულს ჩამოვრჩით და ამას აქვს გარკვეული ახსნა - ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ტრავმის გამო წამყვანი ფორვარდი მარიო გომესი გვაკლია. ამასთან, მატჩზე ახალგაზრდა არბიტრი (ჯამპაოლო კალვარეზე) დანიშნეს, რომელმაც არაერთი შეცდომა დაუშვა. ბოლო წუთზე, გეკჰან ინლერმა აშკარად იუხეშა და თერთმეტმეტრიანი უნდა დანიშნულიყო, მაგრამ მსაჯს გამბედაობა არ ეყო. იმედია, როგორც ფეხბურთელები სწავლობენ საკუთარ შეცდომებზე, ისე ისწავლის მსაჯიც. მოკლედ, მიუხედავად მარცხისა, მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ, რადგან გუნდი თამაშიდან თამაშამდე პროგრესირებს“.*

### მილანმა ვერც ლაციოს სძლია

**მასიმილიანო ალეგრიმ** ტაქტიკა შეცვალა და 4-3-1-2-ის ნაცვლად 4-3-3 აირჩია. ცენტრფორვარდის პოზიციაზე **მარიო ბალოტელი** გაამწესა, რომელსაც ფლანგებიდან **ვალტერ ბირსა** და **რიკარდო კაკა** ეხმარებოდნენ. ამ უკანასკნელმა უდავოდ საუკეთესო მატჩი ჩაატარა და შესანიშნავი გოლიც გაიტანა - ბრაზილიელმა მარცხენა ფრთაზე მიიღო ბურთი, ერთ მეტოქეს გვერდი აუარა, ცენტრისკენ შეიწია და უძლიერესი დარტყმით ბურთი მეკარისაგან შორეულ ცხრიანში გაახვია. გოლი მართლაც გენიალური გამოვიდა და „სან სიროზე“ შეკრებილი გულშემატკივრები ალტაცებაში მოვიდნენ. თუმცა, მილანური ფიესტა არ შედგა - „ლაციომ“ საპასუხო გოლი გაიტანა და ქულას გამოჰკრა ხელი. შედეგით ორივე გუნდის მწვრთნელი უკმაყოფილო დარჩა...

მასიმილიანო ალეგრი (მილანი): *„მაღალ დონეზე ვითამაშეთ, მაგრამ ფორტუნა მეტოქის მხარეს იყო. მთელი თამაშის განმავლობაში ერთადერთი შეცდომა დავუშვით და ისიც გაშვებულ გოლად დაგვიჯდა. დასანანია, რომ ისევ დავკარგეთ ქულები და ლიდერებს კიდევ უფრო დავშორდით. ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა ურთულესი იქნება, მაგრამ ჩვენ ჩვენსას შევეცდებით“.*

**ვლადიმირ პეტკოვიჩი** (ლაციო): *„სეზონი ცუდად დავიწყეთ და ამიტომ, თითოეულ შეხვედრაში მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძვით. „მილანს“ არაფერი დავუთმეთ და შეგვეძლო მოგება, ამიტომ, შედეგით უკმაყოფილო ვარ. დროა ქულების მოპოვება დავიწყოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სეზონი ჩაგვივარდება“.*

### იუვემ კატანია დაიბრიყვა

„იუვენტუსმა“ მიჯრით მეორე შეხვედრა ჩაატარა საკუთარ მოედანზე და „ჯენოას“ შემდეგ, „კატანიაც“ დაამარცხა. ტურინელებმა სიცილიელები ყველა კომპონენტში დაჯაბნეს და მეტოქეს ოთხი უპასუხო გოლი გაუტანეს. ანგარიში **არტურო ვიდალმა** გახსნა - ბურთი საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო, ძლიერად დაარტყა და რიკოშეტის დახმარებით, თავიც გამოიჩინა. მეორე გოლი **ანდრეა პირლოს** საჯარიმო დარტყმას მოჰყვა, მესამე და მეოთხე კი შესაბამისად, **კარლოს ტევესმა** და **ლეონარდო ბონუჩიმ** მიითვალეს აქტივში.

**ანტონიო კონტემ** პრესასთან დუმილი დაარღვია და განაცხადა, რომ მისმა თითოეულმა შეგირდმა დავალება პირნათლად შეასრულა. მწვრთნელმა განსაკუთრებულად დაცვის ხაზი შეაქო და დასძინა, რომ „ფიორენტინასგან“ ერთ ტაიმში გაშვებული ოთხი გოლის შემდეგ, გუნდმა შეცდომებზე ისწავლა. მოკლედ, კონტე კმაყოფილი გახლდათ და ალბათ ალაპარაკდა.

### ვერონა ისევ იგებს

სხვა მატჩებისგან „ვერონას“ მორიგი გამარჯვება და ლივორნოში გამართული სუპერმატჩი უნდა გამოვარჩიოთ. ჯერ „ვერონაზე“ ვთქვათ, გუნდზე, რომელიც ლიდერთა მარაქაშია, განსაკუთრებით კარგად საკუთარ მოედანზე ასპარეზობს და როგორც ჩანს, არაფრის დათმობას არ აპირებს. ვენეტოელთა რიგებში ძირითადად ახალგაზრდა ფეხბურთელები გამოირჩევიან, მაგრამ ამჯერად, ვეტერანმა **ლუკა ტონიმ** გაიბრწყინა. იტალიის ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა გოლი გაიტანა და მთლიანობაში, ძალიან პროიდუქტიული იყო. „ვერონამ“ „სამპდორია“ დაამარცხა, თანაც უშანსოდ და ცოტა მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ მასპინძლებს დამაგვირგვინებელ ფაზაში, ანგარიში გამანადგურებელი იქნებოდა.

დაძაბული და დრამატული მატჩი შედგა ლივორნოში, სადაც ადგილობრივმა გუნდმა „ტორინოს“ უმასპინძლა. სტუმრები ორი ბურთის სხვაობით იგებდნენ, როდესაც „კომუნისტებმა“ აიწყვიტეს და მეტიქეს სამი გოლი მიართვეს - თითქოს საბოლოოდ გატყდა „ტორინო“, მაგრამ არა **ალესიო ჩერჩი** - ტურინელთა ლიდერმა გაათანაბრა ანგარიში და ეს დრამატული მატჩი ფრედ დასრულდა, 3:3. მატჩის შემდეგ, მრავლისმნახველმა ჩერჩიმ განაცხადა, რომ ასეთ არანორმალურ შეხვედრაში აქამდე არასდროს უთამაშია.

**რომა-კიევო 1:0**

**გოლი:** 1:0 ბორიელო (67)

**რომა (4-3-3):** დე სანკტისი - ტოროსიდისი, კასტანი, ბენატია, დოდო (65. ბალცარეტი) - პიანიჩი (81. ბრედლი), დე როსი, სტროტმანი - მარკინიო (59. ფლორენცი), ლიაიჩი, ბორიელო.

**კიევო (3-5-2):** პუჯონი - დაინელი, ფრეი, დოს სანტოსი (62. პაპი) - სარდო, ლ. რიგონი, ბენტივოლიო (77. აკოსტი), ჰეტემაი, დრამე (67. ესტიგარიბია) - პალოსკი, პელისიერი.

**გაფრთხილება:** კასტანი, პიანიჩი, ლიაიჩი - დაინელი, სარდო, ლ. რიგონი, ჰეტემაი, პელისიერი.

**კუთხური:** 10-1; **ჯარიმა:** 18-12; **თამაშგარე:** 1-6; **კარში დარტყმა:** 7-2(3-1); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

მაყურებელი: 55 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რომა | 10 | 10 | 0 | 0 | 24-1 | 30 |
| 2. ნაპოლი | 10 | 8 | 1 | 1 | 22-7 | 25 |
| 3. იუვენტუსი | 10 | 8 | 1 | 1 | 22-10 | 25 |
| 4. ინტერი | 10 | 5 | 4 | 1 | 24-12 | 19 |
| 5. ვერონა | 10 | 6 | 1 | 3 | 20-16 | 19 |
| 6. ფიორენტინა | 10 | 5 | 3 | 2 | 20-12 | 18 |
| 7. ლაციო | 10 | 4 | 3 | 3 | 15-13 | 15 |
| 8. უდინეზე | 10 | 4 | 1 | 5 | 11-11 | 13 |
| 9. ატალანტა | 10 | 4 | 1 | 5 | 12-13 | 13 |
| 10. მილანი | 10 | 3 | 3 | 4 | 17-17 | 12 |
| 11. პარმა | 10 | 3 | 3 | 4 | 16-18 | 12 |
| 12. ტორინო | 10 | 2 | 5 | 3 | 16-18 | 11 |
| 13. ჯენოა | 10 | 3 | 2 | 5 | 9-14 | 11 |
| 14. კალიარი | 10 | 2 | 4 | 4 | 10-17 | 10 |
| 15. ლივორნო | 10 | 2 | 3 | 5 | 12-16 | 9 |
| 16. სამპდორია | 10 | 2 | 3 | 5 | 9-16 | 9 |
| 17. ბოლონია | 10 | 2 | 3 | 5 | 13-22 | 9 |
| 18. კატანია | 10 | 1 | 3 | 6 | 6-17 | 6 |
| 19. სასუოლო | 10 | 1 | 3 | 6 | 8-24 | 6 |
| 20. კიევო | 10 | 1 | 1 | 8 | 7-18 | 4 |

**ბომბარდირები:** 9 - როსი (ფიორენტინა); 7 - ჩერჩი (ტორინო); 6 - პალასიო (ინტერი), ტევესი (იუვენტუსი).

იუვენტუსი

# ახალი კონტრაქტი პოგბას

## მაროტა ოქროს ბურთის შესახებ

„იუვენტუსის“ სპორტული დირექტორი **ჯუზეპე მაროტა** „გაძეტა დელო სპორტს“ ესაუბრა და აქტუალურ თემებზე კლუბის პოზიცია დააფიქსირა.

### ახალი კონტრაქტი პოგბას

ბევრი დაიწერა პოგბას შესაძლო წასვლის შესახებ, რეალობა კი ისაა, რომ პოლის გაშვებას არ ვაპირებთ. მეტიც, გვსურს მას ახალი კონტრაქტი და გაუმჯობესებული პირობები შევთავაზოთ. პოგბა გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია და მისი გაშვება ჩვენს ინტერესში არ შედის. ფრანგს მხოლოდ იმ შემთხვევაში გავასხვისებთ, თუ მასში აღებული თანხით გუნდის კიდევ უფრო გაძლიერება იქნება შესაძლებელი. თუმცა, მსგავსი წინადადება ჯერ არ მიგვიღია და შესაბამისად, ეს საკითხი არ დგას დღის წესრიგში.

### ოქროს ბურთი

ამაყები ვართ, რომ ანტონიო კონტე და ანდრეა პირლო საუკეთესოთა შორის ნომინირებულნი არიან. ეს იმას ნიშნავს, რომ სწორ გზას ვადგავართ და ჩვენთან უმაღლესის კლასის პროფესიონალები ილვწიან. უნდა იყოს თუ არა მათ შორის არტურო ვიდალი? - ვიდალს ფანტასტიკური სეზონი ჰქონდა და იმსახურებდა საუკეთესოთა შორის მოხვედრას. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროპაში ბევრი ექსტრაკლასის ფეხბურთელია და კონკურენციაც არნახულად მაღალია. თავად განსაჯეთ, ნომინანტთა შორის, სერია A-დან მხოლოდ ერთი ფეხბურთელია და ისიც პირლო.

### მძიმე სტარტი ლიგაზე

ჩემპიონთა ლიგაზე ცუდად ვასპარეზობთ, მაგრამ საბედნიეროდ, ეს პლეი ოფი არაა და შეცდომების გამოსწორების საშუალება მოგვეცემა. ყველაფერი ჩვენს ხელშია და მჯერა, რომ რთული ვითარებიდან გამოსავალს ვიპოვით. დარჩენილ სამ შეხვედრაში უნდა გავიმარჯვოთ და „რეალთან“ ერთად, აუცილებლად გავალთ მერვედფინალში.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ჯუზეპე მაროტა

ოლიმპიური კომიტეტი. თბილისი-2015


ლერი ხაბელოვი და პატრიკ ჰიკი

# კმაყოფილი ჰიკი

ოთხშაბათს, გვიან ღამით თბილისს სტუმრად ეწვია ევროპის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა და ირლანდიის ეოკის პრეზიდენტი, სოკ-ის აღმასკომის წევრი **პატრიკ ჰიკი** და ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური კომიტეტების თავმჯდომარე **გვიდო დე ბონდი**. ამ ერთდღიანი ვიზიტის მიზანი 2015 წელს თბილისში გასამართი ზემოაღნიშნული ფესტივალისთვის მოსამზადებელი სამუშაოების დათვალიერება იყო. გუშინ სტუმრებს ფრიად დატვირთული დღე ჰქონდათ, რომელიც ოლიმპიურ კომიტეტში შეხვედრით დაიწყეს, მერე დაათვალიერეს მშენებარე ოლიმპიური სოფელი და სპორტული ობიექტები, შეხვდნენ ქვეყნის პრემიერ-მინისტრ **ბიძინა ივანიშვილს**, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ **ლევან ყიფიანს**, საღამოს კი ისევ სეოკ-ში პრესკონფერენცია გამართეს. მას უცხოელებთან ერთად ამ ორგანიზაციის პრეზიდენტი **ლერი ხაბელოვი** და „თბილისი-2015"-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე **ლევან ახვლედიანი** უძღვებოდნენ.

შეხვედრაზე უცხოელთაგან ძირითადად ჰიკმა ისაუბრა, რომელმაც კმაყოფილება გამოთქვა ნანახ-მოსმენილით. მისი სიტყვებიდან ირკვევა, რომ ის კმაყოფილია მზადების პროცესით. *„დღევანდელმა შეხვედრებმა ცხადყო, რომ მზადებაში ყველა აუცილებელი ელემენტი გათვალისწინებულია, მომდევნო წლებში კი ჩვენ ისევ ერთად უნდა ვითანამშრომლოთ, რათა ძალიან წარმატებული ფესტივალი მივილოთ. აღფრთოვანებული ვარ ნანახითა და მოსმენილით იმის შესახებ, რაც უკვე გაკეთდა და რაც იგეგმება. ეს ფესტივალი საქართველოსთვის დიდი შანსია – აქ ჩამოდის 49 ქვეყნის დელეგაცია, დაახლოებით 3 ათასამდე სპორტსმენი, რომლებსაც ოჯახის წევრები, ქომაგებიც ჩამოჰყვებიან"* - განაცხადა ჰიკმა.

ფესტივალი რომ მართლაც დიდი შანსია ქვეყნისა და ქართული სპორტისთვის, ამაზე ხაბელოვმაც ისაუბრა. მან და ახვლედიანმა იმაშიც დაგვამშვიდეს, რომ ფესტივალისთვის ყველაფრის დასრულება მოესწრება. სულ მალე გაიხსნება მძლეოსნობის დარბაზი დიდუბეში, დაგეგმილ ვადებში ეტევა და შეუფერხებლად მიმდინარეობს ოლიმპიური სოფლის მშენებლობაც, ამ ობიექტებმა კი განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინეს სტუმრებზე. სადღეისოდ ყველაზე პრობლემურად საცურაო აუზი რჩება, სადაც „ოლიმპიკის" გარდა სხვა ალტერნატივაც განიხილება – ან იქაურობა გადააკეთონ თანამედროვე სტანდარტებამდე, ან – ახალი ააშენონ. ახვლედიანის ინფორმაციით, ასაშენებელ-გასარემონტებელ ობიექტებზე მალევე გამოცხადდება ტენდერი – ბოლო ვადა 20 დეკემბერია, და მუშაობასაც შეუდგებიან. მათ თურმე სტუმარს იმ სამშენებლო ფირმების სიაც გააცნეს, რომლებიც ან უკვე ჩაებნენ, ან მომავალში დასაქმდებიან მშენებლობაში...

ცხადია, პრესკონფერენციაზე დიდი ნაწილი სოჭის ოლიმპიადის ყბადაღებულ თემასაც შეეხო. ჰიკმა გადაჭრით მოგვიწოდა მონაწილეობისკენ და ბოიკოტს უგუნურება უწოდა. *„ბოიკოტი არასოდეს დასრულებულა წარმატებით და მას აზრი არ აქვს. ამით მხოლოდ სპორტსმენები ისჯებიან, სხვა – არავინ. ჯიმი კარტერი, რომელმაც ზეწოლა მოახდინა ბევრ ქვეყანაზე და თვითონაც გამოუცხადა ბოიკოტი მოსკოვის ოლიმპიადას, წლების შემდეგ საკუთარ მემუარებში ამას თავის ერთ-ერთ უდიდეს შეცდომას უწოდებდა"* - გვითხრა მან. ის მიესალმა ჩვენი სეოკისა თუ ქვეყნის ხელისუფლების გადაწყვეტილებას, გამოვიდნენ ამ თამაშებში, თუმცა გაგვაკვირვა იმის აღიარებით, რომ თურმე მხოლოდ გუშინწინ შეიტყო ამ ოლიმპიადაში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოხსენიების შესახებ... ის დაუკავშირებია სოკს, საიდანაც პასუხად მიუღია, რომ ეს პრობლემა აუცილებლად მოგვარდება და თითქმის გადაწყდა უკვე. მანვე დაგვამშვიდა, რომ ამ საქმეში საქართველო ევროპის, დასავლეთის სრულ მხარდაჭერას მიიღებს, რადგან ცნობენ ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას და მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ცნობენ. სამაგიეროდ, გადაჭრით ვერ გვიპასუხა, რა სანქციები დაეკისრება რუსეთს, თუ მაინც არ შეასრულებს ამ საერთაშორისო მოთხოვნებს, ან - საქართველოს, თუ მაინც გამოაცხადებს ბოიკოტს. ამ თემაზე ხაბელოვმა განაცხადა, რომ მათ უკვე მიიღეს სპორტული გადაწყვეტილება სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობის შესახებ, თუმცა მთავრობის ცნობილი განცხადებაც ძალაში რჩება იმის შესახებ, რომ სადღეისოდ მონაწილეობას კი ეთანხმებიან, მაგრამ დააკვირდებიან მოვლენათა განვითარებას და საბოლოო გადაწყვეტილებას მოგვიანებით მიიღებენ.

**ირაკლი თავაძე**




ჭადრაკი

# ორი ქართველი ქალთა ათეულშია

ფიდემ ტრადიციულად საპირველნოემბროდ საუკეთესო მოჭადრაკეთა ასეულები გამოაქვეყნა. სასიამოვნოა, რომ ქალთა პირველ ათეულში ორი ჩვენებურია — ნანა ძაგნიძე და ბელა ხოტენაშვილი. სათავეში კი უწინდებურად იუდით პოლგარი იმყოფება (უნგრეთი, 2689). შემდეგ მოდიან: მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2629), ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2618), ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2566), ჟაო სიუე (ჩინეთი, 2565), **ნანა ძაგნიძე** (საქართველო, 2556), ორგზის ევროპის ჩემპიონი კატერინა ლაგნო (უკრაინა, 2542), **ბელა ხოტენაშვილი** (საქართველო, 2524), ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი, 2523), ორგზის ევროპის ჩემპიონი პია კრამლინგი (შვედეთი, 2520).

ძაგნიძისა და ხოტენაშვილის გარდა პირველი ასეულში არიან: 29. **ნინო ხურციძე** (2462), 32. **სალომე მელია** (2453), 43. **სოფიკო გურამიშვილი** (2441), 51. **ნინო ბაციაშვილი** (2425), 54. **ლელა ჯავახიშვილი** (2423), 85. **თამარ წერეთელი** (2375), 86. **მერი არაბიძე** (2374), 88. **სოფიკო ხუხაშვილი** (2374), 89. **მაკა ფურცელაძე** (2374), 94. **მაია ლომინეიშვილი** (2366).

ვაჟთა პირველი ათეული კი ასეთია: მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2870), ლევონ არონიანი (სომხეთი, 2801), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2793), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2786), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2785), ფაბიანო კარუანა (იტალია, 2782), ბორის გელფანდი (ისრაელი, 2777), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2775), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2774) და შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2757). საქართველოდან პირველ ასეულში ერთადერთი წარმომადგენელია - დიდოსტატი **ბაადურ ჯობავა**, რომელიც 2695 პუნქტით 55-ე საფეხურზე ჩამოქვეითდა.

20-წლამდელ გოგონათა ასეულში არიან: 8. **მერი არაბიძე** (2374), 11. **ნაზი პაიკიძე** (2337) და 49. **მარიამ დანელია** (2219). ვაჟებში **ზურაბ ჯავახაძე** 2451 პუნქტით 96-ეა.

**ვაჟა დანელია**


ნანა ძაგნიძე


ბელა ხოტენაშვილი

ჩოგბურთი

## ამერიკასა და თურქეთში

თბილისელი **ანა ტატიშვილი** ამერიკულ ნიუ ბრაუნფელსში ჩოგბურთელ ქალთა 50.000-იან ტურნირში წინსვლას განაგრძობს. სტარტზე ჟაკლინ კაკოს (აშშ) ძლევის შემდეგ გუშინ მის გზას გაუყენა იულია ელბაბა (აშშ) - 6:3, 6:4 და მეოთხედფინალში კიდევ ერთ ამერიკელს - სანაზ მარანდს შეხვდება. წყვილებში ტატიშვილმა და კოკო ვანდევეგემ (აშშ) ორ სეტში იოლად სძლიეს ულრიკე ეიკერსა (ნორვეგია) და მარსელა ზაქარიასს (მექსიკა) - 6:1, 6:1. ამ გამარჯვებით ისინი ნახევარფინალში გავიდნენ.

■ ■ ■

ანტალიის ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) წარმატებით თამაშობს **ეკატერინე გორგოძე**. სტარტზე მან მასპინძელი ესენ კოკჩე ჩამოიშორა გზიდან (6:0, 6:0), გუშინ კი კშილა არგიელანს (უნგრეთი) აჯობა - 6:1, 7:5. მეოთხედფინალში ჩვენებური კატია ზუევას (უკრაინა) მძლეველ (6:1, 6:2) ნორა ენგელმანს დაუპირისპირდება და პირველ წრეში სოფიო ქვაცაბაიას დამარცხებისთვის რევანშის აღებას შეეცდება.

■ ■ ■

სტამბოლში 25.000-იანი ტურნირის წყვილთა პაექრობაში მეორე ნომერმა **სოფიო შაფათავამ** ანასტასია ვასილიევასთან ერთად გუშინ ნახევარფინალში მეოთხე ნომრად განთესილი ბასაკ ერაიდინისა და მელის სეზერის (ორივე-თურქეთი) ტანდემი დაჯაბნა - 6:3, 6:0 და ფინალში რეიტინგფავორიტ კაგლა ბუიკაკჩაისა და ჰემრა ოზგენის (ორივე-თურქეთი) ტანდემთან გაარკვევს ურთიერთობას. ამ უკანასკნელმა მიხაელა ჰონკოვას (სლოვაკეთი) და კატარზინა კავას (პოლონეთი) მოუგო - 7:5, 6:3.

**ვაჟა დანელია**

ხელბურთი

# ექვსი მოგება ოთხი მარცხის წილ

30 ოქტომბერს სტარტი აიღო ხელბურთელ ვაჟთა 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევმა რაუნდმა. ბებერი კონტინენტის 20 ქვეყნის წარმომადგენლები პლეი ოფის 5 საგზურის მოსაპოვებლად 5 ევროპულ ჯგუფში არიან განთესილი. ასპარეზობის სტარტზე მასპინძლებმა ექვსი გამარჯვება მოიპოვეს ოთხი მარცხის წილ. პირველ ჯგუფში, როგორც გაუწყეთ, საქართველოს ნაკრებმა სტუმრად ლიტვასთან წააგო - 17:23 (7:12), ფინელებმა შინ თურქებს სძლიეს - 26:20 (15:12). დანარჩენ ჯგუფებში პირველი ტურის შეხვედრები ასე დამთავრდა:

**№2 ჯგუფი.** სლოვაკეთი-კვიპროსი 35:14 (16:5), იტალია-რუმინეთი 22:23 (9:11).

**№3 ჯგუფი.** ლუქსემბურგი-უკრაინა 34:38 (16:20), სლოვენია-შვეიცარია 33:30 (18:13).

**№4 ჯგუფი.** ჰოლანდია-საბერძნეთი 25:20 (12:10), ბელგია-ისრაელი 29:27 (17:14).

**№5 ჯგუფი.** პორტუგალია-ლატვია 26:29 (9:13), ესტონეთი-ბოსნია 26:29 (13:18).

თითოეული ჯგუფიდან პლეი ოფში მხოლოდ გამარჯვებული გავა. მათ დაემატება საუკეთესო რეიტინგის მქონე გერმანია, ასევე, 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის 16 მონაწილიდან (ესპანეთი, დანია, ჩეხეთი, მაკედონია, ავსტრია, ისლანდია, უნგრეთი, ნორვეგია, სერბეთი, საფრანგეთი, პოლონეთი, რუსეთი, ხორვატია, შვედეთი, ბელარუსი, ჩერნოგორია) 12 გუნდი (მსოფლიოს ჩემპიონების - ესპანელებისა და ევროპის ჩემპიონატის მედალოსნების გარდა, რომლებიც იანვარშივე დაიბევებენ ფინალური ეტაპის საგზურებს). სწორედ, ეს 18 გუნდი პლეი ოფში 9 საგზურისთვის იბრძოლებს.

შესარჩევი ტურნირის მეორე ტურის შეხვედრები 3 ნოემბერს გაიმართება. საქართველოს ნაკრები სპორტის სასახლეში ფინეთს შეხვდება, თურქეთი კი ლიტვას უმასპინძლებს. დანარჩენი ორთაბრძოლები ნაახალწლევს ჩატარდება: **2 იანვარი.** ფინეთი-ლიტვა, თურქეთი-საქართველო, **4-5 იანვარი.** ლიტვა-ფინეთი- საქართველო-თურქეთი, **8-9 იანვარი.** საქართველო-ლიტვა, თურქეთი-ფინეთი, **11-12 იანვარი.** ლიტვა-თურქეთი, ფინეთი-საქართველო.

**ვაჟა დანელია**




+1

## ზეიმი ასპარეზობამ დაამშვენა

პროექტმა „ქართული ჭიდაობის არენები მთელ საქართველოში", რომელსაც წარმატებით ახორციელებს ფონდი „ქართუ" ამ დღეებში კიდევ ერთი ახალი სარბიელი მიითვალა. ამჯერად ზეიმი ახმეტაში გაიმართა და მის გახსნას საქართველოს ქართული ჭიდაობის ფედერაციის თაოსნობით ქართულ ჭიდაობაში ქვეყნის გუნდური ღია პირველობა მიეძღვნა.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ახმეტის, დედოფლისწყაროს, ქარელის, ყვარლისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტების გუნდები. პირველობა წილად ხვდათ მასპინძლებს, მეორე ადგილზე ქარელის, მესამეზე ყვარლის გუნდები გავიდნენ.

გამარჯვებულ და პრიზიორ გუნდებს ფულადი ჯილდო, დიპლომები და მედლები გადაეცათ.

**ლელა ხეჩოშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარატე




# ქართველებმა ჩეხეთშიც იპირველეს

საქართველოს კარატეს ეროვნულმა ფედერაციამ 25-27 ოქტომბერს ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზა ბოჰემიის თასზე. მაღალი დონის ამ ასპარეზობას 25 ქვეყნის ეროვნული ნაკრების 1000-ზე მეტი სპორტსმენი სტუმრობდა.

ტურნირი კომერციული იყო, ამიტომაც გაიმართა საკმაოდ ხმაურიანი და უკომპრომისო ორთაბრძოლები, მაგრამ ჩვენი ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა, **გოგიტა არქანიამ** შანსი არც ერთ მოწინააღმდეგეს დაუტოვა და -84 კილოგრამში ოქრო გაინაღდა საპრიზო თანხასთან ერთად. ასევე პირველი ადგილი არავის არ დაუთმო -60 კილოგრამში **დავით ტყებუჩავამ** და გოგიტა არქანიას მსგავსად გული ოქროს მედლით, ხელი კი საპრიზო ნადავლით დაიმშვენა. -74 კილოგრამში ვერცხლი მოიპოვა **ჰენრი ვეკუამ**, ბრინჯაოებს დაჰყაბულდნენ **გიორგი ელიზბარაშვილი** და **მამუკა გელაძე**.

*„პრაღაში ჩემპიონატის შემდეგ მასპინძელი ქვეყნის ფედერაციასთან, მათივე სურვილით, მოლაპარაკება შედგა. შევთანხმდით, რომ ჩვენი ნაკრები საწვრთნელ შეკრებებს მათ საწვრთნელ ბაზაზე გაივლის ხოლმე. ასევე სხვა ქვეყნებმაც გამოთქვეს სურვილი ჩვენი ნაკრების მიწვევაზე, რათა ჩვენნაირი მაღალი დონის სპორტსმენებთან ერთად ჩაატარონ წინასაშეჯიბრო ვარჯიშები. ეს ყველაფერი ჩვენი ფედერაციისთვის თვალსაჩინოდ დიდი წინსვლაა, რადგან 2015 წელის ევროპის ოლიმპიური თამაშების წელიწადია და საკმაოდ კარგ ფორმაში უნდა ვიყოთ. თანაც, ყველაზე მთავარი ისაა, რომ ევროპის ოლიმპიადისთვის ლიცენზიებია მოსაპოვებელი, ამიტომაც ჩვენი ნაკრებისთვის მეტად პრინციპულია ჩეხეთში მომზადება. ევროპული ოლიმპიადა ბაქოში გაიმართება, სადაც 19 სპორტის სახეობასთან ერთად კარატეცაა წარმოდგენილი.*

*რაც შეეხება უახლოეს მსოფლიოს ჩემპიონატს, რომელიც ესპანეთში გაიმართება 7-10 ნოემბერს, ჩვენი მცირერიცხოვანი - 12-კაციანი სპორტული დელეგაციით კიდევ ერთხელ უნდა დავამტკიცოთ, რომ ახალგაზრდებშიც ისევ ლიდერები ვართ. აქვე მადლობას გადავუხდი თბილისის მერიის სპორტისა და კულტურის სამსახურის მესვეურებს, ბატონებს,* ***მამუკა ქაცარავას*** *და* ***მერაბ ჩიქობავას.*** *მათ დიდი წვლილი შეაქვთ ჩვენს წარმატებაში“*, - განაცხადა ჩეხეთიდან დაბრუნებულმა საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **კახა ბასილიამ.**

***ნუგზარ ქიაბერაშვილი***
საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი

თარიღები და მოვლენები

## 01-03 ნოემბერი

**01. 1969.** დაიბადა **მიხეილ ჯიშკარიანი** - ფეხბურთი

**02. 1902.** დაიბად **ივანე (კაკო) მარი** - ალპინიზმი. გარდაიცვალა 1990 წელს

**02. 1944.** დაიბადა **ალექსანდრე მეტრეველი** - ჩოგბურთი

**02. 2011.** რუმინეთში, 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა 27:9 დაამარცხა ბელგია და 6-ერის საგზური მოიპოვა

**03. 1961.** დაიბადა **ვალერი ჯგერენაია** - კალათბურთი. დაიღუპა 1992 წელს

**03. 1976.** თბილისის „დინამომ" თასების თასზე 1\8 ფინალის განმეორებითი მატჩი ბუდაპეშტში მტკ-სთან 0:1 წააგო. პირველი შეხვედრაც უნგრელებმა 4:1 მოიგეს

**03. 2011.** საქართველოს 19-წლამდელ მორაგბეთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე სტუმრად 24:8 დაამარცხა რუმინეთის ნაკრები და მსოფლიოს ალაფზე თამაშის უფლება მოიპოვა

**03-05. 2011. ძიუდო.** კეიპთაუნში მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე **გიორგი მესაბლიშვილმა** (55 კგ), **ლაშა შავდათუაშვილმა** (66 კგ) და **ბექა ლვინიაშვილმა** (73 კგ) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

ძიუდო. საქართველოს ჩემპიონატი

# ლიდერებით, მაგრამ ულიდეროდ

**2-3 ნოემბერს სპორტკომპლექსი „არენა" ძიუდოში საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლებს უფროსთა შორის. ის ამჯერადაც მხოლოდ ვაჟებში ტარდება, ქალებისთვის კი მოგვიანებით იგეგმება.**

ამ ტურნირით ჩვენი ნაკრები მომავალი სეზონისთვის იწყებს მზადებას. აქედან გამომდინარეც ცხადია მისი მნიშვნელობა და გასაგებია, რომ ფედერაცია, ნაკრების ხელმძღვანელობა ყველა ლიდერის მონაწილეობას აუცილებლობად მიიჩნევენ. თუმცა ასეთი სიმკაცრის მიუხედავად, ტურნირს მაინც დააკლდება რამდენიმე ტიტულოვანი ფალავანი უპირველესი ლიდერის თავკაცობით, მაგრამ ფრიად საპატიო მიზეზით – ტრავმების გამო. საზარდულის ტრავმა ჭიდაობის საშუალებას არ აძლევს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონ **ლაშა შავდათუაშვილს** (66), კისრის პრობლემა არათუ ტურნირში გამოსვლის, ჯერჯერობით ვარჯიშსაც სრულად უზღუდავს ევროპის ვიცე-ჩემპიონ **ნუგზარ ტატალაშვილს** (73), ამავე წონაში ევროპის მესამე პრიზიორმა **ზებედა რეხვიაშვილმა** ცხვირის ოპერაცია გაიკეთა და, იმედია, სპორტული კარიერისთვის ყველაზე საშიში საფრთხეც საბოლოოდ მოიშორა. ახლა გამოსვლაც შეეძლო, მაგრამ მწვრთნელებმა არ გარისკეს და ჯერ კიდევ ასვენებენ, ვინაიდან კვლავაც რჩება საშიშროება, რომ ცხვირზე თუნდაც უნებლიე მუჯლუგუნმა სერიოზული დაზიანება გამოიწვიოს. მუხლის პრობლემა თითქოს მოიშუშა და უნდა ეჭიდავა ევროპის კიდევ ერთ ბრინჯაოსმედალოსან **ლევან ნიკლაურს** (81), მაგრამ სამშაბათს ვარჯიშზე კვლავ იტკინა ისევ ის პრობლემური მუხლი და მისი გამოსვლაც გამოირიცხა... ასევე ბოლო დღეებში ძიუდოისტთა ლაზარეთს **ნოდარ მეტრეველიც** (100) შეუერთდა – ესეც მუხლის ტრავმის გამო...

საბედნიეროდ, ჯერჯერობით სხვები მწყობრში არიან და ჩემპიონატისთვის ემზადებიან. მათ შორის – ახალგაზრდული ნაკრების წევრებიც... უეჭველია, ისინი ტურნირს სოლიდურობას ნამდვილად შემატებენ, თუმცა დროის მცირე მონაკვეთში ბევრის ჭიდაობა კი უწევთ – ერთი თვის წინათ თანატოლთა შორის ევროპის პირველობაზე იასპარეზეს, წინა კვირას – მსოფლიოს ჩემპიონატში გამოვიდნენ, სადაც, პრაქტიკულად, ორი შეჯიბრება ჩაატარეს – პირადი და გუნდური, ახლა კი მორიგი ძლიერი ტურნირი უწევთ... ბუნებრივია, მსოფლიოზე ყველა ბოლომდე არ დატვირთულა. უმეტესობამ ან ერთი ტურნირი ჩააგდო, ან – მეორე, ახალგაზრდებში ევროპის წლევანდელ ჩემპიონ **გურამ თუშიშვილს** (100) არც დასცალდა ჭიდაობა და ვერ ვიტყვით, რომ დაღლილი იქნება. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა **ბექა ლვინიაშვილმა** (90) და ამავე ტურნირების მედალოსანმა **ლევან მატიაშვილმა** (+100) ბოლომდეც ჩაატარეს ორივე შეჯიბრება და გვარიანადაც იომეს. თან რიგ შემთხვევებში ცოტა დაღლაც დაეტყოთ. განსაკუთრებით – კარგი ფიზიკური მომზადებით გამორჩეულ ლვინიაშვილს, რომელსაც წინა დღეებში სურდოც შეეყარა (ეს სენი გუნდის სხვა წევრებსაც აწუხებდათ) და იქნებ მათი დასვენება ჯობდა? სულის მოთქმა არც იმ ძირითად ბირთვს აწყენდა, რომელიც ერთ-ერთ ტურნირში დაიხარჯა ბოლომდე... ყოველ შემთხვევაში, მსოფლიოდან საქართველომდე ცოტა მეტი შუალედი რომ აჯობებდა, ამას არც ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ირაკლი უზნაძე** უარყოფს, მაგრამ მათ ასპარეზობას განსაკუთრებულ დატვირთვად არ მიიჩნევს. თან, ამ ტურნირმა უნდა გამოავლინოს ძიგორო კანოს მემორიალზე წასაყვანი შემადგენლობა, საგაისო ბირთვი და ამიტომ გადაწყვიტა, ყველა აჭიდაოს. თან კატეგორიულად მოითხოვს, რომ თითოეული თავის წონაში გამოვიდეს, რაშიც სრულად ვეთანხმებით – მიგვაჩნია, რომ ასე ცხადად გამოიკვეთება წონებში არსებული კონკურენცია. წინა დღეებში უკვე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ზოგიერთი ზედა წონაში აპირებდა გამოსვლას. მაგალითად, თითქოს **ვალერი ლიპარტელიანი** ახლა წონას არ დაიკლებდა და 100-ში გამოვიდოდა, მაგრამ უზნაძემ მსგავსი პრეცედენტი კატეგორიულად გამორიცხა.

შაბათს „არენაში" პირველი სამი წონის – 60, 66 და 73-ის ფალავნები იჭიდავებენ, დანარჩენები კვირას გავლენ საასპარეზოდ, შეხვედრები კი 11 საათზე დაიწყება.

**ირაკლი თავაძე**



თვის მონაგარი

## ოქტომბერი

**9. კალათბურთი.** დუდუ დადიანის მემორიალი „სოხუმმა" მოიგო, რომელმაც ფინალში „არმია" 84:57 დაამარცხა.

**10. ფეხბურთი.** ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩში საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა (მწვრთნელი **ალექსანდრე ჩივაძე**) თბილისში ჰოლანდიასთან 0:6 წააგო.

**11-13. სამბო.** სალონიკიში (საბერძნეთი) ჭაბუკთა და ახალგაზრდა სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველებმა ჯამში 18 მედალი მოიპოვეს. 3 ოქრო, 5 ვერცხლი და 10 ბრინჯაო. ჩემპიონები გახდნენ: **გიორგი მეტრეველი** (60 კგ, ჭაბუკები), **უშანგი მარგიანი** (82, ახალგაზრდები) და **ელენე ქებაძე** (80+, ახალგაზრდები).

**13. ჩოგბურთი.** მაკონის (აშშ) საერთაშორისო ტურნირი (25 ათასი დოლარი) მოიგო **ანა ტატიშვილმა.**

**13. ძიუდო. ნოდარ მეტრეველმა** (100+ კგ) მინსკის საერთაშორისო ტურნირზე გაიმარჯვა.

**14. ფეხბურთი.** ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩში საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა 2:1 მოუგო შოტლანდიას.

**15. ფეხბურთი.** 2014 წლის მუნდიალის ბოლო საკვალიფიკაციო მატჩში საქართველოს ნაკრები სტუმრად ესპანეთის ნაკრებთან 0:2 დამარცხდა და ქვეჯგუფი ბოლოსწინა ადგილზე დაასრულა.

**17. ფეხბურთი.** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, თბილისში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა (მწვრთნელი **ნოდარ აკობია**) 3:1 მოუგო სან მარინოს.

**19. ფეხბურთი.** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, თბილისში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა 2:0 დაამარცხა ლუქსემბურგი.

**19. კალათბურთი.** სტარტი აიღო საქართველოს 23-ე ჩემპიონატმა.

**19-20. თავისუფალი ჭიდაობა.** ხასავიურტში (რუსეთი) საკონტინენტთაშორისო თასზე ოქროს მედლები მოიპოვეს **ბექა ბუჯიაშვილმა** (55 კგ) და **გიორგი საკანდელიძემ** (მძიმე), ვერცხლი - **ლევან ქელეხსაშვილმა** (66).

**22. ფეხბურთი.** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ჰოლანდიასთან 0:1 დამარცხდა, თუმცა ელიტრაუნდის საგზური მოიპოვა.

**24-26. ძიუდო.** მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ჩემპიონი გახდა **ბექა ლვინიაშვილი** (90 კგ); მესამე ადგილებზე გავიდნენ **ლერი ჭელიძე** (55) და **ლევან მატიაშვილი** (100+).

**25-26. თავისუფალი ჭიდაობა:** ყაზახეთში საერთაშორისო ტურნირზე **დავით მარსაგიშვილმა** (84 კგ) და **ომარ გუსოშვილმა** (96) იმარჯვეს.

**25-26. თავისუფალი ჭიდაობა:** გროზნოში „კადიროვის თასზე" **დავით მოძმანაშვილი** (120 კგ) ჩემპიონი გახდა.

**27. ძიუდო.** ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა (მწვრთნელი **გია გუგავა**) ფინალში საბერძნეთი 4:1 დაამარცხა და მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა.

**27. ჩოგბურთი. ანა ტატიშვილმა** ფლორენსის (აშშ, 25 ათასი დოლარი) საერთაშორისო ტურნირი მოიგო.

**27. რაგბი.** საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის 1/4 ფინალში ჩეხეთის ნაკრებს 69:8 აჯობა.

**30. რაგბი.** საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ნახევარფინალში ესპანეთს 31:3 მოუგო.

**30. ხელბურთი.** მსოფლიოს 2015 წლის პირველობის შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრებმა სტუმრად ლიტვასთან 17:23 წააგო.

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ინტერვიუ გიორგი ნიჟარაძესთან

# კანადას და აშშ-ს უნდა მოვუგოთ, სამოას?

**საქართველოში სარაგბო სეზონი დასასრულს უახლოვდება. თუმცა, მანამდე ჩვენს ეროვნულ ნაკრებს წლეულს ყველაზე სერიოზული გამოცდა ელის. „ბორჯღალოსნები“ პირველად თავის ისტორიაში ნოემბრის ტესტებზე სამ მატჩს გამართავენ. ჩვენი მეტოქეები საკმაოდ სერიოზული გუნდებია, აშშ-ის, კანადისა და სამოას ნაკრებები. კარს მომდგარი ბატალიებისთვის მზადების პერიპეტიებსა და მომავლის გეგმებზე საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტს გიორგი ნიჟარაძეს ვესაუბრეთ.**



მარჯვნივ დიდიე ბესი. ახალი სახე საქართველოს ნაკრებში

- ნოემბრის ტესტებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი ეროვნული ნაკრების მწვრთნელებს ორი წელიწადი ჰქონდათ ექსპერიმენტებისთვის. მათ ჰქონდათ საშუალება ყველა საინტერესო მოთამაშე გამოეცადათ საქმეში. ახლა დადგა დრო, ეს ყოველივე შედეგში აისახოს. ვნახავთ, რამდენად სწორი გეზი ჰქონდათ აღებული გუნდის თავკაცებს.

**- გთხოვთ მოკლედ დაგვიხასიათოთ ის ნაკრებები, რომლებთანაც „ბორჯღალოსნებს“ ნოემბრის ტესტებზე მოუწევთ ბრძოლა.**

- სამივე გუნდთან თამაში ძალიან მძიმე იქნება. პირველი მეტოქე, რომელსაც ეროვნულ სტადიონზე დავუპირისპირდებით, კანადის ნაკრებია. „ნეკერჩხლის ფოთლები“ ერთ-ერთი ყველაზე პროგრესირებადი გუნდია. ეს ნაკრები წლიდან წლამდე უმატებს და საკმაოდ ანგარიშგასაწევი ძალაა. ის რეიტინგში ორი საფეხურით გვისწრებს. ამ ქვეყნის რაგბის კავშირი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულად ითვლება. ის ახალზელანდიელი სპეციალისტებითაა დაკომპლექტებული და ძალიან სწრაფად ვითარდება.

ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები, შესაძლოა, კანადისაზე ოდნავ სუსტია, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. „არწივები“ საკმაოდ მებრძოლი გუნდია და იოლად არავის არაფერს უთმობს. მათთან შეხვედრის გამართვა ქუთაისში გვინდოდა, რაც რეგიონში რაგბის კიდევ უფრო პოპულარიზაციისთვის ძალიან კარგი იქნებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, რაგბის საერთაშორისო საბჭომ ქუთაისის ცენტრალური სტადიონი დაიწუნა. ამიტომ, გადავწყვიტეთ, მატჩი რუსთავში, საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ მიერ აგებულ ახალ სტადიონზე გავმართოთ.

სამოას ნაკრებზე ბევრი ლაპარაკი საჭირო არც არის. ეს არის მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი, რომელიც მსოფლიოს კლასიფიკაციაში მე-7 ადგილზეა. მსგავსი დონის ეროვნულ ნაკრებს საქართველოში არასდროს უთამაშია.

ამრიგად, ჩვენი მიზანია, დავამარცხოთ აშშ და კანადა, სამოას კი, შეუპოვარი ბრძოლა შევთავაზოთ. ვნახოთ რა გამოვა. მთავარია, გუნდი მომავალ წელს გასამართი ერთა თასისთვის მოემზადოს, რათა იქ პირველი ადგილი დავიკავოთ და მსოფლიოს თასის გათამაშებაში C ჯგუფში მოვხვდეთ.

**- როგორ ფიქრობთ, რამდენად ხერხდება საქართველოს ნაკრების ოპტიმალური შემადგენლობის თავმოყრა, რომელსაც ნოემბრის ტესტებზე დასახული მიზნის მიღწევა ხელეწიფება?**

- მიზნის მიღწევა არ იქნება ადვილი. მით უფრო, რომ გუნდში ტრავმების ნამდვილი ეპიდემიაა. საკმაოდ სერიოზული დანაკლისი გვაქვს პირველ ხაზში. ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ დავით ზირაქაშვილი, ვასილ კაკოვინი, ჯაბა ბრეგვაძე, ირაკლი ნატრიაშვილი, გიორგი ჟღენტი, მეორეხაზელი ვახტანგ მაისურაძე. პირადი პრობლემების გამო ნაკრებს ვერ დაეხმარება ანტონ ფეიქრიშვილი. ტრავმები ახლახან მოირჩინეს მამუკა გორგოძემ და ლაშა ხმალაძემ. ვფიქრობ, ყველა ეს მორაგბე ჩვენი გუნდისთვის დიდი ძალაა. თუმცა, ისინი, ვინც ამჯერად ნაკრების კვართს მოირგებენ, როგორც ყოველთვის, ბოლომდე, მთელი ჟინითა და შემართებით იბრძოლებენ, რათა კიდევ ერთხელ გაახარონ ქართული რაგბის ქომაგები.

**- რა ცვლილებაა საქართველოს ნაკრების მწვრთნელთა შტაბში?**

- საფრანგეთში მოთამაშე ჩვენი წამყვანი მორაგბეების რეკომენდაციით ნოემბრის ტესტებზე მოვიწვიეთ ფრანგი სპეციალისტი დიდიე ბესი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში „მონპელიეს“ შერკინებას წვრთნიდა და ახლა ამ გუნდის ესპუარებისა და სარაგბო აკადემიის მთავარი მწვრთნელია. მისი სპეციალიზაცია შერკინება და დერეფანში თამაშია. ჩვენი ნაკრების მწვრთნელი მილტონ ჰეიგი ესაუბრა თავის ახალზელანდიელ მეგობარს, „კლერმონის“ მწვრთნელ ვერნ კოტერს, რომელმაც ბესი დადებითად დაახასიათა.

ერთი სიტყვით, ბესი თბილისში ნოემბერში ჩამოვა და თუ მისი ნამუშევარი მოგვეწონა, კონტრაქტს გავუფორმებთ, რომლის მიხედვითაც ის გუნდში მსოფლიოს თასის გათამაშებისასაც იმუშავებს.

**- წლეულს პირველად ხდება, როცა საქართველოს ნაკრები საერთაშორისო შეხვედრებს სხვადასხვა სტადიონებზე მართავს...**

- ცხადია, ეს დალხინებული ცხოვრების გამო არ ხდება. მინდა მოვუწოდო გულშემატკივრებს ეროვნული ნაკრების მხარდასაჭერად მოვიდნენ. კარგი იქნება, თუ წითელი სამოსით შეიმოსებიან, რადგან სამივე მატჩში ინგლისური კომპანიის „ზარქსის“ მიერ წარმოებული წითელი ფორმით ვითამაშებთ.

**- რა გეგმები აქვს „ბორჯღალოსნებს“ მომავალში. კიდევ რომელი ძლიერი სარაგბო ქვეყნის ნაკრები შეიძლება ვიხილოთ თბილისში?**

- მომავალ წელს ჩვეულებრივ ვითამაშებთ ერთა თასის ხუთ მატჩს. მერე ივნისში თბილისში გავმართავთ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს „თბილისის თასს“. ნოემბრის ტესტებზე კი, ისევ სამი მატჩი გველის. მეტოქეების ვინაობა ჯერ ცნობილი არ არის. მათ შესახებ რაგბის საერთაშორისო საბჭო, სავარაუდოდ, დეკემბერში შეგვატყობინებს. წესით, ერთი მატჩი ელიტური სარაგბო ქვეყნის გუნდთან უნდა გვქონდეს. ეს შეიძლება იყოს, იტალია, შოტლანდია ან თუნდაც ირლანდია. ოღონდ, ამ შემთხვევაში თამაში სტუმრად მოგვიწევს. სხვა ორ გუნდს კი, თბილისში ვუმასპინძლებთ.

**საქართველოს ნაკრები**

**პირველი ხაზი:** დავით ხინჩაგიშვილი (მეტრო რასინგი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), ზურაბ ჟვანია, დავით ქუბრიაშვილი (ორივე-სტად ფრანსე), სიმონ მაისურაძე (ბაგნერე), შალვა მამუკაშვილი (არმია), რეზო ბელქანია (ლელო), ლევან ჩილაჩავა (ტულონი).

**მეორე ხაზი:** კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი), გიორგი ჩხაიძე (ტარბი), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი).

**მესამე ხაზი:** ვიქტორ კოლელიშვილი (ლიონი), მამუკა გორგოძე (მონპელიე), შალვა სუთიაშვილი (მასი), გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი), დიმიტრი ბასილაია (ედინბურგი).

**№9:** გიორგი ბეგაძე (ყოჩები), ვაჟა ხუციშვილი (ხარები).

**№10:** მერაბ კვირიკაშვილი (ვიენი), ლაშა მალაღურაძე (ბაგნერე), ლაშა ხმალაძე (ლელო),

**№12-13:** მერაბ შარიქაძე (ბურგ ან ბრესი), დავით კაჭარავა (ენისეი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო).

**№11-14:** ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), თამაზ მჭედლიძე (ბურგ ან ბრესი).

**№15:** ირაკლი ყიასაშვილი (ლელო), ბექა ნიკლაური (ლოკომოტივი).

**ნოემბრის ტესტები**

**9 ნოემბერი**

საქართველო-კანადა

**16 ნოემბერი**

საქართველო-აშშ

**23 ნოემბერი**

საქართველო-სამოა

**ბესიკ ჯანგავაძე**



საქართველოს ნაკრები

საქართველოს ჩემპიონატი



აკადემია-ხარები

# ნახევარფინალისტები დაწყვილდნენ

**საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა A ლიგაში დასრულდა რეგულარული გათამაშება და ნახევარფინალური წყვილებიც გამოვლინდნენ. უკანასკნელი, მერვე ტურის წინ პლეი ოფში გასული ოთხივე გუნდის ვინაობა ცნობილი იყო, გასარკვევი რჩებოდა მხოლოდ ის, თუ როგორ დაწყვილდებოდნენ.**

A ჯგუფში დიდ ინტერესს იწვევდა ლიდერის, თბილისის „აკადემიის“ დაპირისპირება რუსთავის „ხარებთან“. სატურნირო ცხრილში მათ შორის სხვაობა მხოლოდ სამი ქულა იყო და თუ „ხარები“ მოახერხებდნენ გამარჯვების მოპოვებას უშუალო კონკურენტთან, მაშინ პირველ ადგილზეც გადაინაცვლებდნენ.

მატჩი „ხარებმა“ საკმაოდ აქტიურად დაიწყეს და მათი მორკინალები რამდენჯერმე ახლოს იყვნენ ლელოსთან, თუმცა „აკადემიამ“ გაუძლო. მე-15 წუთზე აკადემიელებმა სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყეს, რომელიც რუსთაველებმა ჯარიმის ხარჯზე შეაჩერეს. **კოტე ახობაძემ** საჯარიმოდან ბურთი მეტოქის ძელებს შუა ზუსტად გაატარა - 3:0.

ამის შემდეგ „ხარებმა“ გაზარდეს მეტოქეზე ზეწოლა და სრულ ტერიტორიულ უპირატესობას დაეუფლნენ, თუმცა 27-ე წუთზე კიდევ ერთი კონტრშეტევა გაეპარათ. „აკადემიას“ ბურჯმა **სანდრო აბაშიძემ** მეტოქის დაცვის ხაზი გაჭრა და გადამწყვეტ მომენტში დაფარული პასი გადააწოდა შუამარბ **სანდრო ილურიძეს**, რომელსაც ლელოს გატანა აღარ გასჭირვებია. პირველი ტაიმის დარჩენილ 13 წუთში რუსთაველთა ერთ ზუსტ საჯარიმოს „აკადემიამ“ ორი ლელოთი უპასუხა და სოლიდური უპირატესობაც მოიპოვა - 25:3.

მატჩის მეორე ნახევარში რუსთაველები უფრო აგრესიულად ათამაშდნენ. ძალიან კარგად ირჯებოდნენ მათ რიგებში შუამარბი **გიორგი კოშაძე** და შერკინების კვაჭი **ერეკლე მაღრაძე**, რომლებმაც თავიანთი აქტიური ქმედებების შედეგად გუნდი უფრო შედეგიანად აათამაშეს და მეტოქესთან ჩამორჩენაც 12 ქულამდე შეამცირეს, თუმცა „ხარებს“ მეტის მისაღწევად დრო აღარ ეყოთ და 13:25 წააგეს. „აკადემიამ“ ამ გამარჯვებით ჯგუფში პირველი ადგილი შეინარჩუნა.

B ჯგუფში სატურნირო თვალსაზრისით ყველაფერი გარკვეული იყო. ჯგუფის ლიდერმა ქუთაისის პირველმა გუდმა სტუმრად პრემიალური ქულით დაამარცხა თბილისის „ლელო“ 29:12 და რეგულარული გათამაშება 66 ქულით დაასრულა. ქუთათურებმა თოთხმეტი თამაშიდან თოთხმეტივე მოიგეს და უახლოეს მდევარ „ჯიქებს“ 11 ქულით გაუსწრეს.

მეოთხე პოზიციაზე მყოფმა „არმაზმა“ რეგულარული გათამაშება კარგი განწყობით დაასრულა. უკანასკნელ ტურში ამ გუნდმა სტუმრად „ჯვაროსნები“ დაამარცხა - 29:9, „ლოკომოტივმა“ კი, თავის მხრივ უბრძოლველად მოიპოვა ხუთი ქულა, რადგან ადიგენის „ტაო“ არ გამოცხადდა მატჩზე და რკინიგზელებს ტექნიკური გამარჯვება ჩაეთვალათ.

ჭაბუკთა A ლიგის ნახევარფინალური დაპირისპირებები ორმატჩიან დუელში ჩაივლის. 7 ნოემბერს A ჯგუფის გამარჯვებული „აკადემია“ სტუმრად B ჯგუფის მეორეადგილოსან „ჯიქებს“ დაუპირისპირდება, ხოლო რუსთავის „ხარები“ ქუთაისის პირველ გუნდს უმასპინძლებს.

**ჭაბუკთა A ლიგა**

**XVIII ტური**

**A ჯგუფი**

არმია - პატარძეული 85:3; ყოჩები - ხულიგანა 14:22; აკადემია - რუსთავი 25:13;

**სატურნირო მდგომარეობა**

1. აკადემია - 54 ქულა; 2. ხარები - 47; 3. ხულიგანა - 35; 4. არმია - 32; 5. ყოჩები - 23; 6. იმერეთი - 7; 7. პატარძეული - 4;

**B ჯგუფი**

ჯვაროსნები - არმაზი 9:29; ლელო - ქუთაისი 1 12:29; ლოკომოტივი - ადიგენი X:0

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ქუთაისი 1 - 66 ქულა; 2. ჯიქები - 55; 3. ლოკომოტივი - 44; 4. არმაზი - 43; 5. ლელო - 35; 6. ჯვაროსნები - 10; 7. წიქარა - 10; ტაო - 3

**პლეი-ოფი**

**ნახევარფინალი**

ხარები - ქუთაისი 1

ჯიქები - აკადემია

**გიორგი ბარბაქაძე**

*ავტორის ფოტო*

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი



დუაიტ ჰოვარდი

# სუპერმენმა 26 მოხსნით დაიწყო

„ჰიუსტონის" მთავარმა მწვრთნელმა **კევინ მაკჰეილმა** დადებითი შეფასება მისცა სეზონის წინ ჩატარებულ ექსპერიმენტს, როცა ის ერთდროულად ათამაშებდა ორ ცენტრს - **დუაიტ ჰოვარდსა და ომერ აშიქს**. „შარლოტთან" მატჩის სასტარტო ხუთეულში ორივე კალათბურთელი ვიხილეთ და შედეგმაც არ დააყოვნა - „როკეტსმა" დამაჯერებლად მოიგო შეხვედრა, „მაღლები" კი ბრწყინვალედ ასწორებდნენ პარტნიორების შეცდომებს, ხოლო **პატრიკ ბევერლის** ტრავმა უმტკივნეულოდ გადაიტანეს, რადგან სათადარიგოთა სკამიდან შესანიშნავად შევიდა თამაშში **ჯერემი ლინი**. და კიდევ, აღსანიშნავია **ჯეიმს ჰარდენის** ხუთი შედეგიანი პასი.

რა თქმა უნდა, „ჰიუსტონს" ძალიან სუსტი მეტოქე ჰყავდა „შარლოტის" სახით, მაგრამ მაინც, ჰოვარდის 26 მოხსნა მეტად სოლიდური მაჩვენებელია, მით უმეტეს, რომ ბოლოს, რეგულარული სეზონის სასტარტო მატჩში უფრო მეტი მოხსნა 1970 წელს **უილტ ჩემბერლენს** ჰქონდა. ასე რომ, „სუპერმენი" დაკარგული პრესტიჟის აღდგენას შეუდგა.

■ ■ ■

დიდი ავანსები გაიცა სეზონის წინ „ბრუკლინის" მისამართით, მაგრამ **ჯეისონ კიდის** დებიუტი სამწვრთნელო ასპარეზზე წარუმატებელი აღმოჩნდა. „კლივლენდის" რიგებში ვიხილეთ ცენტრი **ენდრიუ ბაინუმი**, რომლის მოედანზე ყოფნამ კარგად იმოქმედა ახალგაზრდა კლივლენდელებზე და მათ მრისხანე „ნეტსს" პირველი მარცხი აგემეს რეგულარულში.

გუშინ გამართული 14 მატჩიდან არც ერთს არ ჰქონია დრამატული ფინალი, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნოთ „ინდიანას" ქამბექი „ნიუ ორლეანთან" მატჩში და **ჯორჯის** სამქულიანი ბოლო წამებზე, რამაც, ფაქტობრივად, გამარჯვება მოუტანა „პეისერსს". ეს გუნდი ორიდან ორი მოგებით სათავეში ჩაუდგა რეგულარულის ცხრილს.

**კლივლენდი-ბრუკლინი 98:94**

27:26, 22:22, 30:22, 19:24

**კ:** ტომპსონი (18+9 მოხსნა), ირვინგი (15+9 პასი+7 მოხსნა), ჯეკი (12+3 პასი), ვარეჟაო (11+8 მოხსნა+3 პასი), უეიტერსი (11+3 ჩაჭრა), მაილსი (10).

**ბ:** ლოპესი (21+5 მოხსნა+4 დაფარება), პირსი (17), ტერი (14), ჯონსონი (13+5 პასი), გარნეტი (8+10 მოხსნა+3 პასი).

**ტორონტო-ბოსტონი 93:87**

21:26, 28:11, 22:34, 22:16

**ტ:** გეი (19+8 მოხსნა), დეროზანი (13), ჯონსონი (13), ლოური (11+8 პასი), ვალანჩიუნასი (8+11 მოხსნა+2 დაფარება), ჰენსბრო (7+12 მოხსნა+3 დაფარება).

**ბ:** გრინი (25+5 მოხსნა), ბასი (17), ფავერანი (13+3 დაფარება).

**ნიუ იორკი-მილუოკი 90:83**

24:18, 32:13, 18:33, 16:19

**ნ-ი:** ენტონი (19+10 მოხსნა), ფელტონი (18+3 პასი+3 ჩაჭრა), შამპერტი (16), ჩენდლერი (10+6 მოხსნა+5 დაფარება+3 ჩაჭრა).

**მ:** ნოა (16+5 პასი), ბატლერი (14), მაიო (13+5 მოხსნა+3 პასი), ფაჩულია (13+11 მოხსნა+3 პასი), ილიასოვა (10+3 ჩაჭრა).

**მინესოტა-ორლანდო 120:115 (ო)**

38:27, 22:25, 27:28, 16:23, 17:12

**მ:** ლავი (31+17 მოხსნა+4 პასი), მარტინი (23+3 პასი), ბრიუერი (16+3 ჩაჭრა), რუბიო (13+11 პასი+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბარეა (11+4 პასი), პეკოვიჩი (11+7 მოხსნა), კანინგემი (10+6 მოხსნა).

**ო:** აფლალო (28+9 მოხსნა+5 პასი), ვუჩევიჩი (22+16 მოხსნა+3 დაფარება+3 პასი+3 ჩაჭრა), ნელსონი (18+8 პასი), ოლადიპო (14+6 მოხსნა+4 პასი), ნიკოლსონი (13+7 მოხსნა), მური (10).

**დალასი-ატლანტა 118:109**

33:28, 20:27, 33:24, 32:30

**დ:** ელისი (32+8 პასი), ნოვიცკი (24+5 პასი), კარტერი (21), მერიონი (12+8 მოხსნა), კალდერონი (5+11 პასი).

**ა:** ტიგი (24+9 პასი+4 ჩაჭრა), მილსეპი (20+5 მოხსნა+3 პასი), მარტინი (17), კეროლი (14+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჰორფორდი (11+5 ჩაჭრა+5 მოხსნა+4 დაფარება+3 პასი).

**იუტა-ოკლაჰომა 98:101**

29:29, 19:28, 25:24, 25:20

**ი:** ბერქსი (24+6 პასი+6 მოხსნა), ფეივორსი (15+9 მოხსნა+5 პასი+2 დაფარება), კანტერი (14+10 მოხსნა), ჰარისი (13), ჰეივორდი (12+5 პასი+3 ჩაჭრა), ჯეფერსონი (10+2 დაფარება).

**ო:** დურანტი (42+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჯექსონი (14+5 ჩაჭრა+3 პასი), სეფოლოშა (14), იბაკა (8+10 მოხსნა+2 დაფარება).

**საკრამენტო-დენვერი 90:88**

25:22, 23:23, 22:27, 20:16

**ს:** კაზინსი (30+34 მოხსნა+2 დაფარება), ვასკესი (17+4 პასი), ტომასი (16+5 პასი).

**დ:** ლოუსონი (20+8 პასი+5 მოხსნა), ჰიქსონი (12+9 მოხსნა+4 დაფარება), მილერი (12+3 პასი), ფოიე (12+5 მოხსნა).

**დეტროიტი-ვაშინგტონი 113:102**

24:22, 31:21, 26:30, 32:29

**დ:** მონრო (24+16 მოხსნა+3 პასი), სმიტი (19+5 პასი+5 მოხსნა), ბაინუმი (19+5 პასი), ბილაპსი (16+5 პასი), დრამონდი (12+8 მოხსნა).

**ვ:** არიზა (28+10 მოხსნა+3 პასი), უოლი (20+11 პასი+3 ჩაჭრა), ბილი (17), ნენე (12).

**ჰიუსტონი-შარლოტი 96:83**

17:19, 28:20, 22:22, 29:22

**ჰ:** ჰარდენი (21+5 პასი), გარსია (19), ჰოვარდი (17+26 მოხსნა+2 დაფარება), ლინი (16), პარსონსი (10+5 მოხსნა+3 პასი), აშიქი (4+14 მოხსნა+2 დაფარება).

**შ:** მაკრობერტსი (15+3 პასი), სეშენსი (14), ჯეფერსონი (13+8 მოხსნა+2 დაფარება), უოკერი (12+5 პასი+4 ჩაჭრა), ჰენდერსონი (11).

**ნ. ორლეანი-ინდიანა 90:95**

24:14, 26:22, 16:23, 24:36

**ნ-ო:** გორდონი (25), ჰოლიდეი (24+7 მოხსნა+5 პასი), დევისი (20+12 მოხსნა+3 დაფარება).

**ი:** ჯორჯი (32+6 მოხსნა+5 პასი), ჰილი (19+4 პასი), სტივენსონი (16+8 მოხსნა+4 პასი), უესტი (12+7 მოხსნა+5 პასი+2 დაფარება).

**სან ანტონიო-მემფისი 101:94**

18:20, 30:7, 24:31, 29:36

**ს-ა:** ლეონარდი (14+7 მოხსნა+2 დაფარება), დიაო (14), პარკერი (13+9 პასი), ჯინობილი (12+5 პასი), მილსი (12), სპლიტერი (11+8 მოხსნა).

**მ:** ალენი (15), მ. გასოლი (14+9 მოხსნა), კონლი (14+7 პასი), პონდექსტერი (13+3 პასი), მილერი (11+3 პასი).

**ფინიქსი-პორტლენდი 104:91**

30:16, 20:30, 31:23, 23:22

**ფ:** დრაგიჩი (26+9 პასი+6 მოხსნა), ბლედსოუ (22+7 მოხსნა+6 პასი), პლამლი (18+15 მოხსნა+3 დაფარება), ტაკერი (18+5 მოხსნა).

**პ:** ლილარდი (32), ოლდრიჯი (28), ბატუმი (7+13 მოხსნა+4 პასი).

# პელიკანი პიერი

„ნიუ ორლეან პელიკანსმა" ახალი სეზონის სადებიუტო მატჩში გუნდის ახალი თილისმა წარადგინა. ეს არის პელიკანი, სახელად **პიერი**.

რამდენად წარმატებული გამოვიდა თილისმა, თავად შეგიძლიათ იმსჯელოთ, ჩვენ მხოლოდ შეგახსენებთ, რომ კლუბმა ამ ზაფხულს შეიცვალა სახელი - „ჰორნეტსის" ნაცვლად „პელიკანსი" დაირქვა.



# თითქმის ოთხმაგი დუბლი!

მოქმედ ჩემპიონ „მაიამი ჰიტს" ორი დღის განმავლობაში ორი მატჩის ჩატარება მოუწია. შინ „ჩიკაგოს" დამარცხების შემდეგ, ფლორიდელები ფილადელფიაში ჩავიდნენ სათამაშოდ და მეორე გამარჯვებას გეგმავდნენ. სეზონის წინ, „სიქსერზს" მთლიანად ასოციაციის უსუსტეს გუნდს უწოდებდნენ და ეჭვი არავის ეპარებოდა „ჰიტის" გამარჯვებაში. მაგრამ, მასპინძლებმა შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთეს ლეგენდარულ **ალენ აივერსონს**, რომელმაც იმ დღეს ოფიციალურად გამოაცხადა კარიერის დასრულების შესახებ.

ის, რომ „მაიამის" ამ მატჩში გაუჭირდებოდა, დებიუტშივე გამოჩნდა, როცა ჩემპიონებმა 19:0 გაქცევა მიიღეს. ჩემპიონებს ბევრი პრობლემა ჰქონდათ: როცა მეოთხე მეოთხედში სიტუაცია გათანაბრდა, ფავორიტმა ზედიზედ 10 ტყორცნა ააცილა მიზანს. შვიდიდან ყველა სამქულიანი ააცილა **შეინ ბატიემ**, არც ერთი მოხსნა არ ჰქონდათ მოედანზე გატარებული 26 წუთის განმავლობაში **უდონის ჰასლემსა** და **კრის ანდერსენს**...

და ასეთი თამაშის მიუხედავად, „მაიამის" შეეძლო და ვალდებულიც იყო მოეგო, მაგრამ ამაში ხელი შეუშალა **მაიკლ კარტერ-უილიამსის** ფანტასტიკურმა თამაშმა. „ფილადელფიას" გამთამაშებელი, რომელიც პირველ შეხვედრას ატარებდა NBA-ში, კინაღამ გვერდით ამოუდგა ასოციაციის ისტორიაში უდიადეს მოთამაშეებს: ახალგაზრდა მცველს ოთხმაგ (!) დუბლამდე ერთი ჩაჭრა და სამი მოხსნა დააკლდა! უკეთ, პროფესიულ კარიერას ძალიან შორეულ წარსულში მხოლოდ **ოსკარ რობერტსონი** იწყებდა, როცა მან სადებიუტო შეხვედრაში სამმაგი დუბლი შეასრულა. კარტერ-უილიამსმა 36 წუთი გაატარა მოედანზე, 22 ქულა დააგროვა, 12 შედეგიანი პასი მიითვალა და მხოლოდ ერთხელ დაკარგა ბურთი.

სავარაუდოდ, ამ კალათბურთელს ულაპარაკოდ მისცემენ დიდ სათამაშო დროსა და ადგილს სასტარტო ხუთეულში, ასე რომ, გამოიკვეთა წლის საუკეთესო დებიუტანტის პრიზის პირველი მაძიებელი.

**ფილადელფია-მაიამი 114:110**

33:14, 18:35, 34:45, 29:16

**ფ:** ტერნერი (26+5 პასი), ჰეიესი (24+9 მოხსნა), კარტერ-უილიამსი (22+12 პასი+9 ჩაჭრა+7 მოხსნა), როტენი (14), იანგი (10+6 მოხსნა).

**მ:** ჯეიმსი (25+13 პასი), ბოში (22+10 მოხსნა), ალენი (19+6 მოხსნა), ჩელმერსი (16+5 მოხსნა+4 პასი+3 ჩაჭრა), ლუისი (11+5 პასი), იანგი (10+3 პასი).



მაიკლ კარტერ-უილიამსი

# ალენი საბოლოოდ წავიდა


აივერსონმა ცრემლები ვერ შეიკავა

ლეგენდარულმა მცველმა **ალენ აივერსონმა** ოფიციალურად გამოაცხადა კარიერის დასრულების შესახებ. მან ეს სპეციალურ პრესკონფერენციაზე გააკეთა, რომელიც „ფილადელფიასა" და „მაიამის" მატჩის წინ გაიმართა, - წერს NBA-ის ოფიციალური ვებგვერდი.

*„მე კალათბურთისთვის ყველაფერი გავიღე, რაც შემეძლო. ჩემში კვლავაც არის აზარტი, მაგრამ თამაშის სურვილი აღარ შემრჩა. ეს შესანიშნავი მოგზაურობა იყო"*, - განაცხადა აივერსონმა.

გუშინვე გაირკვა, რომ „ფილადელფია" ხმარებიდან ამოიღებს აივერსონის სათამაშო ნომერს. ამასთან დაკავშირებით საზეიმო ცერემონია 2014 წლის პირველ მარტს გაიმართება, როცა „ფილადელფია" შინ მიიღებს „ვაშინგტონს". მაისურას „მესამე" ნომრით „სიქსერზის" საშინაო არენის თაღზე დაკიდებენ.

38 წლის აივერსონმა პროფესიულ დონეზე ბოლო შეხვედრა 2011 წელს, თურქეთში ჩაატარა, ხოლო მისი ბოლო მატჩი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში 2010 წლით თარიღდება. ალენმა 12 სეზონი გაატარა „ფილადელფიას" შემადგენლობაში, 2000-01 წლების სეზონში რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა, 11-ჯერ მიიღო მონაწილეობა „ყველა ვარსკვლავის მატჩში", 1997 წელს აირჩიეს სეზონის საუკეთესო დებიუტანტად. „სიქსერზის" ლეგენდა ოთხჯერ იყო NBA-ის საუკეთესო ბომბარდირი.

# ლეიკერსი მეომრებთან შერცხვა

„მაიამის" მსგავსად, სტარტზე ზედიზედ ორი მატჩი ითამაშა „ლეიკერსმა". და პირველი მოგების შემდეგ, მანაც შეირცხვინა თავი მეორე შეხვედრაში. არადა, „კლიპერსის" დამარცხების შემდეგ, ექსპერტებმა კომპლიმენტები არ დაიშურეს **მაიკ დ'ენტონისა** და მისი შეგირდების მისამართით, მაგრამ „გოლდენ სტეიტმა" ამგვარი შეფასება ეჭვქვეშ დააყენა.

მორბენალი და სროლისთვის მუდმივად მომართული „მეომრების" წინააღმდეგ კალიფორნიელებს არანაირი არგუმენტი არ აღმოაჩნდათ. სტუმრებს მოგების არანაირი შანსი არ ჰქონდათ და ზედიზედ მეორე კალიფორნიული დერბი მათთვის მეტად მტკივნეული მარცხით დასრულდა. დ'ენტონის გუნდი სუსტი იყო ყველა ცალკეულ კომპონენტში, რამაც 31-ქულიანი წაგება გამოიწვია. სათადარიგოთა სკამზე კი არ აღმოჩნდა კალათბურთელი, რომელიც რთულ სიტუაციაში გუნდს წინ გაუძღვებოდა. **სტივ ნეშმა** გუნდის ხელმძღვანელობისგან ერთი დღე დასვენება მიიღო, მაგრამ ვერც კანადელი უშველიდა იმ დღეს „ლეიკერსს".

„გოლდენ სტეიტის" რიგებში ბრწყინვალე შეხვედრა ჩაატარა მცველმა **კლეი ტომპსონმა**, რომელმაც თამაშიდან 15 ბურთი (19-დან) ჩააგდო და საერთო ჯამში, 38 ქულას მოუყარა თავი. აქედან 27 ქულა პირველ ნახევარზე მოდის.

**გ. სტეიტი-ლეიკერსი 125:94**

26:16, 33:24, 37:23, 29:31

**გ-ს:** ტომპსონი (38), ლი (24+8 მოხსნა+5 პასი), დუგლასი (13+4 პასი), კარი (10+6 პასი).

**ლ:** ჰენრი (14), მიქსი (14), პ. გასოლი (12+7 მოხსნა+3 პასი), ფარმარი (12+5 პასი), ჯონსონი (11+3 პასი+2 დაფარება), კამანი (11), ბლეიკი (10+4 პასი).


კლეი ტომპსონი

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# აშშ-ში რუსი მეკარე დააკავეს

სერიოზულ სკანდალში გაეხვია რუსეთის ნაკრების მეკარე **სემიონ ვარლამოვი**. კოლორადოს შტატის ქალაქ დენვერის პოლიციამ ჰოკეისტი ძალადობის ბრალდებით დააკავა. ვარლამოვი, რომელიც "კოლორადო ეველანშის" ერთ-ერთი ძირითადი მეკარეა, პოლიციას ნებაყოფლობით ჩაჰბარდა. წინასწარი ინფორმაციით, მოთამაშეს ვერ გაუშვებენ თავდებით მანამ, სანამ სასამართლოს წინაშე არ წარდგება.

*"მას ბრალად ედება ადამიანის გატაცება და მასზე თავდასხმა"*, - ამბობს დენვერის წინასწარი დაკავების ცენტრის ოფიციალური წარმომადგენელი. ჰოკეისტი ცალკე საკანშია მოთავსებული იმის გამო, რომ აშშ-ში ცნობილი სპორტსმენი გახლავთ.

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ საქმის კურსშია ვარლამოვის დაპატიმრებასთან დაკავშირებით. შესაბამისი განცხადება განთავსებულია ლიგის ოფიციალურ ვებგვერდზე.

*"ლიგის ხელმძღვანელობამ იცის სემიონ ვარლამოვის სიტუაციის შესახებ*, - წერია განცხადებაში. - *გამოძიების დამთავრებამდე არანაირი კომენტარი არ გაკეთდება, რადგან ამ მომენტისთვის ჩვენ არ გვაქვს სრული ინფორმაცია მომხდართან დაკავშირებით"*.

მეკარე, რომელიც სოჭის ოლიმპიადაზე რუსეთის ნაკრებში მოხვედრის კანდიდატია, NHL-ის ერთ-ერთი ლიდერია საშუალოდ მოგერიებული დარტყმების პროცენტით (94.5). 2013-14 წლების რეგულარულ ჩემპიონატში მან რვა შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და შვიდ გამარჯვებას მიაღწია.

# მოგება ორი კბილის ფასად

უცნაური ამბავი შეემთხვა „პიტსბურგ პინგვინზის" მოთამაშე **პასკალ დუპუის** „ბოსტონთან" გუშინდელ შეხვედრაში. მას თავისივე პარტნიორი, მცველი **კრის ლეტანგი** ეუხეშა. კერძოდ, ლეტანგის მაღლა აწეული ჯოხი სახეში მოხვდა დუპუის, რის გამოც მან ორი კბილი დაკარგა.

ამ შემთხვევითი დარტყმის შემდეგ, დუპუიმ პირდაპირ სათადარიგოთა სკამზე გამოიღო პირიდან ორიგატეხილი კბილი. ინციდენტის ვიდეო ჩანაწერი NHL-ის ოფიციალურ ვებგვერდზეა განთავსებული.

„ბოსტონთან" მატჩში დუპუიმ ერთი ქულა დააგროვა - მან ასისტენტობა გაუწია **ბრენდონ სატერს**.

**პიტსბურგი-ბოსტონი 3:2**

0:0, 1:0, 2:2

**გოლები:** 1:0 კუნიტცი-6 (ლეტანგი-1, კროსბი-13), 1:1 პ. ბერჟერონი-3 (საიდენბერგი-4, მარჩანდი-3), 2:1 ბ. სატერი-1 (დუპუი-8, ორპიკი-5), 3:1 ი. იოკინენი-6, 3:2 იგინლა-3 (ლუჩიჩი-6, პ. ბერჟერონი-3).



პასკალ დუპუი

**კალგარი-ტორონტო 2:4**

0:2, 1:0, 1:2

**გოლები:** 0:1 ლუპული-7 (გარდინერი-3, კადრი-8), 0:2 ვან რიმსდიკი-7 (მაკლემანი-1), 1:2 სტაიანი-1 (გლენკროსი-3, ბროდი-3), 1:3 რეიმონდი-5 (კლარკსონი-1), 2:3 დ. ჯონსი-3 (რასელი-5, ვიდემანი-7), 2:4 რეინჯერი-1.

**ვანკუვერი-დეტროიტი 1:2**

1:0, 0:2, 0:0

**გოლები:** 1:0 დ. სედინი-6 (ჰ. სედინი-15, სტენტონი-5), 1:1 ალფრედსონი-3 (ბ. სმიტი-1, ქუინსი-2), 1:2 ტატარი-1 (კრონვალი-7, დეკეისერი-3).

**ლოს ანჯელესი-სან ხოსე 4:3 (ო)**

1:2, 1:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ვლასიჩი-3 (კუტური-9, ტაილერ კენედი-4), 1:1 დაუტი-4 (ჯასტინ უილიამსი-5), 1:2 პაველსკი-5 (უინგელსი-6), 2:2 სტოლი-2 (ვოინოვი-2, დ. ბრაუნი-4), 2:3 კუტური-7 (მარლო-7, დემერსი-7), 3:3 ჯასტინ უილიამსი-5 (კოპიტარი-11, მ. რიჩარდსი-7), 4:3 კოპიტარი-2 (ლაუტი-3, მ. რიჩარდსი-8).

### აღმოსავლეთი

**ატლანტიკი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ტორონტო | 14 | 10 | 4 | 0 | 20 |
| 2. ტამპა ბეი | 12 | 8 | 4 | 0 | 16 |
| 3. მონრეალი | 13 | 8 | 5 | 0 | 16 |
| 4. დეტროიტი | 13 | 7 | 4 | 2 | 16 |
| 5. ბოსტონი | 11 | 7 | 4 | 0 | 14 |
| 6. ოტავა | 12 | 4 | 6 | 2 | 10 |
| 7. ფლორიდა | 12 | 3 | 7 | 2 | 8 |
| 8. ბაფალო | 14 | 2 | 11 | 1 | 5 |

**მეტროპოლიტენი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. პიტსბურგი | 13 | 9 | 4 | 0 | 18 |
| 2. კაროლინა | 12 | 4 | 5 | 3 | 11 |
| 3. აილენდერსი | 12 | 4 | 5 | 3 | 11 |
| 4. კოლამბუსი | 11 | 5 | 6 | 0 | 10 |
| 5. ვაშინგტონი | 12 | 5 | 7 | 0 | 10 |
| 6. ნიუ ჯერსი | 12 | 3 | 5 | 4 | 10 |
| 7. რეინჯერსი | 11 | 4 | 7 | 0 | 8 |
| 8. ფილადელფია | 11 | 3 | 8 | 0 | 6 |

### დასავლეთი

**ცენტრალური**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. კოლორადო | 11 | 10 | 1 | 0 | 20 |
| 2. ჩიკაგო | 13 | 8 | 2 | 3 | 19 |
| 3. სტ. ლუისი | 10 | 7 | 1 | 2 | 16 |
| 4. მინესოტა | 13 | 6 | 4 | 3 | 15 |
| 5. ნეშვილი | 12 | 6 | 5 | 1 | 13 |
| 6. ვინიპეგი | 14 | 5 | 7 | 2 | 12 |
| 7. დალასი | 12 | 5 | 6 | 1 | 11 |

**პასიფიკი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სან ხოსე | 13 | 10 | 1 | 2 | 22 |
| 2. ანაჰაიმი | 13 | 10 | 3 | 0 | 20 |
| 3. ვანკუვერი | 15 | 9 | 5 | 1 | 19 |
| 4. ფინიქსი | 13 | 8 | 3 | 2 | 18 |
| 5. ლოს ანჯელესი | 14 | 9 | 5 | 0 | 18 |
| 6. კალგარი | 12 | 5 | 5 | 2 | 12 |
| 7. ედმონტონი | 14 | 3 | 9 | 2 | 8 |

*შენიშვნა:* პლეი ოფში თითო დივიზიონიდან სამ-სამი საუკეთესო გუნდი გადის. კიდევ ოთხ საგზურს თითო კონფერენციიდან უაილდ-ქარდის მფლობელი ორ-ორი გუნდი მიიღებს.

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| სიდნი კროსბი (პიტ) | 21 (8+13) |
| ფილ კესელი (ტორ) | 18 (9+9) |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 18 (9+9) |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 18 (3+15) |
| ალექსანდრ სტინი (ს-ლუი) | 16 (11+5) |
| ლოგან კუტური (ს-ხოს) | 16 (7+9) |
| ალექს ოვეჩკინი (ვაშ) | 15 (10+5) |
| ფრანს ნილსენი (აილ) | 15 (7+8) |
| პატრიკ მარლო (ს-ხოს) | 15 (7+8) |
| დანიელ სედინი (ვან) | 15 (6+9) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| ალექსანდრ სტინი (ს-ლუი) | 11 |
| ალექს ოვეჩკინი (ვაშ) | 10 |
| ფილ კესელი (ტორ) | 9 |
| მეტ დუშენი (კოლ) | 9 |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 9 |
| პატრიკ მარლო (ს-ხოს) | 8 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 8 |
| რაიან კესლერი (ვან) | 8 |
| ტომაშ ჰერტლი (ს-ხოს) | 8 |
| მეტ მოულსონი (ბაფ) | 8 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 15 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 13 |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 12 |
| ანჟე კოპიტარი (ლ-ანჯ) | 11 |
| მარკუს იოჰანსონი (ვაშ) | 10 |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 10 |
| დავიდ კრეიჩი (ბოს) | 10 |
| მარკ არკობელო (ედმ) | 10 |

## ველოსპორტი

# ჯიროს ჩემპიონმა დოპინგი აღიარა

ცნობილმა კანადელმა ველომრბოლმა **რაიდერ ჰესიედალმა** აკრძალული პრეპარატის გამოყენება აღიარა.

რამდენიმე დღის წინ, ყოფილმა ველომრბოლმა **მიკაელ რასმუსენმა** ავტობიოგრაფიული წიგნი გამოუშვა, რომელშიც დაადანაშაულა ველოსაჯინიბო Saxo-Tinkoff-ის გენერალური მენეჯერი **ბიარნე რიისი**. დანიელმა დაწერა, რომ რიისის გუნდში სპორტსმენები დოპინგს იყენებდნენ და ამის შესახებ მენეჯერმა კარგად იცოდა. წიგნში დანიელი გვამცნობს, რომ 2012 წლის ჯირო დ'იტალიას გამარჯვებულმა რაიდერ ჰესიედალმა 2003 წელს გამოიყენა ერითროპოეტინი. კანადელმა ველომრბოლმა დაადასტურა ამგვარი ბრალდებების მართებულობა.

*"ველოსპორტი ჩემი ცხოვრებაა. ასე იყო ყოველთვის, რაც კი საკუთარი თავი მახსოვს. მე მიყვარს და ვცხოვრობ ამ სახეობით. მაგრამ დაახლოებით ათი წლის წინ, არასწორი გზა ავირჩიე. მართალია, შეცდომა 10 წლის წინ დავუშვი და დიდი ხანი არ გაგრძელებულა, ეს არაფერს ცვლის - მე გავაკეთე და ვცხოვრობდი ამით. სამწუხაროა, რომ აქამდე არ ვაღიარებდი ამას"*, - განაცხადა ჰესიედალმა.

სპორტსმენის ამჟამინდელ გუნდში - Garmin-Sharp-ში გამოაცხადეს, რომ ჰესიედალმა უკვე მისცა ჩვენება აშშ-ისა და კანადის ანტისადოპინგო სააგენტოებს.

კანადის ველოსპორტის ფედერაციამ თავის განცხადებაში ყურადღება მიაქცია იმას, რომ ჰესიედალის საქმე კიდევ ერთხელ გვიჩვენებს: ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირმა შეთანხმებას უნდა მიაღწიოს მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოსთან წარსულის დოპინგსაქმეებთან ბრძოლაში.

ჰესიედალი 2012 წელს გახდა ჯირო დ'იტალიას ტრიუმფატორი, როცა ბოლო ეტაპზე გამარჯვება გამოსტაცა ესპანელ **ხოაკიმ როდრიგესს**.

## ჩოგბურთი

# მარიას მწვრთნელი კაროსთან წავიდა

რუსი **მარია შარაპოვას** ყოფილი მწვრთნელი **ტომას ჰოგსტედტი** მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანის, დანიელი კაროლინ ვოზნიაცკის დამრიგებელი გახდა.

შარაპოვა ჰოგსტედტთან ერთად სამი წელი განმავლობაში მუშაობდა. რუსმა ამა წლის ივლისში გამოაცხადა შვედ სპეციალისტთან თანამშრომლობის შეწყვეტა. ადრე, 50 წლის ჰოგსტედტი გერმანელ **ტომი ჰაასსა** და ჩინელ **ნა ლის** ავარჯიშებდა.

*„მოუთმენლად ველოდები ახალ გამოწვევას - კაროლინ ვოზნიაცკის თამაშის ახალ ეტაპზე აყვანას. ერთად ჩვენ შევეცდებით მივაღწიოთ ისეთ დონეს, რომლითაც ის შეძლებს „დიდი სლემის" ტურნირის მოგებას"*, - განაცხადა ჰოგსტედტმა.

დღეისთვის ვოზნიაცკი მე-10 ადგილს იკავებს WTA-ის კლასიფიკაციაში. მიმდინარე სეზონში სკანდინაველმა ჩოგბურთელმა მხოლოდ ერთი ტურნირი მოიგო - მთავარი პრიზი მოიპოვა ლუქსემბურგში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ინგლისი**

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| სალისბერი-ჰერეფორდი | 4:1 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| რომა-კიევო | 1:0 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| გრანადა-ატლეტიკო | 1:2 |
| ვილიარეალი-ხეტაფე | 0:2 |
| ბილბაო-ელჩე | 2:2 |
| ბეტისი-ლევანტე | 0:0 |

**გერმანია**

**რეგიონალლიგა (ბაიერნი)**

| | |
|---|---|
| ბამბერგი-ნიურნბერგი II | 1:2 |
| შვაინფურტი-მიუნხენი II | 0:3 |

**ჰოლანდიის თასი**

**1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| ჰერენვეენი-ვენლო | 1:0 |
| ექსელსიორი-იგლზი | 1:0 |

**ბელგია**

| | |
|---|---|
| სერკლი-ბრიუგე | 2:0 |
| სტანდარდი-ვაასლანდი | 2:2 |

**საბერძნეთის თასი**

**1/16 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| კალონი-პიერიკოსი | 2:2 (2:1) |
| ჩანია-ასტერასი | 0:1 (0:0) |
| ვერია-ირაკლისი (პ) | 2:1 (1:3) |
| პანაიტოლიკოსი-კერკირა | 1:0 (1:0) |
| ოფი-კალითეა | 1:1 (1:0) |
| ქსანტი-ირაკლისი | 2:2 (0:1) |
| არისი-ოლიმპიაკოსი (პ) | 0:0 (0:1) |
| ატრომიტოსი-ფოსტირასი | 7:0 (1:0) |

**თურქეთის თასი**

**III რაუნდი**

| | |
|---|---|
| ბელედიე-გენჩლერი | 1:2 |
| ქაისერი-ქარჰამანმარასი | 2:0 |
| გაზიანთეფი-ჰათაია | 0:0 დ.დ. 1:0 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| შლიონსკი-პოდბესკიძი | 4:0 |
| იაგელონია-ლეხი | 2:0 |

**რუსეთის თასი**

**1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| ზვეზდა-ყუბანი | 2:2 პენ. 4:2 |
| ნეფტეხიმიკი-ტერეკი | 1:4 |
| ალანია-ანჟი | 1:0 |
| სოკოლი-კრილია | 1:1 პენ. 3:1 |

**რუმინეთის თასი**

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| ოცელული-კორონა | 2:1 |
| რაპიდი-პეტროლული | 0:2 |

**ბულგარეთი**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი (პ)-ლევსკი | 2:3 |
| ცსკა-ბეროე | 1:0 |

### კალათბურთი

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ბუდიველნიკი-პარტიზანი | 74:69 |
| ჟალგირისი-სტრასბური | 88:64 |
| უნიკახა-გალათასარაი | 84:57 |
| ოლიმპიაკოსი-ბავარია | 88:83 |
| ბარსელონა-ნანტი | 67:71 |
| ფენერბაჰჩე-ცსკა | 86:60 |

### ხელბურთი

**მს. ჩემპიონატი 2015**

**შესარჩევი**

| | |
|---|---|
| ესტონეთი-ბოსნია | 26:29 |
| იტალია-რუმინეთი | 22:23 |

### ჰოკეი

**კჰლ**

| | |
|---|---|
| აკ ბარსი-დინამო (მ) | 3:2 |
| ტორპედო-ვიტიაზი | 5:0 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ვილახი-ფეჰერვარი | 6:3 |
| ინსბრუკი-ზალცბურგი | 0:4 |
| კლაგენფიურტი-ოლიმპია | 4:2 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ნიურნბერგი-ინგოლშტადტი | 5:2 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| სპარტა-რუსენბორგი | 3:2 (ო) |
| ვოლერენგა-ტონსბერგი | 10:2 |
| სტიერნენი-ლილეჰამერი | 6:0 |
| ფრისკ ასკერი-სტორჰამარი | 3:2 (ო) |
| სტავანგერი-ლორენსკოგი | 3:4 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ტპს-კაიპა | 6:3 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| აიკ-ფერიესტადი | 3:1 |
| შელეფტეო-ვექსიო | 3:2 (ო) |
| ორებრო-ლულეა | 3:4 (ო) |

### ჩოგბურთი

**ATP. პარიზი**

| | |
|---|---|
| ვავრინკა-ალმაგრო | 6:3, 6:2 |
| ფერერი-სიმონი | 6:2, 6:3 |
| ჯოკოვიჩი-ისნერი | 6:7, 6:1, 6:2 |
| დელ პოტრო-დიმიტროვი | 3:6, 6:3, 6:4 |
| ფედერერი-კოლშრაიბერი | 6:3, 6:4 |
| რაონიჩი-ბერდიხი | 6:7, 4:6 |
| გასკე-ნიშიკორი | 6:3, 6:2 |
| ნადალი-იანოვიჩი | 7:5, 6:4 |

**WTA. სოფია**

| | |
|---|---|
| ივანოვიჩი-სტოსური | 6:2, 5:7, 6:2 |
| ვესნინა-პირონკოვა | 6:2, 4:6, 6:0 |
| ჰალეპი-სვიტოლინა | 6:1, 6:1 |

## TV პროგრამა

**1 ნოემბერი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ფერეირა-დნიპრო.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. X ტური. შალკე-დორტმუნდი.
14:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ანდერლეხტი-პსჟ.
16:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. VIII ტური. პორტო-სპორტინგი.
18:00 ევროპის ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
19:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ლევერკუზენი-შახტარი.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
22:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
23:00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
23:30 გერმანიის ჩემპიონატი. XI ტური. დორტმუნდი-შტუტგარტი (LIVE).
01:30 ჩემპიონთა ლიგის სტუდია.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ფიორენტინა-პანდური.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 საჩოგბურთო მიმოხილვა.
12:45 ძიუდო. გრანპრი. ჩინეთი (LIVE).
15:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.
19:00 რაგბი-ლიგა. მსოფლიოს თასი. ინგლისი-ავსტრალია.
21:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ვაალვიკი.
23:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
23:45 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. რეალი-მილანი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. პარიზი-2013
16:30 ჩოგბურთი. ახალი ამბები.
17:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
21:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
21:45 საჩოგბურთო მიმოხილვა.
22:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 7 | 19 | (მზე) |
| ქუთაისი | 10 | 20 | (მზე) |
| ბათუმი | 12 | 18 | (მზე) |
| ფოთი | 9 | 19 | (მზე) |
| ზუგდიდი | 7 | 20 | (მზე) |
| გორი | 3 | 18 | (მზე) |
| თელავი | 7 | 19 | (მზე) |
| სიღნაღი | 6 | 18 | (მზე) |
| ბაკურიანი | -3 | 11 | (მზე) |
| ბორჯომი | -2 | 16 | (მზე) |
| მესტია | -1 | 15 | (მზე) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2985 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6707 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6835 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2110 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# NBA STYLE. ვარსკვლავები ჰელოუინზე

ჰელოუინის დღესასწაულის წინ, გადავწყვიტეთ გავიხსენოთ ყველაზე უცნაური კოსტიუმები, რომლითაც ზეიმზე NBA-ის საუკეთესო კალათბურთელები მივიდნენ.


ტიაგო სპლიტერი (სან ანტონიო) - ჯოკერის კოსტიუმი



ტიმ დანკანი და ტონი პარკერი (სან ანტონიო)


მანუ ჯინობილი (სან ანტონიო) - ბაზ ლაიტერის კოსტიუმი


დუაიტ ჰოვარდი (ჰიუსტონი) - ჰობოს კოსტიუმი


შაკილ ო'ნილი


პოლ პირსი (ბრუკლინი) - ბაყაყის კოსტიუმი



ამირ ჯონსონი (ტორონტო) - ზომბის კოსტიუმი


სერჟ იბაკა (ოკლაჰომა) - აკიმის კოსტიუმი ფილმიდან „ამერიკაში მოგზაურობა"; ნიკ კოლისონი (ოკლაჰომა) - უოლტერ უაიტი კოსტიუმი სერიალიდან Breaking Bad; ჯეისონ რიჩარდსონი (ფილადელფია) - რეპერ ტრინიდად ჯეიმსის კოსტიუმი

ლელო
ISSN 2233-3827
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:15 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია ტუხაშვილი
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ტელ: 238 84 44 (შიდა ნომ. 413); 238 74 44; ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608